სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 28 მაისი 1999 №98 (871) | ფასი 1 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღება!

სარბიელი 1 ივნისიდან ძველებურად 50 თეთრი ეღირება, მაგრამ ისევ 16 გვერდიანი იქნება!

ბოსკამპმა ჯანაშია არ გაიკარა

საქართველოს ნაკრები ამ დილით ოსლოში ზაზა ჯანაშიას გარეშე გაფრინდა

ორი კოლხეთის ამბავი

ხობის „კოლხეთი“ პირველ ჯგუფში ითამაშებს

ფოთის „კოლხეთი“ კი სკოპიეში „კომენტარნიცას“ შეხვდება

ჯომოლუნგმას ორთავ მხარეს

შერპებიც ჩვენები არიან

დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმაზე გუშინწინ ასული ხუთი ქართველი მთამსვლელი გუშინ 6400 მეტრზე მდებარე საბაზო ბანაკში დაბრუნდა და ექსპედიციის მეთაური გია თორთლაძეც უმალ დაკავკავშირდა. გვითხრა, მწვერვალზე ასვლისას იმდენად უჩვეულო დარი იყო, ხელთათმანები წავიძრეთო.

თორთლაძემ ისიც გვაცნობა, რომ ჯომოლუნგმაზე ამ პირველი ქართული ექსპედიციის კიდევ ორი თბილისელი წევრი გელა ოთარაშვილი და დავით ჩანტლაძე ანგინით ავად გამხდარან და მწვერვალზე გადამწყვეტი იერიში ამის გამო აღარ უცდიათ, ახლა კი ისინი თავს კარგად გრძნობენ.

ისიც შევიტყვეთ, რომ მწვერვალზე ავიდა ამ ექპედიციის კიდევ ხუთი სხვადასხვა ქვეყნის მთამსვლელი, მათ შორის სამი შერპი, მაგრამ თორთლაძემ მათი ვინაობის კარნახი ვეღარ მოასწრო, რადგან სატელიტური სატელეფონო კავშირი გაწყდა.

რადგან ეს უცხოელებიც ჯომოლუნგმაზე ქართული ექსპედიციის წევრები არიან, მათი ასვლებიც ამავე ექსპედიციას ეთვლება აქტივში.

ასე რომ, საერთო ჯამში ჩვენი ექსპედიციის ათმა წევრმა მიზანს მიაღწია. ახლა მთამსვლელები ისვენებენ და დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ შინისკენ გამოემგზავრებიან.

ჩვენი ბედი იმედია

თომას რაველიმ და ლენარტ იუჰანსონმა ქართველებს ძნელი ჯგუფი არგუნეს

გუშინ, ჩვენი დროით 20 საათზე შვედეთის ქალაქ სოლნაში ქართველთა ბედი უნდა გარკვეულიყო. გუშინვე შვედთა ეროვნული ნაკრები „რასუნდაზე“ იამაიკას ხვდებოდა. მანამდე კი, 2 საათით ადრე, თომას რაველიმ და ლენარტ იუჰანსონმა ევროპის 18 წლამდელთა ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მონაწილენი დააწყვილეს.

საქართველოს ნაკრებს მძიმე ჯგუფი ერგო, თუმცა სუსტები არც სხვებში არიან: ევროპის ბოლო ჩემპიონი ირლანდია, იტალია და ესპანეთი — აი, ჩვენი მეტოქენი.

სათქმელი ერთია: ღირსეულად ითამაშებენ ჩვენი თვრამეტწლამდელები, ორმაგად გასახარი და სასახელო იქნება, არადა, ცუდის სათქმელად ენა ვის მოუბრუნდება, თუმცა ცუდზე წინასწარ რატომ ვიფიქროთ, ხომ სჯობს, გამარჯვების იმედი ბოლომდე გვქონდეს. ჩვენი ბედიც ესაა, სულ მუდამ გამარჯვების გვეიმედებოდეს და... თუმცა, „კობალას ბიჭების“ ყველაზე მეტად გვჯერა, მათ ხომ დიდი ხანია, ჩვენთვის იმედი არ გაუცრუებიათ.

გუშინდელი წილისყრის სრული შედეგები და ჩემპიონატის კალენდარი იხილეთ მეხუთე გვერდზე

ერთი გლოვობენ, მეორენი ზეიმობენ

Happy Birthday, Sir Matt!

დავით ძაძაბაძის რეპორტაჟი ბარსელონიდან მეშვიდე გვერდზე იხილეთ

REUTERS ბარსელონიდან

საქართველოს ჩემპიონატი

გადათამაშება
პირველ ჯგუფში
გადასავლელი მატჩი

ხელები მაღლა

თბილისი
27 მაისი
18 საათი
ვიხილ მესხი
2 000 (ტევადობა 46 000)

კოლხეთი 1:0 სულორი

1:0 ხურცილავა (70)

კოლხეთი: ნიქაბერიძე, ონიანი, ხევსურიანი, ალანია, ზურაბ აიანადი, კ. ხურცილავა, ლ. გვაზავა, ქაშიბაძე, ლ. ბუკია, ჭიჭინაძე (დ. დანელია 63), ზაზა აიანადი
სათადარიგონი: თოლორდავა; ჯიქია, ჯამბურია, ვართაგავა, აბაკელია

სულორი: კ. ნიკოლეიშვილი, ორმოცაძე, გიზო ბრეგვაძე, კაპატაძე, ბელთაძე, გოჩა ბრეგვაძე, კ. დვალიშვილი, ბუხაიძე, სადილიანი (ვ. მიქელთაძე 83), ბ. ნიკოლეიშვილი, კორძაძე (ფაიქიძე 56)
სათადარიგონი: ძიგრაშვილი; ჩუბინიძე, თ. დვალიშვილი, ბიბილაშვილი

გაფრთხილება: გვაზავა (30), გიზო ბრეგვაძე (44), კორძაძე (55)

მსაჯები: ა. შილაკაძე; მ. ელიკაშვილი, ზ. დოლიძე (ყველა თბილისი); თ. ლაცაბიძე (სურამი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

პაატა კვანტალიანი

ხობის „კოლხეთმა“ დამსახურებულად გაიმარჯვა და ამით მომავალი სეზონიდან პირველი ლიგის „ბ“ ზონაში (სადაც მეათე ჩემპიონატში ლუწ ადგილებზე გასული გუნდები იასპარეზებენ), თამაშის უფლება მოიპოვა.

„კოლხეთმაც“ და „სულორმაც“ დედაქალაქში გულშემატკივართა საკმაოდ სოლიდური რაოდენობა (ჩვენს პირობებში, რა თქმა უნდა) იახლა. სახელშეცვლილ ვაკის სარბიელზე ამგვარი აჟიოტაჟი, კარგა ხანია, არ ყოფილა. გულშემატკივრები თავგამოდებით ქომაგობდნენ.

შეხვედრის პირველი ნახევარი ამინდივით ავი გამოდგა. ოო, ამინდმა მართლაც დიდი სიურპრიზი მოუწყო „მიხეილ მესხზე“ თავშეყრილთ. შეხვედრის მე-15 წუთზე ხალხი აჩოჩქოლდა, აზვირთდა, ფეხბურთელებმა თავზე შემოიწყვეს ხელები... არა, არა, არავითარი ექსცესი არ მომხდარა, ეგ იყო, ვაკის თავზე შავად შეყრილმა ღრუბლებმა სეტყვა უმოწყალოდ დააყარა სტადიონს. ჰოდა, მეტად უცნაურად გამოიყურებოდნენ მინდორზე მობურთალნი. აფერუმ ალექსანდრე შილაკაძის მოთმინებას, თვით ბუნების სასტიკმა გამოხდომამაც ვერ ააწევინა მთავარ მსაჯს ხელები მაღლა, ჩვეულად, მსაჯურად დარბოდა. ვერც გაამტყუნებდი, შეხვედრას ხომ თვით მსაჯთა-მსაჯი ანატოლი მილჩენკო ინსპექტორობდა. დარში როგორც თამაშობენ ჩვენებურები, კარგად მოგეხსენებათ, ჰოდა, ავდარში რა უნდა ყოფილიყო. იყო ბურთის უაზროდ გორება, აღმა-დაღმა უთავბოლოდ სირბილი და წვიმა, სეტყვაშერეული წვიმა.

წვიმა მეორე ტაიმსაც გადაჰყვა, სამაგიეროდ მოედანზე შეიცვალა სიტუაცია. ისეთი თამაში გაჩაღდა, თქვენი მოწონებული. როგორც ჩანს, ფეხბურთელებმა ალღო აუღეს სათამაშო პირობებს, თანაც მატჩის მნიშვნელობაც გაიხსენეს და მიყუჩებული ქომაგიც გამოაცოცხლეს, აახმაურეს. 50-ე წუთისთვის ხობელებმა საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა მოიპოვეს, მათ რიგებში უკრაინიდან დაბრუნებული ლევან გვაზავა (გეხსომეთათ, ეს ფეხბურთელი კიევის „დინამოს“ მეორე შემადგენლობაში ისინჯებოდა) აქტიურობდა. ლევანს მხარი ზაზა აიანადიმაც აუბა და ვანელთა მეკარეს გვარიანი ჯაფა დაადგა.

61-ე წუთზე 28 მეტრიდან გვაზავას დარტყმული ნიკოლეიშვილს ხელებს შორის გაუძვრა, ბურთი მცირედით ასცდა კარს. იქვე ბელთაძის შეცდომით ვერ ისარგებლა ხურცილავამ — ზაზა აიანადის მახვილგონივრული პასი ვერ შეიშნოვა და ხელსაყრელი მომენტი წვიმას გაატანა. 63-ე წუთზე ხობელთა მთავარმა მწვრთნელმა ფრიდონ გოცირიძემ ჭიჭინაძის ნაცვლად დანელია ჩართო თამაშში. ამ ყმაწვილმა თანაგუნდელებს მეტი თავდაჯერება შეჰმატა. მისი ბურთთან თითოეული შეხება ტრიბუნებზე აღტაცებას იწვევდა. შემოსვლისთანავე დანელიამ ბურთი მოიგდო, ეფექტურად გასცდა სამ მოწინააღმდეგეს და საჯარიმოში შეჭრილმა ქაშიბაძეს გადააწოდა, მან თავის მხრივ გვაზავას დაუტოვა, ამ უკანასკნელის ძლიერად დარტყმული კი მცირედით ასცდა ნიკოლეიშვილის კარს.

„კოლხეთის“ უპირატესობა აშკარა გახდა. ეს კი იმითაც იყო გამოწვეული, რომ „სულორმა“ მეტოქეს მოედნის ცენტრი აჩუქა და ხობელებიც თითოეული შეტევის ორგანიზებას ფაქტობრივად უპრობლემოდ ახერხებდნენ.

69-ე წუთზე ხურცილავამ ბურთი თავით გადაუგდო ქაშიბაძეს. მარჯვენა ფრთიდან შეჭრილმა ხობელმა ფეხბურთელმა კი დასარტყმელ პოზიციაზე ზაზა აიანადი დატოვა, მისი დარტყმული ბურთი ვანელ მცველებს შორის გაიხლართა... ხობელები თერთმეტმეტრიანს ითხოვდნენ, მაგრამ შილაკაძემ, სავსებით სამართლიანად, თამაშის გაგძელება ბრძანა. აი, გაგრძელებულზე კი გოლიც გავიდა. ბურთი მარცხენა ფრთაზე კუთხურის ალამთან ახლოს გვაზავამ მიიღო და საჯარიმოში ჩაჰკიდა. ყველას დანელიამ დაასწრო და თავით ბურთი ხურცილავას გადაწოდა. კარიდან ორ მეტრში მყოფ „კოლხეთის“ კაპიტანს არ გასჭირვებია მატჩის ერთადერთი გოლის გაკეთება.

„სულორს“ 20 წუთი რჩებოდა მდგომარეობის გასასწორებლად და ვანელებმაც თავგამოლებით შეუტიეს. მატჩის დასრულებამდე ოთხეტი წუთი [illegible] ვანელთა [illegible] ბურთი. [illegible] ეიმემ კარგად შენიშნა ხელსაყრელ პოზიციაში მყოფი ფაიქიძე და გრძელი პასით იგი ნიქაბერიძეს შეატოვა. ვანელი ფეხბურთელი დიდხანს მოუნდა ბურთის დამუშავებას, ბოლოს მაინც დაარტყა. ნიქაბერიძის მუშტებით მოგერიებული ბურთი რამდენიმე წამში ისევ ფაიქიძეს მიუგორდა. ხობელთა მეკარემ მეორე დარტყმის მოგერიებაც შეძლო და თანაგუნდელები აშკარა გოლისგან იხსნა. ეს ვანელთა ერთადერთი შანსი იყო. შილაკაძის სასტვენს ხობელთა დიდი სიხარული მოჰყვა. გამარჯვებულთა გულშემატკივრები მოედანზე შეიჭრნენ და სულ ბდღვერი ადინეს ისედაც წალეკილ ვაკის სარბიელს.

— დიდი ხნის ნატვრა ამისრულდა. ჩვენ დღეს ხობს ფეხბურთი შევუნარჩუნეთ — თქვა მატჩის შემდეგ გამარჯვებულთა ბედნიერმა თავკაცმა ფრიდონ გოცირიძემ.

შვიდწლიანი პაუზის შემდეგ ხობის „კოლხეთი“ საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგას დაუბრუნდა.

გეხსომეთათ, ამის შანსი კოლხებს შარშანაც ჰქონდათ, მაგრამ მაშინ პირველივე გადათამაშებაში ხაშურის „ივერიასთან“ 0:3 დამარცხდნენ.

ეს წუთია, კალისტრატე ხურცილავამ (№6) ვანელებს გამარჯვების გოლი გაუტანა და თანაგუნდელები მისალოცად მისდევენ

ბოსკამპმა ჯანაშია არ გაიკარა

ნორვეგიელებს მეკარე დაუშავდათ

გუშინ საქართველოს ნაკრებმა ნორვეგიაში გამგზავრებამდე ეროვნულ სტადიონზე ივარჯიშა. დიდხანს არა, იოჰან ბოსკამპმა სულ 45 წუთი იკმარა, ეს დროც სტანდარტული მდგომარეობების დამუშავებას მოახმარა. მწვრთნელის დავალებები ჩვენთვის მეტად უცნაური იყო, ორიგინალური, ისეთი, რომ ქართველებს, მგონი, არასდროს გამოუყენებიათ. ვარჯიშის შემდეგ ბოსკამპი კმაყოფილი იყო. ჩემი მითითებები ბიჭებმა კარგად შეასრულეს, ვნახოთ, თამაშისას რა გამოგვივაო — გვითხრა გალუმპულმა რომელმაც 15-20 წუთით ვარჯიშიც კი შეწყვიტა თავსხმა წვიმის გამო და გუნდის ტექნიკურ პერსონალს ბაზიდან საწვიმრების სასწრაფოდ მოტანა სთხოვა. მანამდე კი ფეხბურთელებმა გასახდელს შეაფარეს თავი.

ეროვნულის მინდორზე 19 კაცმა ივარჯიშა. ყველანი კი დღეს ოსლოს ესტუმრებიან.

ბოსკამპის განკარგულებაში, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, არიან: გვარამაძე, ჭანტურია; ახვლედიანი, ჭიჭვეიშვილი, დიდავა, კალაძე, წერეთელი, ფოფხაძე, ხიზანიშვილი; გუჩუა, ცქიტიშვილი, ალექსიძე, ქეცბაია, ნემსაძე, ჯამარაული; ყაველაშვილი, იმედაძე, აშვეთია, დემეტრაძე. ჩვენებურები დღესვე, ნორვეგიის დროით რვის თხუთმეტ წუთზე, ოსლოს „ულევალის“ მინდორს მოსინჯავენ. ამათგან რომლებს შეარჩევს ბოსკამპი ძირითადი შემადგენლობისთვის, ძნელი სათქმელია, ისევე როგორც ითამაშებს თუ არა 30-ში ქეცბაია. მან გუშინ მარტომ ირბინა, ბარძაყის უკანა კუნთი აქვს დაჭიმული და ახლა ექიმები მეთვალყურეობენ.

წელის ტკივილს არ გაუვლია ჯამარაულისთვის, ეგ კი არა, ზურგს თურმე ყაველაშვილიც შეუწუხებია, თუმცა საგანგაშო არაფერია, ჩვენი აზრით, ოსლოში ორივემ ძირითადში უნდა ითამაშოს.

გუშინვე დილით დიღმის საწვრთნელ ბაზაზე, როგორც იქნა, ზაზა ჯანაშია გამოჩენილა, მხოლოდ გამოჩენილა, რადგანაც ბოსკამპმა იგი არ გაიკარა, თავნებობას თუ შეჩვეული ხარ, ჩემთან ამგვარი არ გაგივა, ახლა შინ წადი და პირველ ივნისს გელოდები, ბერძნებთან სათამაშოდ მოემზადეო, უთქვამს მწვრთნელს და მეტი აღარ გაუგრძელებია. ჭკუის სასწავლებლად ის თბილისში დატოვა.

სააგენტო „როიტერმა“ კი წუხელ ერთი საინტერესო ცნობა გაავრცელა, თუ სანუგეშოდ ფეხბურთელებს გამოადგებათ, აი ისიც: ნორვეგიის ნაკრებისა და ინგლისის „ევერტონის“ ძირითადმა მეკარემ ტომას მირემ გუშინდელი ვარშავიასას მარჯვენა ფეხი მოიტეხა და ბაზიდანვე პირდაპირ ულეოლის ჰოსპიტალში გააქანეს — თვენახევრით ფეხი თაბაშირში ჩაუსვეს. „ძალიან მწყინს, ნორვეგიის ნაკრების ორ უახლოეს თამაშს მოუთმენლად ველოდი“ — განაცხადა კოჭგატეხილმა მეკარემ.

დაბოლოს, ჩვენს ნაკრებს წუხელ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია დიღმის ბაზაზე ეწვია, გამხნევა და წარმატება უსურვა ვინ იცის, ცოტა ოცნებას კი წაგავს, მაგრამ მინც, კვირას, ოსლოში, ეგებ-ადამიანი ხომ იმედით ცოცხლობს.

ძოგა ინასარიძე

უეფა ახლომხედველია?

შორს ჩვენგან და, კერძოდ, ინტერტოტოსგან, ცეცხლის ალში გახვეული იუგოსლავიაო, გადაწყვიტა გუშინ უეფამ, თუმცა ამ ქვეყანაზე ბევრად შორსაც ვერ გაიხედა და იუგოსლავიურის ნაცვლად ინტერტოტოს თასის წლევანდელ გათამაშებაში მათი სამხრეთელი მეზობლების, კიდევ ერთი მაკედონიური კლუბის დაშვებას აპირებს.

— ჩვენ გადავწყვიტეთ, ეს გამოთავისუფლებული ადგილი, მსურველთა რიგში პირველად ჩამდგარ მაკედონიელებს ვარგუნოთ, უეფას თასზე და ჩემპიონთა ლიგაში იუგოსლავიელთა მონაწილეობის საკითხი კი 15 ივნისამდე გავარკვიოთ — ასეთი იყო უეფას ოფიციალური განცხადება, რომელიც ბარსელონაში ნაფინალევს გამოცხადდა.

ერთი სიტყვით, გაირკვა, რომ ჩვენებურ ფოთის „კოლხეთს“ აღარ ემუქრება შარშან მის 4:0, 7:0 გამნადგურებელ „ცრვენა ზვეზდასთან“ შეხვედრა. მაგრამ ვიღა ეყოლებათ ფოთელებს მეტოქეთ?

ეს გუნდი ალბათ მაკედონური სკოპიეს „კომენტარნიცა“ იქნება. ამ ქვეყანაში ჩემპიონატის დასრულებას ტურიღა აკლია და გასარკვევი მხოლოდ ჩემპიონის ვინაობა დარჩენილა. ამ ტიტულს ერთმანეთს „სილექსი“ და სამიოდ დღის წინ „ვარდართან“ თასის ფინალში დამარცხებული „სლოგა“ ეცილებიან. მათ მერე პირველი ინტერტოტოელი „პობედაა“, მერე „ვარდარი“ და „კომენტარნიცა“.

თბილისის ბოულინგ-ცენტრი

ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12 ა, ტელ.: 330-350

გაძლევთ შანსს:

მონაწილეობა მიიღოთ კომერციულ ტურნირებში
ანუ 50 ლარად მოიგოთ 500 ლარი

იასპარეზოთ რეგულარულად გამართულ ჩემპიონატებში და
თავი ისახელოთ როგორც თვის საუკეთესო ბოულერმა

შეეჯიბროთ კლუბს: 5 ლარად ითამაშოთ ერთი გეიმი და
დაჯილდოვდეთ: 210 ქულაზე — 100 ლარით, 220 ქულაზე — 200 ლარით,
230 ქულაზე — 300 ლარით

ივარჯიშოთ სპორტულ სექციაში და გახდეთ პროფესიონალი მოთამაშე

ფედერაცია მანჩესტერ იუნაიტედის სპონსორს ეკუთვნოდა





«UMBRO» შეიძლება საქართველოს ნაკრების ტექნიკური სპონსორი გახდეს

შარშანდელი ოქტომბრის მერე ეროვნულ ნაკრებს ტექნიკური სპონსორი არ ჰყავს. „ადიდასის" ადგილობრივ დისტრიბუტორ ფირმა „ვოსს" ფეხბურთის ფედერაცია ისეთივე სკანდალით დაშორდა, როგორც მის წინამორბედს, იტალიურ „**KAPPA**"-ს. მოტივი ამჯერადაც ხელშეკრულების პირობების დარღვევა იყო... ქართული მხარის მიერ. ნაკრების ფეხბურთელებს შეკრებებზე ისევ სხვადასხვა ფირმის ფორმა ემოსათ. „ვოსსმა" ასევე აღმოაჩინა, რომ ხელშეკრულებით ნაკრებისთვის გადაცემული „ადიდასის" პროდუქცია თურმე თბილისის მაღაზიებში და ბაზრობებზე იყიდებოდა. როგორც შევიტყვეთ, ფედერაცია ახალ ტექნიკურ სპონსორთან ივნისში გააფორმებს ხელშეკრულებას. ჩვენივე ინფორმაციით, ეს ცნობილი ბრიტანული კომპანია **UMBRO** იქნება, მართალია, ფედერაციაში ამ ცნობას არ ადასტურებენ, მაგრამ არც უარყოფენ.

ახალი ტექნიკური სპონსორის ძებნა ფედერაციაში ჟორდანიას გუნდის მისვლისთანავე დაიწყო. მიმდინარეობდა აქტიური მოლაპარაკებები „NIKE", „REEBOC", „LOTTO", „DIADORA", „KAPPA" და „UMBRO"-სთან. მარცხით დასრულდა „NIKE"-ს აღმოსავლეთ ევროპის ბიუროსთან ურთიერთობა. ამერიკულმა კომპანიამ უარი თქვა თბილისის „დინამოს" სპონსორობაზე, რითაც ავტომატურად გამოირიცხა მისი ნაკრებზე შეფობა.

„UMBRO"-ს ტექნიკურ სპონსორობაზე რეალურად მაისში ალაპარაკდნენ. ამაში განსაკუთრებული როლი ითამაშა სპონსორული ხელშეკრულების სარფიანმა დეტალებმა (რომლებიც არ ხმაურდება) და ბრიტანული კომპანიის ბოლო სამმა სპონსორულმა წარმატებამ. წლეულს UMBRO-სთან გააგრძელეს კონტრაქტები ინგლისის ეროვნულმა ნაკრებმა და „მანჩესტერ იუნაიტედმა". მსგავსი ხელშეკრულების პირობებს, როგორც წესი, არ ამხელენ. ასე იყო „KAPPA"-სთან, „ADIDASS"-სთან და ბუნებრივია, ასეა ახლაც.

დღეს „სარბიელი" საშუალებას გაძლევთ, გაგაცნოთ ბრიტანული კომპანიის იმ პროდუქციას, რომელიც „UMBRO"-მ შეიძლება საქართველოს ნაკრებს შესთავაზოს.

ეს არის სათამაშო ბუცების ორი სახეობა: 120 დოლარიანი „SPECIAL". წყალგაუმტარი, მსუბუქი ძირით. ფერები: შავი, თეთრი, ნაცრისფერი (ფოტო 1) და 80 დოლარიანი „SUPREMA" (ფოტო 2).

დარბაზის კედების, „CALCIO"-ს ორი სახეობა: 45 დოლარიანი (ფოტო 3), თასმებით და 40 დოლარიანი (ფოტო 4). ორივე ოთხი ფერის (შავი, თეთრი, ნაცრისფერი, მუქი მწვანე) კომბინაციით.

30 დოლარიანი წვივსაფრები, „გლადიატორები" (ფოტო 5). კომბინირებული, შავ-თეთრი და თეთრი-ნაცრისფერი.

ბურთების ექვსი სახეობა: 16 დოლარიანი „HAMPDEN" (ფოტო 6), სამი ფერის (თეთრი, შავი, ღია ცისფერი); 16 დოლარიანი „LEAGUE" (ფოტო 7). ფერები: თეთრი, შავი; 29 დოლარიანი „SHEEN" (ფოტო 8), თეთრი და შავი; ფიფას ლიცენზირებული 60 დოლარიანი „ELITE BRASILIA" (ფოტო 9). თეთრი, შავი და 50 დოლარიანი „ELITE PREMIER" (ფოტო 10). თეთრი, შავი, ორი წლის გარანტიით. 40 დოლარიანი „ELITE VI" (ფოტო 11), რომელსაც „UMBRO"-ს სიურპრიზს უწოდებენ.

ტრუსების სამი სახეობა: 30 დოლარიანი „VELEZ" (ფოტო 12), 22 დოლარიანი „ACROPOLIS" (ფოტო 13) და 21 დოლარიანი „REVERSIBLE MESH" (ფოტო 14). სამივე ნაწარმი 100% ნეილონია. შეკვეთები მიიღება 16 ფერის კომბინაციაზე!

საწვიმრები (ფოტო 15). 75 დოლარიანი, ჯიბეებით, ქუდით, ელვით. გულთან და ზურგზე კომპანიის ლოგოთი. 5 ფერის კომბინაციით.

ორი სახის მაისური: 22 დოლარიანი „AZTECII" (ფოტო 16). მოკლესახელოებიანი, ამოღებული ყელით, ზოლებიანი, 16 ფერის კომბინაციით და 21 დოლარიანი „NAPLES" (ფოტო 17) — სატინა, გრძელი სახელოებით, სადა ზურგით, მარჯვენა მხარეს ლოგოთი VISA, 11 ფერის კომბინაციით.

მეკარის კომპლექტი, რომელიც შედგება ტრუსის და ორი ხელთათმანისგან. 30 დოლარიანი ტრუსი „CK PAZZLE TWILL" (ფოტო 18), შავი ფერის, 100% ნეილონის, 10 დოლარიანი თათმანები „REFLEX" (ფოტო 19), სუფთა ბამბა, ელასტიკური (ფოტო 18) და 65 დოლარიანი „WEBB SUPER PRO" (ფოტო 19). ხუთთითა, ოფლის გაუვნებლობის სისტემით. 6 ფერის.

10 დოლარიანი გეტრები (ფოტო 20). საშუალო ზომის და მუხლამდე სიგრძის. 18 ფერის კომბინაციით.

40 დოლარიანი ჩანთა (ფოტო 21). ბოთლის ჩასადები ადგილით. ორი ჯიბით. 10 ფერის კომბინაციით.

UMBRO-სა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში UMBRO-მ, წესით, უნდა მიიღოს ეროვნული ნაკრების მაისურების საქართველოში გაყიდვის ექსკლუზიური უფლება. ყველა შემთხვევაში ასეთი უფლებით სარგებლობს იგი ბრიტანეთში. ინგლისის ნაკრების (ფოტო 22) და „მანჩესტერ იუნაიტედის" (ფოტო 23) მაისურებს UMBRO 65 დოლარად ჰყიდის.

დღეს „სარბიელმა" UMBRO-ს იტალიური ფილიალის პროდუქცია გაგაცნოთ. თუ კონტრაქტი შედგა, UMBRO-ს შესახებ დამატებით ინფორმაციასაც მოგაწვდით.

სიმონ მენაბდე



















იღბალი და ბედისწერა

ბაბილო კეთილაძის ფოტო

ტორპედოელთა სიხარულს ბოლო არ უჩანს

წყალტუბოს „სამგურალის“ რვა ფეხბურთელი — დავით ასლანაძე, მალხაზ ვოსკანოვი, ილია ჯავახაძე, გიორგი სუხიაშვილი, მალხაზ ჯინჭარაძე, გიორგი შენგელია და ლევან ქობულაძე არცთუ დიდი ხნის წინ „ტორპედოს“ ღირსებას იცავდა.

ქუთაისელები — ზვიად სტურუა, ირაკლი მაღლაკელიძე, კახა კვეტენაძე, კახა ჩხეტიანი, კახა ჯანაშია, არჩილ ჩხაბერიძე, გია მეგრელაძე და ზურაბ იონანიძე თავის დროზე „სამგურალში“ ირიცხებოდნენ...

ორ მეზობელ კლუბს არასოდეს ჰქონია რაიმე გასაყოფი. უმეტეს შემთხვევაში მათ შეხვედრებში იმარჯვებდა ის, ვისაც უფრო სჭირდებოდა მოგება. თამაშობდნენ მშვიდად, აუღელვველად, კორექტულად და მაყურებლის გასახარად. ეს ადრე იყო...

გუშინწინ ყველაფერი შეიცვალა. 26 მაისის ზეიმზე საომრად გავიდნენ მოედანზე. საქართველოს თასის ბრწყინვალებამ „ტორპედოსა“ და „სამგურალის“ ზიარი წარსული დაჩრდილა. ამ ორი გუნდის დაპირისპირების ბოლო ათწლიან ისტორიაში პირველად ემოციებმა დაიპყრო მოედანი. ეს იყო მართლაც ღირსეული ფინალი, რომლის ბედიც სამართლიანად გადაწყვიტა პენალტების სერიამ. დიახ, თუკი ვინმე ოდესმე თერთმეტმეტრიანების სერიით გამარჯვებულის გამოვლენის პრინციპს გაამართლებდა, ძნელად წარმომედგინა, რადგან იღბალი სპორტში ყოველთვის მეორეხარისხოვნად მიმაჩნდა. გუშინწინ შემეცვალა შეხედულება. მატჩის 90 წუთმა დამარწმუნა, რომ საცოდაობა იქნებოდა, ოქროს გოლით, ანუ უეცარი სიკვდილით დამთავრებულიყო ის ნერვების თამაში. ჯეყურები ბრძოლის ჟინით ანთებული წყალტუბოელებისა და მღელვარებით დათრგუნვილი ქუთაისელების მოქმედებას და მწამდა, რომ ყველაფერი გამართლებამდე მივიდოდა, ყველაფერს მისი უდიდებულესობა ფორტუნა გადაწყვეტდა. დამატებითი დროის 30 წუთში ერთი კითხვა არ მასვენებდა — ვისთვის უნდა გაეღიმა ბედს, „ტორპედოსთვის“ თუ „სამგურალისთვის“, ჯემალ ხერხაძისთვის თუ რევაზ ბურკაძისთვის, გია ჭანტურიასთვის თუ დავით ასლანაძისთვის...

მართალი იყო რევაზ ბურკაძე, როცა მატჩის შემდეგ თქვა — მე რაც ვნახე, „ტორპედო“ ქართული ფეხბურთის კვალობაზე ყველასგან გამორჩეულად თამაშობდა, ჩავარდნა კი ყველას აქვსო.

„ტორპედო“ გაცილებით ძლიერია „სამგურალზე“. თასის ფინალმა ეს შეხედულება ვერ დაადასტურა, მაგრამ ქუთაისელთა გუნდი წლეულს, განსაკუთრებით პირველ წრეში, მართლაც კარგ ფეხბურთს თამაშობდა. რომ არა ის ცნობილი ფინანსური კრიზისი და „ტორპედოს“ შემადგენლობიდან რამდენიმე მოთამაშის წასვლა, მერწმუნეთ, ის გუნდი „დინამოს“ ბოლო წუთამდე შეეცილებოდა ჩემპიონობას.

26 მაისს კი ტორპედოელები ფსიქოლოგიურად მოშლილნი იყვნენ. ეს რევაზ ბურკაძემაც აღნიშნა პრესკონფერენციაზე. ეს ბიჭები ხომ ბურკაძის ხელში გამოიზარდნენ და მასზე უკეთ ვინ შეაჩნევდა ამას. იცოდა „სამგურალის“ მწრთნელმა, ასე რომ იქნებოდა, იცოდა, თუ რა ძნელია ითამაშო ისეთ მატჩში (თანაც ფინალში), რომელშიც 100-დან 99 ფავორიტად გთვლის... „ტორპედომ“ სწორედ ეს ფსიქოლოგიური ბარიერი ვერ გადალახა. შეხვედრის წინ ქუთაისელები ამბობდნენ — „სამგურალს“ დასაკარგი არაფერი აქვს, რომც წააგონ, მათ ვერავინ გააკრიტიკებს, ბოლოს და ბოლოს მეთერმეტე ადგილზე არიან, ჩვენ კი — ვერცხლის პრიზიორები. ჩვენ არავინ გვაპატიებს დამარცხებას, არავინ „მოგვეფერებაო“...

ძნელია, შეედავო მათ. „სამგურალის“ გამარჯვებას ყველა „ტორპედოს“ უსუსური თამაშით ახსნიდა. „სამგურალის“ ღირსეულ მოგებას, სამწუხაროდ, მარტო წყალტუბოელებს არავინ მიაწერდა. ეს სიმართლეა და მას თვალი უნდა გავუსწოროთ. ასეა ყოველთვის, როცა სუსტი იმარჯვებს შედარებით ძლიერთან. ყველა ხომ ძლიერის ტრიუმფს მოელის და ხმამაღლა აცხადებს — ფორტუნაც ძლიერის მხარესაო ყოველთვის.

ეს ყოველივე კარგად ესმოდა „ტორპედოს“, მასზე კარგად კი „სამგურალი“ გრძნობდა ამას. ამიტომაც იყვნენ წყალტუბოელები მოედანზე გაცილებით მშვიდნი და დალაგებულნი. მიზანმიმართულად აკეთებდნენ ყველაფერს, თავდაუზოგავად იბრძოდნენ, მქტოქის ფსიქოლოგიურად გატეხვას ცდილობდნენ. როცა საჭირო იყო, ტემპს აგდებდნენ, დროც საკმაოდ გაჰყავდათ და ნელ-ნელა იახლოვებდნენ იმ შანსს, რომელიც მოწინააღმდეგისთვის მოულოდნელ დარტყმას მოჰყვება ხოლმე. „ტორპედო“ აჭრილი იყო. დიდი დრო დასჭირდათ ქუთაისელებს გონს მოსასვლელად. ისიც ესმოდათ, რომ თუ დამარცხდებოდნენ, ამით ქვეყანა არ დაიქცეოდა და დიდი ტრაგედია არ მოხდებოდა. ისედაც ხომ განაღდებული ჰქონდათ უეფას თასის საგზური და არ იყო გამორიცხული, მათი მარცხი ბევრს მეზობელი წყალტუბოელების პირველად ევროთასზე გასვლისთვის ხელშეწყობად ჩაეთვალა. ამ მატჩს ხომ ისედაც წინასწარ ნათლავდნენ „მშვიდ პაექრობად“ და იმერლების მეგობრულ ფინალად.

აი, სწორედ ეს ფიქრი არ გაიკარეს ტორპედოელებმა ახლოს, შეხვედრის მსვლელობის დროს ერთხელაც არ შეჰპარვიათ ეჭვი საკუთარ გამარჯვებაში, ბოლომდე გრძნობდნენ უდიდეს პასუხისმგებლობას გულშემატკივრების წინაშე, საკუთარ თავთანაც მართალნი იყვნენ და შეძლეს გრძნობების დათრგუნვა. ცივსისხლიანებივით იყვნენ დამატებით დროში და მერეც, პენალტების სერიაში. ისე ურტყამდნენ თერთმეტმეტრიანებს, თითქოს ამხანაგური შეხვედრა ყოფილიყო...

„სამგურალმა“ კი რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა. წყალტუბოელებმა ღირსეული ბრძოლა გამართეს, ისეთი, როგორსაც მათგან ძნელად თუ ელოდა ვინმე. რევაზ ბურკაძემაც თავისი კოზირები ბოლომდე მიზანმიმართულად გამოიყენა, მაგრამ ძალა აღარ ეყოთ ფეხბურთელებს. ფიზიკურმა კონდიციებმა უმტყუნათ, შემდეგ უიღბლობის სინდრომზე იწყეს ფიქრი და ცდილობდნენ, როგორმე ჩაეთავრებინათ 120 წუთი, როგორმე პენალტებამდე მოეყვანათ საქმე და შედეგის გადაწყვეტაც ფორტუნას მიანდეს.

პენალტების სერია

მატჩის წინა დღეს ქუთაისელებმა დავით ასლანაძე გამოიწვიეს „სამგურალიდან“. წყალტუბოში განთხოვრებულ მეკარეს უფრთხოდნენ თუ რა, ფაქტია, რომ მისი თამაში ზუსტად 26 მაისს გადაწყდა. მოლაპარაკებებმა დაარწმუნა „ტორპედოს“ ხელმძღვანელობა, რომ მათ იურიდიულად გამაგრებულ გადაწყვეტილებას მორალური თვალსაზრისით არავინ გაამართლებდა. ამგვარ ნაბიჯს სიმხდალეში ჩაუთვლიდნენ. საცოდაობა იქნებოდა ამ მართლაც ნიჭიერი ახალგაზრდა მეკარის უთამაშებლობა. „ტორპედომ“ შეძლო, ამბიციაზე მაღლა დამდგარიყო, ასლანაძემაც დაუმტკიცა ყველას თავისი სიძლიერე. თუმცა...

თავის მხრივ გია ჭანტურიამაც აჩვენა ყველას, თუ რატომ დგას ქუთაისელთა კარის დარაჯად, რატომ მიიწვიეს ეროვნულ ნაკრებში. ჭანტურიას „ტორპედოს“ ვალი ჰქონდა და თანაც როგორი. ინტერტოტოზე „ლომელთან“ საბედისწერო მარცხში ხომ ქუთაისელთა მეკარემ ლომის წილი დაიდო. ჭანტურიას აქამდე არ ასვენებდა მაშინდელი შეცდომებისგან გამოწვეული კოშმარი, იგი თანაგუნდელთა და ქომაგთა თვალში რეაბილიტაციის შანსს ელოდა და ხელიდან აღარ გაუშვა. ასლანაძისგან განსხვავებით, უფრო გამოცდილი ჭანტურია ეშმაკური ღიმილით გამოელაპარაკა წყალტუბოელთა მხრიდან პირველი პენალტის დამრტყმელ მალხაზ ჯინჭარაძეს — ჰა, მითხარი ახლა რომელ კუთხეში მიგტაცებ ბურთს, ერთი შეხედვით არაფერი განსაკუთრებული არ მოუმზადებია „ტორპედოს“ გოლკიპერს, მაგრამ ფეხბურთში და თანაც პენალტების სერიაში ყოველ ნიუანსს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჭანტურიამ გაღიმებული სახე დაანახვა სამგურალელს, აგრძნობინა, რომ მისი არ ეშინოდა, აგრძნობინა, რომ საერთოდ არ ღელავდა, ანკესი გადაუგდო მეტოქეს და ისიც წამოეგო. ჯინჭარაძე კი ნერვიულობდა, ისევე, როგორც წყალტუბოელთა უმრავლესობა. იმ წუთებში გამოჩნდა ის, რითაც „ტორპედო“ ძლიერი იყო „სამგურალზე“ და მაინც... გადამწყვეტი მომენტი ამ პენალტამდე ნახევარი წუთით ადრე იყო. ქუთაისელთა გუნდის უდავო ლიდერმა დავით ჯანაშიამ აჩვენა ყველას, რომ იგი მართლაც ლიდერია. პირველი გაემართა თერთმეტმეტრიანის დასარტყმელად და პირველი გოლის სიხარული განაცდევინა თანაგუნდელებს. მისი სიდინჯე დანარჩენ ოთხეულსაც გადაედო. ჯანაშიას გოლმა „ტორპედოს“ მღელვარებას ბოლო მოუღო.

პენალტების სერია ამ მართლაც დრამატული ფინალის კანონზომიერი დასასრული იყო, ის წამები კი მართლაც დაუვიწყარი. გია მეგრელაძეს, მგონი, არც ერთი თერთმეტმეტრიანისთვის არ შეუხედავს, მინდორზე კარისკენ ზურგით იჯდა. ალეკო შეყრილაძეც მხოლოდ ხალხის რეაქციით ხვდებოდა მოვლენების განვითარებას...

ბედისწერა?

26 მაისს ძლიერს გაუმართლა. „ტორპედო“ იღბალმა არ მიატოვა და პირველად საქართველოს თასს ქუთაისში დაუდო ბინა. ტრიუმფატორები უსაზღვროდ გახარებულნი ტოვებდნენ თბილისს და იმერეთში მიჰქონდათ ეს მართლაც მშვენიერი ჯილდო. იმერეთს უბრუნდებოდა დამარცხებული, აცრემლებული „სამგურალიც“, შეათე ეროვნულის მართლაც კოლორიტული გუნდი. ერთ-ერთი დამწუხრებული სამგურალელის თანაგრძნობით დამშეიდება ვცადე და დანანებით ვუთხარი, გულს ნუ გაიტეხ, თქვენთვისაც დადგება-მეთქი გაზაფხული — ეჰ, არასოდესო, მიპასუხა, ჩვენი გუნდი იშლება, რადგან ასეთი შანსი ალბათ აღარ გვექნებაო.

ეს არ იყო გადაჭარბებული პესიმიზმის გამოვლინება. ამ სიტყვების სიმართლე წყალტუბოელთა კლუბის მესვეურებმა უნდა გააქარწყლონ. თასის ფინალში „ტორპედოს“ გამარჯვება „სამგურალის“ ბედისწერად არ უნდა იქცეს. ასეთი გუნდის დაშლა კიდევ ერთ ცოდვად დააწვება ისედაც დამძიმებული ქართული ფეხბურთის დასნეულებულ სხეულს...

ხვიჩა სანიკიძე

ბაბილო კეთილაძის ფოტო

კახა კვეტენაძის და დავით ასლანაძის მორიგი დუელი. „სამგურალი“ გოლს გადაურჩა

ბაბილო კეთილაძის ფოტო

„ტორპედოს“ გამარჯვებაში თავისი მოკრძალებული წვლილი ახალწვეულმა გიორგი მაზანიშვილმაც (№15) შეიტანა

მუტალაში იტალიით

UEFA UNDER-18 Championship SWEDEN 99 ÖSTERGÖTLAND 18 - 26 JULI

ევროპის თვრამეტწლამდელთა ჩემპიონატს 18-26 ივლისს რომ ჩატარდება, შვედეთის ერთ-ერთი ბალტიისპირული ლიონი ოსტერგიოტლანდი უმასპინძლებს. ამ მხარის ხუთ ქალაქში ჩატარდება 14 მატჩი, რომელთა თანმიმდევრობა შვედეთში გამართული წილისყრით უეფამ გუშინ დაადგინა: ქართველთა პირველი მეტოქე იტალიაა

„ა“ ჯგუფი

შვედეთი
საფრანგეთი
საბერძნეთი
ბოსნია ან
პორტუგალია

შვედეთი

შვედები მაპინძელი ქვეყნის უფლებით სარგებლობენ, ფინალურ ეტაპზე შესარჩევი წრის გარეშე იასპარეზონ. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია სკანდინავიელთათვის საჩემპიონატოდ დიდი სამზადისი გაეჩაღებინათ. იანვარში მათ იტალიას მოუგეს 3:0, მარტში პორტუგალიას 1:1 დაუზავდნენ, აპრილში ჯერ საფრანგეთი 4:1 გაანადგურეს და მერე ავსტრია 4:0. ჩემპიონატამდე, უფრო ზუსტად ივნისის დასაწყისში მასპინძლები ორჯერ თურქეთსაც ეთამაშებიან ამხანაგურად.

24.03.99 პულა
ხორვატია — საფრანგეთი 0:4

12.05.99 კლერმონ ფერანი
საფრანგეთი — ხორვატია 1:2

ამ დაპირისპირების გამარჯვებული პირველივე შეხვედრაში გამოვლინდა — ფრანგებს საპასუხო მატჩში თავი არ მოუკლავთ და გაცილებით სუსტ მეტოქესთან შინ ამიტომაც დამარცხდნენ.

10.04.99 სანტარემი
პორტუგალია — ბოსნია 2:1

28.05.99 სარაევო
ბოსნია — პორტუგალია

პორტუგალიელებს ურთულესი ამოცანის გადაჭრა მოუწევთ. მართალია, პირველი მატჩი მოიგეს, მაგრამ ბოსნიელი მირზა მესიჩის 43-ე წუთზე გატანილმა გოლმა მათი ევროპის ჩემპიონატზე მონაწილეობა საეჭვო გახადა. ყველაფერი დღეს, ნაწილისყრევს გაირკვევა, რადგან აქამდე ბალკანეთში საომარი მოქმედებების გამო უეფამ ბოსნიაში ამ მატჩის ჩატარება ვერ შეძლო.

07.04.99 ქსანტი
საბერძნეთი — შოტლანდია 1:0

21.04.99 სტერლინგი
შოტლანდია — საბერძნეთი 0:0

ძალიან დაძაბული ორთაბრძოლები იყო. როგორც ასეთ დროს ხშირად ხდება, ყველაფერი ერთმა გოლმა გადაწყვიტა — გეორგიოს პასიოსმა მე-20 წუთზე ბერძნებს ევროპის ჩემპიონატის საგზური მოუპოვა. საპასუხო შეხვედრა სტუმრებმა კაცნაკლულებმა დაასრულეს — 68-ე წუთზე ჯეიმს სმიტთან უხეშობის გამო დიმიტრის ტავლარიდისი გააძევეს.

„ბ“ ჯგუფი

ირლანდია
ესპანეთი
იტალია
საქართველო

09.03.99 ბელფასტი
ჩრდ. ირლანდია — ირლანდია 1:2

11.05.99 დუბლინი
ირლანდია — ჩრდ. ირლანდია 2:1

ევროპის 18-წლამდელ ფეხბურთელთა ბოლო ჩემპიონატის გამარჯვებულმა ირლანდიის ნაკრებმა ტიტულის შენარჩუნებისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. ისევე, როგორც ბელფასტის შეხვედრაში, დუბლინშიც ირლანდიელთა გამარჯვება გარი დოჰერტიმ განაპირობა. მის მიერ 72-ე წუთზე შეგდებულმა გოლმა ჩრდილოირლანდიელთა იმედები საბოლოოდ დაასამარა.

28.04.99 მურსია
ესპანეთი — ნორვეგია 0:0

11.05.99 სენდფიორდი
ნორვეგია — ესპანეთი 1:1

საპასუხო მატჩის 67-ე წუთზე დავიდ აგანსო მენდესმა ესპანელთათვის ძალიან მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა და თავისიანებს ევროპის 18 წლამდელ ფეხბურთელთა ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მოუპოვა. მენდესმა ტომას ჰოლმის წუთით ადრე შეგდებული ბურთი გაქვითა.

14.04.99 ჰერენვენი
ჰოლანდია — იტალია 1:0

05.05.99 რეჯო დი კალაბრია
იტალია — ჰოლანდია 1:0 (5:4პ)

რომ არა ენცო მარეშა, იტალია კონტინენტის პირველობის ფინალურ ეტაპზე ვერ მოხვდებოდა. მის მიერ სერჯ ვან დენ ბამის კარში გატანილი გოლი იტალიელთათვის გამარჯვების მომტანი აღმოჩნდა. რადგან ორი შეხვედრის შემდეგ ფინალისტი ვერ გამოვლინდა, ჯერი პენალტების სერიაზე მიდგა. იტალიელთა მეკარე ალესანდრო ლეოპტიციმ ჰოლანდიელი მცველის, ხორდი ზუიდამის თერთმეტმეტრიანი მოიგერია და „სკუადრა აძურას“ მოაგებინა.

21.04.99 ოპავა
ჩეხეთი — საქართველო 2:2

11.05.99 ბათუმი
საქართველო — ჩეხეთი 2:1

საქართველო ჯერ კიდევ პირველ შეხვედრაში იგებდა 2:0, თუმცა საბოლოო წარმატებას ბათუმში 5 ათასი ქომაგის თვალწინ მიაღწია. გადამწყვეტი გოლი ვალერი გაგუამ გაიტანა 78-ე წუთზე. ოპავური ფრე კი ლაშა ჯაკობიას დუბლმა განაპირობა.

ჩემპიონატის კალენდარი

18 ივლისი	ლინჩიოპინგი	შვედეთი — საფრანგეთი
	ფინსპანგი	ბოსნია ან პორტუგალია — საბერძნეთი
19 ივლისი	ატვიდაბერგი	ესპანეთი — ირლანდია
	მუტალა	იტალია — საქართველო
20 ივლისი	მუტალა	შვედეთი — ბოსნია ან პორტუგალია
	ნორჩიოპინგი	საფრანგეთი — საბერძნეთი
21 ივლისი	ლინჩიოპინგი	ესპანეთი — იტალია
	ფინსპანგი	ირლანდია — საქართველო
22 ივლისი	ატვიდაბერგი	საბერძნეთი — შვედეთი
	მუტალა	ბოსნია ან პორტუგალია — საფრანგეთი
23 ივლისი	ატვიდაბერგი	საქართველო — ესპანეთი
	ნორჩიოპინგი	იტალია — ირლანდია
25 ივლისი	ლინჩიოპინგი	მატჩი მესამე ადგილისთვის
26 ივლისი	ნორჩიოპინგი	ფინალი

ატვიდაბერგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოპარვალენი



მოედნის ზომა: 105X65მ
ტევადობა: 5 800
(800 დასაჯდომი)
სარეკორდო დასწრება: 11 052
1968 წლის 5 მაისს „ატვიდაბერგის“ და „ნორჩიოპინგის“ მატჩზე
მასპინძლობს: შვედეთის ერთ ამხანაგურ მატჩს 3 ივნისს თურქეთთან, ევროპის თვრამეტწლამდელთა ჩემპიონატის „ბ“ (19, 23 ივლისს) და „ა“ (22) ჯგუფის მატჩებს.

ნორჩიოპინგი

იდროტსპარკენი

მოედნის ზომა: 105X68მ
ტევადობა: 21 000
(13 500 დასაჯდომი)
სარეკორდო დასწრება: 31 737
1956 წლის 7 ივნისს „ნორჩიოპინგის“ და „მალმიოს“ მატჩზე განახლებულია 1992 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის.
მასპინძლობს: შვედეთის უახლოეს ამხანაგურ შეხვედრას 1 ივნისს თურქეთთან, „ა“ (20 ივლისს) და „ბ“ (23) ჯგუ-ფების თითო მატჩს და 26 ივლისს ფინალს

ლინჩიოპინგი

ფოლკუნგავალენი



მოედნის ზომა: 105X68მ
ტევადობა: 7 000
(2 400 დასაჯდომი)
სარეკორდო დასწრება: 18 090
1973 წლის 17 მაისს „სააბისა“ და „ატვიდაბერგის“ მატჩზე, რომელიც სტუმრებმა 3:1 მოიგეს
მასპინძლობს: შვედეთის პირველ, „ბ“ ჯგუფის მეორე ტურის მატჩს, მცირე ფინალს 25 ივნისს და ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალს 17 ივნისს

მუტალა



იდროტსპარკენი

მოედნის ზომა: 105X65მ
ტევადობა: 13 000
(7 00 დასაჯდომი)
სარეკორდო დასწრება: 12 863
1957 ნლის 2 ივნისს ადგილობრივი მუტალას აიფ-ის და „იორგრიტეს“ მატჩზე
მასპინძლობს: „ბ“ (19 ივლისს) ჯგუ-ფეის ერთ და „ა“ (20 და 22 ივლისს) ჯგუ-ფის ორ მატჩს

ფინსპანგი

გროსვადი



მოედნის ზომა: 105X65მ
ტევადობა: 3 000
(1 000 დასაჯდომი)
სარეკორდო დასწრება: 3 052
1984 წელს სატელევიზიო შოუსას
მასპინძლობს: „ა“ (18 ივლისს) და „ბ“ (21 ივლისს) ჯგუფების თითო მატჩს

პელე და სუპერმარკეტი

პელემ თქვა, რომ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მის სამშობლოში, ბრაზილიაში, ჩატარებას მხარს არ უჭერს:

„2006 წლის პირველობისთვის ბრძოლა პირწმინდა ფულის ხარჯვაა“ — განაცხადა ფეხბურთის მეფემ და დასძინა, რომ ბრაზილია კარგი ათი წლის მერეც არ იქნება მზად მსოფლიოს ფეხბურთის უდიდესი შეჯიბრების სამასპინძლოდ — „ჩვენი ქვეყანა რამდენიმე წლის წინ რომ ყოფილიყო ასეთი რამის კანდიდატი, ნორმალური იქნებოდა, რადგან ეკონომიკა შედარებით სტაბილური გახლდათ, მაგრამ დღეს ეს შეუძლებელია. საორგანიზაციო კომიტეტმა დახმარება რომ მთხოვოს, უეჭველად უარს შევუთვლი. არ მსურს ვიყო რომელიმე იმ ჯგუფის წევრი, რომელიც 2006 წლისთვის იბრძოლებს. ამ ჯგუფებს მიზნად ფულის შოვნა აქვთ დასახული, მაგრამ საამისოდ აუცილებელ ტიტანურ შრომას არ ეწევიან. ამ წუთას, ბრაზილიაში, მსოფლიოს ჩემპიონატს, რომ ეკადრებოდეს, ერთი სტადიონიც არ არის. „მარაკანაც“ საშინელ დღეშია. სარბიელების მოსამზადებლად მილიარდები იქნება საჭირო. მოკლედ, ბრაზილიის მცდელობა განწირულია და ამასთან საერთო არაფერი მინდა მქონდეს“.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის სამასპინძლოდ ხუთი ქვეყანა იბრძვის: ბრაზილია, ინგლისი, გერმანია, მაროკო და სამხრეთ აფრიკა. საბოლოო სიტყვას ფიფა 2006 წლის მარტში იტყვის.

მაინც სად სჯობს ჩემპიონატის ჩატარება?

„ჩინებულ გამოსავალს შემოგთავაზებთ“ — ამბობს პელე და ალბათ თან ხუმრობს, თანაც სერიოზულია — „ადგნენ ინგლისი და გერმანია და იაპონია-კორეის მსგავსად ერთად უმასპინძლონ პირველობას. ესეც თქვენი პასუხი და გამოსავალი“.

კიდევ, ფეხბურთის მეფე შეშფოთებული ყოფილა იმით, რომ დედამიწაზე ძალიან ბევრი საფეხბურთო შეჯიბრება ტარდება და მათი გვარიანი ნაწილი ერთობ მეორეხარისხოვანი და აზრსმოკლებულია.

„კიდევ კარგი ამაზე ფიფას პრეზიდენტს, ზეპ ბლატერს ველაპარაკე და დავწყნარდი. ვგონებ, ჟოაო აველანჟის ხელმწიფობის შემდეგ ბატონი ბლატერი მსოფლიო ფეხბურთსთვის დემოკრატიის სულის შთაბერვას აპირებს. მისი იდეები გაცილებით უფრო პატივსაცემია, რისთვისაც მადლობას ვუხდი. აველანჟის დროს საქმე ყოველმხრივ უარესად იყო.

ახლა, რაც შეეხება ერთი მსაჯისა და ოთხი თანამსაჯის მოსაზრებას, რომელიც მსოფლიო საზოგადოებრიობას პელემ შესთავაზა.

„დღესდღეობით ეს მხოლოდ და მხოლოდ მოსაზრებაა. მე თუ მკითხავთ ორი მთავარი მსაჯის ექსპერიმენტი არ ამართლებს და ამიტომაც ვამბობ ორი თანამსაჯი დავამატოთ, მეთქი, დამატებულები კარსუკანა ხაზებს გააკონტროლებენ“ — ამბობს პელე.

და ბოლოს, პელესა და „მედია პარტნერზის“ შესახებ: მოგეხსენებათ, სადაც მილანური ფირმა „მედია პარტნერზია“, იქაა იდეები სუპერლიგის თაობაზეც. ამ შემთხვევაში ბრაზილიურ სუპერლიგაზეა საუბარი.

„დიახ, ჩვენ ამ პროექტზე ვმუშაობთ“ — ამბობს 1995-98 წლებში ქვეყნის სპორტის მინისტრი, რომელმაც თანამდებობაზე ყოფნის დროს ეგრეთწოდებული „პელეს კანონი“ შეიმუშავა — „პელეს კანონით ბრაზილიურ კლუბებს კორპორაციებად ქცევის შანსი მიეცემათ, ისე, როგორც ევროპაში. თან მარტო „მედია პარტნერზი“ როდია ჩვენი კლუბების შესყიდვით დაინტერესებული. ბოლო დროს სულ მეტი და მეტი ფირმა აქტიურობს. ერთი მხრივ ეს კარგი ტენდენციაა, მაგრამ არის რისკი იმისა, რომ ერთმა რომელიმე კორპორაციამ ქვეყნის სამი-ოთხი გუნდი იყიდოს, რაც ერთობ სახიფათო იქნება“.

ამრიგად, პელე დიდ პროექტებსაა შეჭიდებული და მიზნად აი, რის გამოსწორებას ისახავს:

„დღეს ბრაზილიური ფეხბურთი უცხოელთათვის ნამდვილი სუპერმარკეტია“.

ფეხბურთის რუკასთან

ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების და ამსტერდამის „აიაქსის“ მეკარე ედვინ ვან დერ სარი მომავალი სეზონიდან ტურინის „იუვენტუსის“ ღირსებას დაიცავს. ეს ინფორმაცია ჰოლანდიური კლუბის წარმომადგენლობამ სამშაბათს გაავრცელა. არაფერი თქმულა იმის შესახებ, თუ რამდენს გადაიხდის ტურინული კლუბი 28 წლის მეკარის სანაცვლოდ. „დასანანია, რომ გუნდი მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო გოლკიპერმა დატოვა“ — განაცხადა „აიაქსის“ ხელმძღვანელობამ. ვარ დერ სარი ამსტერდამულ კლუბში 1989 წელს ჩაირიცხა. მასთან ერთად ხუთჯერ — ჰოლანდიის ჩემპიონობა, სამჯერ — ქვეყნის თასი, 1992 წელს უეფას, ხოლო 1995 წელს ჩემპიონთა თასი მოიგო. ჰოლანდიელის გადაბირება „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და რომის „ლაციოსაც“ სურდათ, მაგრამ ყველას ტურინულმა კლუბმა აჯობა.

ინგლისური პრემიერლიგის ახლახან გასრულებულ სეზონში მეოთხე ადგილზე გასულ „ლიდს იუნაიტედში“ შევსებაა. კლუბის ხელმძღვანელობამ ნორვეგიის ნაკრების ნახევარმცველი, ამ ქვეყნის მეორედივიზიონურ „სოგნდალში“ მოთამაშე იერიკ ბაკე გადაიბირა. „ლიდსმა“ ნორვეგიელის სანაცვლოდ მილიონი გირვაქნა (1,6 მილიონი დოლარი) გაიღო. კლუბის თავკაცი დევიდ ოლირი ამბობს: „ბაკე ახალგაზრდა, მაგრამ ჩამოყალიბებული და დიდი პოტენციალის მქონე ფეხბურთელია. ჯერჯერობით იგი სარეზერვო გუნდში იქნება, თუმცა მალე ალბათ, ძირითადშიც ვიხილავთ. ამის თქმის უფლებას მისი შრომისმოყვარეობა მაძლევს. იერიკი ჩვენ მილიონი გირვანქა დაგვიჯდა, რაც დღევანდელ ბაზარზე მიზერული თანხაა, იგი მომავლის მოთამაშეა“. 21 წლის ნიჭიერი ნახევარმცველი ამბიციურ „ლიდსში“ ერთკვირიანი შემოწმების შემდეგ ჩაირიცხა.

იტალიური სერია A-ს კლუბის „ვენეციას“ უფროსობამ გააკეთა ოფიციალური განცხადება, რომ მომავალი სეზონში გუნდს გენუის „სამპდორიის“ ყოფილი მწვრთნელი, ლუჩანო სპალეტი უთავკაცებს. სპალეტი ამ თანამდებობაზე ვალტერ ნოველინოს შეცვლის, რომელიც თავის მხრივ თანახმაა, სერია B-ს კლუბი, 1989 წელს დიდებულ დიეგო მარადონასთან ერთად იტალიის ჩემპიონი „ნაპოლი“ გაწვრთნას. ნეაპოლელებმა მთავარი მწვრთნელი რენცო ულივიერი მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც გუნდმა ქვეყნის უძლიერეს ლიგაში გადასვლა ვერ მოახერხა. რაც შეეხება სპალეტის, მისი და „სამპდორიის“ ურთიერთობა გენუელთა სერია A-დან გავარდნის მერე შეწყდა. ბოლო 17 წელიწადში „სამპამ“ პირველად გადაინაცვლა ქვედა ლიგაში.

ჰოლანდიის უტიტულოვანესმა კლუბმა, ამჟამად კრიზისში მყოფმა ამსტერდამის „აიაქსმა“ ახალი ფეხბურთელი იყიდა. ეს ახალგაზრდა ავსტრალიელი ნახევარმცველი, თავის ქვეყნის ნაკრებში მხოლოდ ერთხელ ნათამაშევი ჯეისონ კულინა გახლავთ. 18 წლის ფეხბურთელი მაისის დასაწყისში ეწვია ჰოლანდიის დედაქალაქს, მთელი თვის განმავლობაში „აიაქსთან“ ერთად ვარჯიშობდა, რის შემდეგაც სახელოვან კლუბთან ხუთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. აქამდე კულინა მშობლიურ „სიდნეი ოლიმპიკში“ გამოდიოდა.

სლოვენიის თასის გათამაშების პირველ ფინალურ მატჩში „მარიბორმა“ სტუმრად „ოლიმპიას“ სძლია. გოლები მასპინძლთაგან ნიჰად პეიკოვიჩმა (47პ) და ედის კაუსევიჩმა (53) გაიტანეს, ხოლო „მარიბორიდან“ თავი გამოიჩინეს ერთხელ დეიან დიურნოვიჩმა (63), ხოლო ორჯერ კლიტონ მოზელმა (67, 83).

ხორვატიის ჩემპიონატი: „კროაცია“ — „ვარტექსი“ 2:0; „რიეკა“ — „ოსიეკი“ 1:1; „დრაგოვოლიაცი“ — „ჰაიდუკი“ 3:1; „სიბენიკი“ — „სლავენ ბელუპო“ 1:1; „ზლადოსტი“ — „ზაგრები“ 2:1; „სიბალია“ — „ზადარკომერცი“ 1:1. ხორვატიის ჩემპიონის ტიტული ზაგრების „კროაციამ“ შეინარჩუნა, არადა „რიეკა“ სტუმრად „ოსიეკისთვის“ რომ მოეგო, პირველად გახდებოდა ქვეყნის უძლიერესი კლუბი.

იუგოსლავიის ეროვნული გუნდის თავდამსხმელი, ამჟამად ესპანურ „სოსიედადში“ მოთამაშე დარკო კოვაჩევიჩი ამბობს, რომ კლუბის დატოვებას და კარიერის მადრიდის „ატლეტიკოში“ გაგრძელებას აპირებს. „ყველამ იცის „ატლეტიკო“ რომ ჩემით დიდად არის დაინტერესებული. მეც მსურს მადრიდში გადაბარგება. ამ წუთისთვის მეტს ვერაფერს ვიტყვი, ვინაიდან მოლაპარაკებები ჯერ კიდევ მიმდინარეობს“ — თქვა ფორვარდმა, რომელიც სან სებასტიანის კლუბში 1996 წელს გადავიდა ინგლისური „შეფილდ უენსდეიდან“. „აქ სამი ჩინებული სეზონი ჩავატარე, მაგრამ ამბიციები მაწუხებს და დიდ გუნდში თამაში მსურს. ასეთად ამ ეტაპზე სწორედ „ატლეტიკო“ მიმაჩნია, მას შეუძლია დიდი მიზნებისთვის ბრძოლა“ — დაამატა კოვაჩევიჩმა.

ინგლისელი ვეტერანი მცველი ტონი ადამსი ნაკრების მომავალ ორ მატჩს გამოტოვებს. ინგლისელები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ივნისში შვედებს და ბულგარელებს ხვდებიან. ფეხბურთელის კლუბის ლონდონის „არსენალის“ პრესმდივნის თქმით, ადამსის არყოფნის მიზეზი ზურგის ქრონიკული ტრავმა გახლავთ. 32 წლის მცველი სეზონისშემდგომ აზიურ ტურნირში იმყოფებოდა „არსენალთან“ ერთად და ტრავმაც იქ გაიმიზეზა. „სამდიცინო შემოწმების შემდეგ გაირკვა, რომ ადამსისთვის დღესდღეისობით თამაში არ შეიძლება, თორემ, შესაძლოა, მან კარიერა დაასრულოს“ — განაცხადა ინგლისის ვიცე-ჩემპიონის ექიმმა. ქვეყნის პირველი ნაკრების თავკაცი კევინ კიგანი გუნდის საბოლოო შემადგენლობას დღეს დაასახელებს.

უძრაინის ჩემპიონატის ორი მატჩი, რომლებიც კალენდრის მიხედვით ოთხშაბათს უნდა გამართულიყო, საშინელი ტრაგედიის გამო გადაიდო. დონეცკის რეგიონში ამოვარდნილი ქარიშხლის შედეგად დაიღუპა 39 და მძიმედ დაშავდა 50 ადამიანი. „ეს ეროვნული ტრაგედიაა და ამ დროს ფეხბურთის თამაში სირცხვილად მივიჩნიეთ“ — თქვა უკრაინის პროფესიონალური საფეხბურთო ლიგის ერთ-ერთმა შეფმა სერგეი სონინმა. აწ უკვე გადადებულ მატჩებში ერთმანეთს კიევის „დინამო“ და კიევის ცსკა, აგრეთვე ლვოვის „კარპატი“ და დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ უნდა შეხვედროდნენ. აქვე იმასაც გეტყვით, რომ კვირას უკრაინის თასის ფინალში ერთმანეთს დედაქალაქური „დინამო“ და „კარპატი“ დაუპირისპირდებიან.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

ხილი ხილის მორიგი შარი

ხესუს ხილი ხილი

მადრიდის „ატლეტიკოს“ შერეკილი პრეზიდენტი ხესუს ხილი ხილი მორიგ სკანდალში გაეხვა და თუ ის ამბავი დაუმტკიცდა, რომელსაც ესპანური მასმედია ედავება, შეიძლება დააპატიმრონ. ამას წინათ რადიოსადგურმა „კადენა კოპემ“ 65 წლის პრეზიდენტი ქრთამის მიცემაში დაადანაშაულა. თურმე ნუ იტყვით და ხილი ხილმა პრიმერა დივიზიონის ბოლო ტურის წინ „მალიორკას“ და „ბეტისის“ ფეხბურთელები მოინახულა, 254-254 ათასი დოლარი გადასცა და ასე უთხრა — აბა, თქვენ იცით, აუცილებლად უნდა მოიგოთო. მართლაც, XXXV ტურში „მალიორკამ“ შინ „ესტრემადურას“ მოუგო (2:0), ხოლო სევილიელებმა სტუმრად 4:3 სძლიეს „ვილიარეალს“. და რაში აწყობდა „ატლეტიკოს“ მათი გამარჯვება? რაში და იმაში, რომ მადრიდელები არნახულ კრიზისში იმყოფებიან, სამარცხვინო მე-15 ადგილზე არიან და დიდი შანსია მეორე დივიზიონშიც ამოჰყონ თავი. „ესტრემადურა“ და „ვილიარეალი“ კი სნორედ სახიფათო ზონაში იმყოფებიან და მათი მოგების შემთხვევაში „ატლეტიკოს“ მდგომარეობა კატასტროფული გახდებოდა.

„კადენა კოპე“ კი ირწმუნება ამას, მაგრამ ხესუს ხილსაც ხომ გააჩნია პოზიცია. პოზიცია, რომელიც მან რადიოსადგურ „ვოზ“-ში ხმამაღლა გამოთქვა.

— არავისთვის ერთი პესეტაც კი არ მიმიცია. ნუთუ ასეთი ბრიყვი გგონივართ? ყველას ვთხოვ სისულელეების როშვას შეეშვან და სანამ რაიმეს იტყვიან, ცოტა დაფიქრდნენ.

ამხანაგური მატჩი 29 მაისი. კოლუმბია — სალვადორი

კოლუმბიის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — რენე ივიტა (მედელინი), აგუსტინ ხულიო (სანტა ფე); მცველები — ხერსონ გონსალესი, ფოად მაზირი (ამერიკა), მანუელ გალარსიო (ატლეტიკო ჟუნიორი), პედრო პორტოკარერო (სანტა ფე), რობერტო კარლოს კორტესი (მედელინი), რუბიელ კუინტანა (ტულუა); ნახევარმცველები — ხუან კარლოს რამირესი (მედელინი), ფრედი ხისალესი (ატლეტიკო ნასიონალი), გუსტავო დელ ტორო (სანტა ფე), ხორხე ბოლანო (ატლეტიკო ჟუნიორი), ეკტორ ურტადო (ამერიკა); თავდასმხმელები — ხულიან ტრელესი (ამერიკა), ედვინ კონგო (კალდასი), ორლანდო ბალესტეროსი (ბუკარამანგა)

ამხანაგური მატჩი 29 მაისი. ირლანდია — ჩრდ. ირლანდია

ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — მარკ ტეილორი (ფულემი, ინგლისი), ტომი რაიტი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი); მცველები — აარონ ჰიუზი (ნიუკასლ იუნაიტედი, ინგლისი), დარენ პეტერსონი (დანდი იუნაიტედი, შოტლანდია), მარკ უილიამსი (ჩესტერფილდი, ინგლისი), ბარი ჰანტერი (რედინგი, ინგლისი), კოლინ ჰილი (ნორსჰემპტონ თაუნი, ინგლისი); ნახევარმცველები — კიტ გილესპი, დემიენ ჯონსონი (ბლეკბერნ როვერსი, ინგლისი), ჯონ მაკართი (ბირმინგემ სიტი, ინგლისი), ნილ ლენონი (ლესტერი, ინგლისი), ფილიპ მერლინი (ნორვიჩ სიტი, ინგლისი), ჯიმ მაგილტონი (იფსვიჩ თაუნი, ინგლისი), სტეფან რობინსონი (ბორნმუტი, ინგლისი), კეიტ როულენდი (ქუინზ პარკ რეინჯერსი, ინგლისი); თავდამსხმელები — იან დაუი (ქუინზ პარკ რეინჯერსი, ინგლისი), ადრიან კოტი (ნორვიჩ სიტი, ინგლისი), პოლ მაკ ვიგი (ტოტენჰემ ჰოთსფური, ინგლისი), ჯეიმს ქუინი (ვესტ ბრომვიჩ ალბიონი, ინგლისი), გლენ ფერგიუსონი (ლინფილდი)

საგზურის მოლოდინში

რამდენიმე დღის წინ დასრულებულ პრემიერლიგის გათამაშებაში მე-10 ადგილზე გასული „ლესტერ სიტი“ შესაძლოა მომავალ სეზონში უეფას თასზე ვიხილოთ. ეს მას შემდეგ გაირკვა, რაც ამ გუნდმა ინგლისში FAIR PLAY-ს (სამართლიანი თამაშის) ნომინაციაში ყველას აჯობა, უფრო სწორედ, მეორე ადგილზე გავიდა. თუმცა, ყველაზე სამართლიანი გუნდი „მანჩესტერ იუნაიტედია“, რომელიც ქვეყნის ჩემპიონი გახდა, ჩემპიონთა ლიგაში დაიბევა ადგილი და გზა თავაზიანად დაუთმო „ლესტერს“.

არადა, ბოლო ტურამდე უეფას თასზე გასვლის იმედი „შეფილდ უენსდეის“ ჰქონდა, მაგრამ „ჩარლტონთან“ მატჩში შეფილდელებს ორი ფეხბურთელი გაუფრთხილეს და ერთი, პიტერ აზერტონი გაუძევეს.

ამგვარად, ლიგის თასის ფინალისტი „ლესტერ სიტი“ ევროპის კიდევ 10 კლუბთან ერთად დაელოდება იმას, თუ ვის უბოძებს FAIR PLAY უეფას თასზე გამსვლელ სამ საგზურს.

რუმინეთი

32-ე ტური: გლორია — ჩაპლაული 4:2; ასტრა — რაპიდი 1:5; უნივერსიტატეა (კრაიოვა) — ონესტი 4:2; დინამო — პეტროლული 3:1; ოლიმპია — რესიტა 1:3; უნივერსიტატეა (კლუჟი) — არჯეში 2:1; ნაციონალი — სტიაუა 0:1; ოცელული — ფარული 2:1; ფორესტა — ბაკაუ 0:1.

რაპიდი	32	26	5	1	74:17	83
დინამო	32	25	4	3	93:25	79
სტიაუა	32	18	8	6	58:30	62
არჯეში	32	18	4	10	53:37	58
ბაკაუ	32	16	8	8	40:34	56
ოცელული	32	17	3	12	46:31	54
ნაციონალი	32	17	1	14	58:47	52
პეტროლული	32	15	5	12	48:43	50
ჩაპლაული	32	13	4	15	51:54	43
ასტრა	32	12	6	14	38:37	42
ფარული	32	12	4	16	34:47	40
უნივერს. (კრა)	32	11	6	15	43:48	39
გლორია	32	11	6	15	51:57	39
ონესტი	32	11	3	18	50:65	36
რესიტა	32	7	11	14	33:58	32
ფორესტა	32	6	6	20	30:57	24
უნივერს. (კლუ)	32	4	4	24	18:82	16
ოლიმპია	32	3	4	25	20:69	13

ერთნი გლოვობენ, მეორენი ზეიმობენ

ჩემპიონთა თასის ფინალი

Happy Birthday, Sir Matt!

ბარსელონა
26 მაისი
23.45 საათი
კამპ ნოუ
90 000 მაყურებელი

მანჩესტერი 2:1 ბაიერნი

0:1 ბასლერი (6), 1:1 შერინგემი (90), 2:1 სოლსკიაერი (90)

მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, იონსენი, სტამი, ირვინი, ბექემი, ბათი, გიგზი, ბლომკვისტი (შერინგემი 67), იორკი, კოული (სოლსკიაერი 81)

ბაიერნი: კანი, მათეუსი (ფინკი 80), ბაბელი, ლინკე, კუფური, ტარნატი, ეფენბერგი, იერმისი, ბასლერი (სალიჰამიჯიჩი 89), იანკერი, ციკლერი (შოლი 71)

გაფრთხილება: ეფენბერგი (60)

მსაჯი: კოლინა (იტალია)

დავით კაკაბაძე
ბარსელონიდან

26 მაისი დიდხანს ეხსომება ყველას, ვინც იმ საღამოს თვალს ადევნებდა „კამპ ნოუზე" გათამაშებულ დრამას. მიუნხენის „ბაიერნისთვის", რომელსაც ბოლო წამებზე გაუსხლტა ხელიდან სანუკვარი თასი, და მისი გულშემატკივრებისთვის, ამას დრამაც ალარ ეთქმის: მათთვის ეს ტრაგედია იყო!

არ ვიცი, ტელეეკრანებზე ჩანდა თუ არა, როგორ ამშვიდებდა შეხვედრის არბიტრი, იტალიელი პიერლუიჯი კოლინა აქვითინებულ სემი კუფურს; როგორ ჩამოუარეს მინდორზე გართხმულ თანაგუნდელებს ლათარ მათეუსმა და შტეფან ეფენბერგმა, რომლებიც ხელის თავზე გადასმით თუ მხარზე მოთათუნებით ცდილობდნენ ბავშვებივით ატირებული ვაჟკაცების დაშოშმინებას; როგორ ჩაჭიდა ხელი თომას ჰელმერმა ჯერ ისევ მტირალა კუფურს და ისე, აცრემლებული მიიყვანა უეფას პრეზიდენტ ლენარტ იოჰანსონთან, რომლისგანაც მოუნხენელებმა ოთხშაბათს საღამოს ესოდენ საძულველი ჯილდო მიიღეს...

დამარცხებულისთვის განკუთვნილი ეს ჯილდო ლოთარ მათეუსმა, კისერზე ჩამოკიდეს თუ არა, უმალ მოიხსნა და, დარწმუნებული ვარ, დიდი სიამოვნებით მოისვრიდა სადმე შორს, ძალიან შორს...

„კამპ ნოუს" ერთი ნახევარი გლოვობდა, მეორე კი ზეიმობდა. ვინ მოთვლის, რამდენჯერ გვსმენია ან თავადაც გვითქვამს, მოგება და წაგება ძმები არიანო, გამარჯვებას მარცხისგან ერთი ნაბიჯი აშორებსო, მაგრამ ამ ბანალურ ჭეშმარიტებათა ნამდვილი შინაარსი ასეთი სიცხადით აქამდე არასოდეს შემიგრძნია.

რას უნდა შეადაროს კაცმა სიხარული, რომელსაც იმ წუთებში განიცდიდნენ „მანჩესტერ იუნაიტედი" და მისი მრავალთასიანი ამქარი? მათი ბედნიერება, როგორც ჩანს, იმდენად უსაზღვრო იყო, რომ მხოლოდ დადებით მუხტში გამოიხატა და ბარსელონას აარიდა ის რბევა და მსხვრევა, არაერთ არანაკლებ ლამაზ ქალაქს რომ დასტყდომია თავს ხულიგნებად წოდებული ინგლისელი ქომაგებისგან.

უნდა გენახათ, რა ჯაფა დაადგათ ჩემს გერმანელ კოლეგებს, მთელი მატჩის მანძილზე ბეჯითად რომ უკაკუნებდნენ თავიანთ ლეპტოპებს. 90-ე წუთისთვის მათ უკვე მომთავრებული ჰქონდათ რეპორტაჟების წერა და მხოლოდ საფინალო სასტვენსღა ელოდნენ, რათა ღილაკზე თითის ერთი დაკვრით რედაქციებში გაეშვათ „ბაიერნის" ბრწყინვალე გამარჯვების მაუწყებელი წერილები.

მაგრამ მერე იყო ბექემის ორი კუთხური, შეცვლაზე გასული შერინგემისა და სოლსკიაერის ორი გოლი, რომლებმაც მიუნხენელი ფეხბურთელებისა და ჟურნალისტების მთელი ნაჯაფი სიზიფეს უმადურ შრომას დაამსგავსა: მთის ფერდობზე რის ვაი-ვაგლახით აგორებული ლოდი მათ მაშინ გაუსხლტათ ხელიდან, როცა მწვერვალამდე ერთი კი არა, ნახევარი ნაბიჯილა რჩებოდა.

— დაუჯერებელია... გაოგნებულნი ვართ... მატჩის ამგვარად წაგება ტრაგედიაა — გვითხრა პრესკონფერენციაზე ჩვეულებრივ უაღრესად თავდაჭერილმა და კორექტულმა ოტმარ ჰიცფელდმა. „ბაიერნის" გამარჯვების შემთხვევაში ჰიცფელდი ევროპის ჩემპიონთა ტურნირების ისტორიაში მეორე მწვრთნელი გახდებოდა, რომელმაც თასი ორ სხვადასხვა გუნდს მოაპოვებინა. მანამდე ასეთ წარმატებას ავსტრიელმა ერნსტ ჰაპელმა მიაღწია: 1970 წელს როტერდამის „ფეიენოორდთან", 1983 წელს — „ჰამბურგთან" ერთად (შეგახსენებთ, რომ 1997 წელს დორტმუნდის „ბორუსიამ" ჰიცფელდის ხელმძღვანელობით გაიმარჯვა ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში).

„Oh, No!" — ასე ემოციურად და თან ინგლისურად გამოხატავს თავის გაოგნებას გერმანიის ყველაზე პოპულარული გაზეთი „ბილდი", რომელიც დაასკვნის, აი, ასე დაუნდობელი შეიძლება იყოს ფეხბურთიო. ბონის „ექსპრესი" არანაკლებ ემოციურია, ბავარიასთან ერთად მთელი გერმანია გლოვობსო.

ერთნი გლოვობენ, მეორენი ზეიმობენ. ინგლისური გაზეთები, რომლებზეც კი ბარსელონაში ხელი მიმიწვდა, ერთმანეთს ეჯიბრებიან „მანჩესტერ იუნაიტედის" ქება-დიდებაში. „ბრიტანეთის სიამაყე", „განუმეორებელნი", „გმირები", „კამპ ნოუს" სასწაული „დიდება „მანჩესტერ იუნაიტედს!" — ეს სათაურები ხუთშაბათის პრესიდან ამოვკრიბე.

მოკლედ, კატალონიის დედაქალაქში ემოციები ბატონობს. გრძნობების ტყვეობაში აღმოჩნდა ესპანეთის პრესაც, რომელსაც თითქოს ნეიტრალური, მეთვალყურის ფუნქცია ერგებოდა.

„ღმერთმა იხსნა „მანჩესტერ იუნაიტედი" — ასე დაასათაურა თავისი მასალა სპორტულმა გაზეთმა „მარკამ". ბარსელონურმა გაზეთმა „სპორტმა" ფინალს მთელი 23 გვერდი მიუძღვნა! თავის რეპორტაჟში ამ გაზეთის მიმომხილველი, ჟოზეპ კასანოვასი, წერს: „კამ ნოუ" თავისი სიდიადის გამო და იმიტომაც, რომ ეს ათასწლეულის ბოლო ფინალი იყო ჩემპიონთა ლიგაში, იმსახურებდა ისტორიულ ფინალს. და მიიღო კიდეც!"

„არასოდეს ყოფილა დამარცხებული ამაზე მეტად დამარცხებული! არასოდეს ყოფილა გამარჯვებული ამაზე მეტად იღბლიანი!" — აღნიშნავს თავის მასალაში ესპანელი ჟურნალისტი.

„ელ მუნდო" ყურადღებას ამახვილებს ორივე გუნდის ქომაგთა იშვიათად კორექტულ ქცევაზე: „ეს იყო საუცხოო ფინალი საუცხოო მაყურებლის წინაშე!"

„ელ პაისი" კი ამტკიცებს, რომ 26 მაისის მატჩი ევროპის ჩემპიონთა თასის ისტორიაში ყველაზე დრამატული იყო, შემდეგ კი ინგლისურად დასძენს: *„Happy Birthday, Sir Matt!"*

დიახ, 26 მაისს 90 წელი შეუსრულდებოდა ინგლისური ფეხბურთის ლეგენდას, სერ მატ ბასბის. ადამიანს, რომელმაც 1958 წლის 6 თებერვალს მიუნხენის ავიაკატასტროფაში თითქმის მთელი თავისი ჩემპიონი გუნდი დაკარგა, ათი წლის შემდეგ კი, ხსენებულ კატასტროფაში გადარჩენილმა, განახლებული „მანჩესტერ იუნაიტედით" ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა.

ბასბის, მემკვიდრეს, ალექს ფერგიუსონს, მატჩის შემდეგ არ დავიწყებია ამის აღნიშვნა: „დღეს მატ ბასბის დაბადების დღეა. დარწმუნებული ვარ, ამ საღამოს იქ, ზემოთ, მარჯვედ დასდევდა ბურთსო" — გულიანად გაიცინა და თითი ზეცისკენ აიშვირა.

ჩემთვის ამ ნათქვამმა დამაჯერებლად გაიჟღერა.

REUTERS ბარსელონიდან

მანჩესტერელთა ბედნიერების წამი „კამპ ნოუზე"

მატჩის შემდეგ

ალექს ფერგიუსონი *(„მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი):* ეს ფანტასტიკურია, გამარჯვების ახლაც არ მჯერა. თავი სიზმარში მგონია. გასაოცარია ბიჭების შემართება. არის მომენტები, როცა ფიქრობ, რომ რაღაცის გაკეთება კიდევ შეგიძლია, მაგრამ თამაშის ბოლოს ვფიქრობდი, რომ თასი წაგებული მქონდა. დაუჯერებელი რამ შევძელით. რა თქმა უნდა კარგად არ გვითამაშია, მაგრამ მიხარია, რომ მოვიგეთ. ჩვენ რამდენიმე წლიანი შრომა დაგვიფასდა. შესვენების შემდეგ ტაქტიკის შეცვლა მოგვიწია. იძულებულნი ვიყავით.

ფრანც ბეკენბაუერი *(„ბაიერნის" პრეზიდენტი):* სამწუხაროა, მაგრამ ფეხბურთი ხშირად ასე მომაკვდინებელიცაა. რა ახლოს ვიყავით გამარჯვებასთან! სულ რაღაც ერთი წუთი გვიკლდა მოგებას, მაგრამ... იმის თქმა სულაც არ მსურს, თითქოს მანჩესტერელები გამარჯვებას არ იმსახურებდნენ, მაგრამ ეს უსაშინლესი მარცხია, რაც კი ცხოვრების მანძილზე განმიცდია. საოცარი ფინალი იყო. ფინალის ფინალი კი საერთოდაც დრამატული და დაუჯერებელი.

ოლე გუნარ სოლსკიაერი *(ნორვეგიელთა თავდამსხმელი):* ვგრძნობდი, რომ რაღაცის შეცვლა შემეძლო, მაგრამ თუ გუნდს გამარჯვებას მოვუტანდი, ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. უბედნიერესი დღეა ჩემს ცხოვრებაში.

ლოთარ მათეუსი *(„ბაიერნის" ლიბერო):* ძალიან დამწუხრებულნი ვართ. ვინაა ჩვენ მარცხში დამნაშავე? ჩვენ? არა მგონია. სამწუხაროა, რომ „ბაიერნის" მარცხის მიზეზი „მანჩესტერ იუნაიტედია" და არა რომელიმე ჩვენგანი. არ გაგვიმართლა. ფატალურად არ გაგვიმართლა. მომავალზე არვინ ფიქრობს, თითქოს ყველაფერს წერტილი დაესვა.

REUTERS ბარსელონიდან

დრამა ბოლო წუთზე — თომას ჰელმერი კარსტენ იანკერს აწყნარებს

მატჩის სტენოგრამა

5 წუთი. რონი იონსენი მიუნხენელთა თავდამსხმელ კარსტენ იანკერს საჯარიმოს მისადგომებთან უხეშად ეთამაშება და მსაჯი პიერ ლუიჯი კოლინაც შმაიხელის კარის მიმართულებით საჯარიმოს ნიშნავს. მარიო ბასლერის დარტყმა ზუსტია — წინ „ბაიერნი" გადის.

15 წუთი. გარი ნევილის გრძელი პასის შემდეგ ენდი კოული გერმანელთა დაცვას აბნევს, თუმცა მცველთა დასახმარებლად უკანდახეული შტეფან ეფენბერგი მას ზუსტ დარტყმას არ ანებებს.

17 წუთი. „ბაიერნის" ფორვარდი ალექსანდრ ციკლერი შმაიხელის კარის მიმართულებით ურტყამს. დანიელ მეკარეს ბურთის მოგერიება არ უჭირს.

21 წუთი. რაიან გიგზი და დევიდ ბექემი ბურთს ერთმანეთში ათამაშებენ. ბექემის პასით დუაიტ იორკი ხელსაყრელ პოზიციაში ხვდება, თუმცა სათანადოდ ვერ ურტყამს. კანი ბურთს იგერიებს.

28 წუთი. ლოთარ მათეუსმა თითქმის მთელი მოედანი გადასერა და ბურთი კარსტენ იანკერს მიაწოდა, რომელმაც თავის მხრივ ალექსანდრ ციკლერი მოძებნა. ბურთი მანჩესტერელთა კარს ასცდა.

55 წუთი. რაიან გიგზი იესპერ ბლომკვისტს ზუსტ პასს აძლევს, თუმცა შვედი ფეხბურთელის დარტყმამ „ბაიერნის" კარს გადაუფრინა.

60 წუთი. დაძაბულობა მატულობს — გერმანელთა მცველი მიხაელ ტარნატი ინგლისელთა ნახევარმცველ რაიან გიგზს ეუხეშება.

64 წუთი. ბასლერმა კარიდან წინ გამოსული პიტერ შმაიხელი დალანდა და დაახლოებით 45 მეტრიდან დაარტყა. ბურთმა ინგლისელთა კარს გადაუფრინა.

67 წუთი. შეცვლაზე შესული ტედი შერინგემი უმალ სახიფათო იერიშს ახორციელებს კანის კარზე.

68 წუთი. ინგლისელთა მორიგ შეტევას გოლი არ მოსდევს — ენდი კოულის დარტყმა მცირედით სცდება კარს.

72 წუთი. შეცვლაზე შესულმა მეჰმეთ შოლმა მანჩესტერელთა ძელს მოარტყა.

77 წუთი. არეულობა ინგლისელთა კართან. კარსტენ იანკერს არ გაუმართლა, თორემ ხარიხას კი არ შეაზანზარებდა, გოლს გაიტანდა.

86 წუთი. ნორვეგიელი ოლე გუნარ სოლსკიაერის თავურს კანი ეუფლება.

90 წუთი. კუთხური „ბაიერნის" კართან. თანაგუნდელთა დასახმარებლად ჩასული პიტერ შმაიხელი მეტოქე მცველებს აბნევს, არეულობით კი შესანიშნავად ისარგებლა ტედი შერინგემმა და ბასლერის გოლი გაქვითა.

90 წუთი. მანჩესტერლები კიდევ ერთ კუთხურს აწვდიან. ტედი შერინგემი თავით ბურთს სოლსკიაერს უგდებს, რომელიც ფეხს საგოლედ იქნევს — 2:1 ინგლისელთა სასარგებლოდ.

ანდერსენის ზღაპარი იუნაიტედსა და შამპანურზე

REUTERS ბარსელონიდან

პიტერ შმაიხელი — დღე უკანასკნელი

მეკარე პიტერ შმაიხელის უკანასკნელი მატჩი „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში სიმბოლური იყო — ცუდი დასაწყისი და დიდებული დასასრული — სეზონის შეჯამება.

35 წლის შმაიხელი, ჩემპიონთა თასის ფინალში, დისკვალიფიცირებული როი კინის ნაცვლად რომ კაპიტნობდა საცოდავად გამოიყურებოდა, როდესაც, მეექვსე წუთზე, მარიო ბასლერმა საჯარიმო დარტყმით გახსნა ანგარიში, მაგრამ ნერვიული სტარტისა და დაბნეულობით გამოწვეული უზუსტობების შემდეგ გოლკიპერმა რამდენიმე ძნელად მოსაგერიებელი და საბოლოო შედეგისთვის მნიშვნელოვანი დარტყმა უკუაგდო.

მერე კი, თითქმის საფინალო სასტვენის დროს, შმაიხელი მოწინააღმდეგის საჯარიმოში კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთის დასარტყმელად ჩავიდა და ტედი შერინგემის გოლში შეიტანა წვლილი. გამოხდა წამები და ოლე გუნარ სოლსკიაერმა გამარჯვების დაუჯერებელი გოლი გაიტანა — ამ დროს დანიელი მეკარე ისევ საკუთარ კართან იდგა.

„ასეთ ზღაპარს თვით ჰანს კრისტიან ანდერსონიც ვერ დაწერდა“ — განაცხადა შმაიხელმა, რომელიც „ოლდ ტრეფორდზე“ გატარებული რვა წლის და ჩატარებული 398 მატჩის შემდეგ ტოვებს „მანჩესტერ იუნაიტედს“.

„ბუნებრივია ადამიანს საფინალო სასტვენამდე გწამს, რომ გამარჯვება მაინც შენ დაგრჩება. მეც ასე ვიყავი, ერთი წუთითაც არ დავუტოვებივარ რწმენას, რომ შანსი ჯერ კიდევ გვქონდა, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ორი გოლის შეგდებას ვერც წარმოვიდგენდი. თამაშის დასასრულს გატანილმა გოლებმა ჩვენი გუნდური სულისკვეთება წარმოაჩინა. „იუნაიტედში“ გატარებულმა წლებმა მასწავლა, რომ დანებება არ შეიძლება. ჩვენ არასდროს დავნებებულვართ და ეს ამ საღამოსაც გამოჩნდა“.

შმაიხელმა ჯერ კიდევ ნოემბერში განაცხადა, რომ „იუნაიტედ“ სეზონის ბოლოს დატოვებდა და დღეს დადასტურდა, რომ მისი გადაწყვეტილება უტყუარი ალღოს შედეგი გახლდათ. აწგალეული კამპანია მან ერთობ მოკრძალებულად დაიწყო, ყველას ეგონა, რომ სეზონის დამთავრებას არც დაელოდებოდა, ისე დაიწყებდა ახალი გუნდის ძიებას, მაგრამ შობის დღესასწაულის შემდეგ ნავი გატყდა და დაიწყო 33 შეხვედრიანი, დაუმარცხებელი სერია.

„კამპ ნოუზეც“ ნერვიულად დაიწყო გოლკიპერმა, თუმცა თანდათან უკეთ ათამაშდა და 72-ე წუთზე შტეფან ეფენბერგს უეჭველი საგოლე მომენტი გაუუვნებლა.

„ძალიან საშწუხაროა, რომ ის გვტოვებს, მაგრამ ამაზე ლამაზ მომენტს ნამდვილად ვერ შეარჩევდა. გულით და სულით ვუსურვებ წარმატებას. შმაიხელი „იუნაიტედის“ ყველა დროის მეკარეთა შორის უდიდესი იყო“ — თქვა მოგვიანებით მანჩესტერელთა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა.

ბოლო, რაც შმაიხელმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ მაისურით გააკეთა, ჩემპიონთა თასის აღმართვა გახლდათ: „რაც მოხდა, ჩემთვის აბსოლუტურად ფანტასტიკურია. თავს მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე ვგრძნობ. როდესაც განვაცხადე, რომ სეზონის ბოლოს გუნდი უნდა დამეტოვებინა, საკუთარ თავს სიტყვა მივეცი, თავს დავდებ, რათა „იუნაიტედის“ დიდების დღენი დავიყენო, მეთქი. ამაზე მეტის მიღწევა კი შეუძლებელია“.

შმაიხელს მომავალზე არაფერი უთქვამს. კრინტი არ დაუძრავს იმაზე თუ სად ითამაშებს მომავალი სეზონიდან.

„ბედნიერების წუთებში სხვა გუნდებზე საუბარი არ მსურს“ — თქვა მან — „ეს საღამო „მანჩესტერ იუნაიტედისაა“, „იუნაიტედის“ და შამპანურის“.

მაიკ კოლეტი
როიტერი

ბასბის ბოლო დაბადების დღე მეოცე საუკუნეში

1968 წელი. მატ ბასბი ჩემპიონთა თასით ხელში

„ჯერ ვეგუებოდი წაგებას და თავის ღირსეულად დაჭერაზე ვფიქრობდი, როდესაც, სერ მატ ბასბის დაბადების დღეზე, ზღაპარი სინამდვილედ იქცა. ვგონებ, ის იმ ქვეყნიდან გვეხმარებოდა“ — ალექს ფერგიუსონი საბედისწერო, ბედნიერ, ტრაგიკულ და არანორმალურ დღეს, სულაც არ იყო ერთადერთი, ვინც 1968 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ლეგენდარული მწვრთნელის სახელი ახსენა.

სერ მატ ბასბის 1999 წლის 26 მაისს 90 წელი შეუსრულდებოდა.

ძალიან ლამაზად დაწერა ესპანურმა პრესამ.

„ასეთი დრამატული ფინალი ჩემპიონთა თასის ისტორიაში არ ყოფილა. დაბადების დღეს გილოცავთ, სერ მატ“ — „ელ პასო“.

ინგლისური „დეილი ტელეგრაფი“: „არასდროს ყოფილა ფეხბურთის ისტორიაში მატჩი — ამის თქმა ყოყმანის გარეშე შეიძლება — რომელშიც ეთამაშოს ასე დათრგუნულ და ასე მოულოდნელად გამარჯვებულ გუნდს. არ ყოფილა მეტოქე, ასე რომ გაცამტვერებულიყოს, გეგონება, ზეციდან თითი დააჭირესო. სერ მატ ბასბი ხომ არ აღნიშნავდა თავის დაბადების დღეს?“

ინგლისელ ჟურნალისტთა დიდ ნაწილს მეორე მსოფლიო ომი და მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატის ფინალი გახსენებია.

„ორმა სათადარიგომ ორი ტორპედო გაისროლა და გზა გაანგრია“ — წერდა ტაბლოიდი „სანი“, რომელიც ყველაზე მეტად უტრიალებდა სამხედრო თემას. მისი სტატიების ლამის ყოველ წინადადებიდან გერმანელებთან გადახდილი ომის იარა ყვიროდა.

„სანს“ 66-ის ფინალი (ინგლისი — გერმანია 4:2) და მისი კომენტატორი კენეტ უონსტელჰოლმიც მოაგონდა. მაშინ კომენტატორს უთქვამს: „მათ ეგონათ, რომ ყველაფერი დამთავრდა“. ეს მოარულად ქცეული ფრაზა გუშინდელმა „სანმა“ ბოლო გვერდზე დიდი ასოებით დაბეჭდა.

„მირორი“ დარწმუნებულია, რომ მსოფლიო სპორტის ისტორიაში ასეთი დიდებული ორი წუთი არ ყოფილა. ის „იუნაიტედის“ ფეხბურთელებს მიმართავდა: „თქვენ ერთგზის, ორგზის, სამგზის დიდებულები ხართ“. აქ გაზეთი პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტულს, ფეხბურთის ასოციაციის თასსა და ჩემპიონთა თასს გულისხმობდა.

„ტაიმზი“: „მეოცე საუკუნის ბოლო ფინალის ორმა ზღაპრულმა, ლამის სიურეალისტურმა მომენტმა კლუბთა შორის ყველაზე ცნობილის ახალგაზრდობას ბრწყინვალების სამოსი ჩამოაგლიჯა და დიდების გვირგვინი დაადგა. ამიერიდან „იუნაიტედი“ სერ ბასბის ჩრდილიდან თავდაღწეულია“.

კაცი, რომელსაც მუშაობა და გამარჯვება უყვარს

ტონი ბენქსი, ბრიტანეთის სპორტის მინისტრი: „ალექს ფერგიუსონი რაინდის წოდებას იმსახურებს. მე თუ მკითხავენ, ვუპასუხებ — რა. საკვირველია, მას უნდა მივანიჭოთ ის რისი ღირსიცაა“

მინისტრის სიტყვები, BBC-ს რადიომ რომ ვადასცა, სამართლიანია. თუკი „მანჩესტერ იუნაიტედის“ 1968 წლის წარმატების შემოქმედს, სერ მატ ბასბის ერგო ეს წოდება, 1999 წლის ტრიუმფატორს რად არ უნდა ერგოს?

ტრიუმფატორს ერთი დამახასიათებელი თვისება აქვს, უმნიშვნელოვანეს წუთებში ოჯახი და მეგობრები ახსენდება. იმიტომ, რომ:

„მე ამ ხალხის მადლობელი ვარ. ვამაყობ წინაპრებით, კლუბით, ფეხბურთელებით, ოჯახით. 26 მაისი ჩემი ცხოვრების უბედნიერესი დღეა.“

ასე ამბობს 54 წლის შოტლანდიელი — ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით — დიდი გამარჯვების მერე თავის ფეხბურთელებთან მოცეკვავე, მათი სათითაოდ გადამკოცნი, ხალხის წინ მოზეიმე. შოტლანდიელი, რომელმაც მიმოიხედა, როი კინი (გუნდის კაპიტანი, რომელმაც დისკვალიფიკაციის გამო ფინალი გამოსტოვა) ხომ არ ჩამოგვრჩა, ხომ არ დაგვეჩაგრა, ყველასთან ერთად ხომ დღესასწაულობსო.



REUTERS ბარსელონიდან

ალექს ფერგიუსონი

„ვუცქერდი როის და ვგრძნობდი მის განცდებს. ამ მატჩში მონაწილეობა ხომ ძალიან, ძალიან განსაკუთრებული რამ იქნებოდა.“

ფერგიუსონს უჭირს იმის აღიარება, რომ დიდებულთა დარბაზის წევრთა-განია. ის ცდილობს თავის წარმატებაში სხვათა დამსახურება შენიშნოს. მაგალითად ოჯახის, რომელმაც ხელუხლებელი ფასეულობათა შეცნობის უნარი გამოუმუშავა, რომლის ტრადიციათა გამოც დღეს „ოლდ ტრეფორდზე“ ბასბის მემკვიდრედ გრძნობს თავს და წარსულს უდიდეს პატივს სცემს, რომელმაც ერთგულება ასწავლა, ერთგულება ფეხბურთელებისადმი, „იუნაიტედის“ ყველა თანამშრომლისადმი, მეგობრებისადმი.

ფერგიუსონი ამაყია, თავისნათქვამა, უხეშობამდე ამბიციური და იმავდროულად მომხიბვლელი და თავაზიანი — მითუფრო მაშინ, როდესაც საწვრთნელ მოედანს და სასწავლო-სადემონსტრაციო დაფას მოცილდება. ის ძალიან იღბლიანიცაა, თანაც ესთეტი, ოჯახურ საკითხებში ტრადიციონალისტი, გუნდის გამოკვეთილი დირიჟორი ასე განსაჯეთ, დიქტატორიც კი.

ფერგიუსონი წარმატებული მწვრთნელია. მას მერე, რაც 1978 წელს „აბერდინში“ კარიერა დაიწყო, 28 ჯილდო აქვს მოპოვებული.

„აბერდინის“ მწვრთნელობისას მან სამჯერ მოიგო შოტლანდიის ჩემპიონის ტიტული — საშუალო გუნდი გარდაქმნა, ქვეყნის თასის ოთხგზის მფლობელად აცქია, ერთხელ ლიგის თასი მოაგებინა, ერთხელ ევროპის თასების თასი და ერთხელაც ევროპისავე სუპერთასი.

შემდეგ, 1986-ში, ფერგიუსონი „ოლდ ტრეფორდზე“ გადაბარგდა, სადაც ოთხ უსახური სეზონის შემდეგ, 1990-ში, ნავი გატეხა: ხუთგზის ჩემპიონობა, ოთხგზის ასოციაციის თასი, ერთი ლიგის თასი, ინგლისის ხუთი სუპერთასი, ერთი თასების მფლობელთა თასი, ერთი ევროპული სუპერთასი და ერთიც ის, რაც ოთხშაბათს „კამპ ნოუზე“ მოიგო.

ამაყიაო, გითხარით. კიდევ, ალალია, არც სიმდიდრეს მალავს, არც ცხენოსნობისადმი სიყვარულს, მოკლედ, ნამდვილი გლაზგოელია.

„მიყვარს ფეხბურთი. გული ყოველთვის ამ საქმეში დარჩენასა და წარმატებების მოპოვებას მკარნახობს. იმაზე დიდი ბედნიერება არაფერია, როდესაც იმას აკეთებ, რაც გიყვარს. ფეხბურთელებს დღენიადაგ ვეუბნები, ისიამოვნეთ თამაშის ყოველი წუთით-მეთქი. თუ შეძლებენ, ბედნიერება სამუდამოდ გაგრძელდება. მეც ასეთი სულისკვეთებით მზრდიდნენ — მუშაობა და გზად ყველა მიზნის მიღწევა.“

ფერგიუსონი ერთი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ფეხბურთელი გახლდათ. შოტლანდიურ კლუბებში თავდამსხმელად თამაშობდა, „გლაზგო რეინჯერსშიც“ კი იყო, მაგრამ არსდროს არაფრისთვის მიუღწევია. მერე კი მწვრთნელი გახდა და...

„აბერდინიდან“ „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლამ, ჩემში არაფერი შეცვალა. ძველებურად მუშაობა და გამარჯვება მინდოდა. ახლაც ასე ვარ. იქ, მოედანზე, ჩემზე აღარაფერია დამოკიდებული, გადამწყვეტი ფეხბურთელები გახლავან, რომელთაც საოცარი სეზონი ჰქონდათ. კიდევ, მთელი კლუბია დასაფასებელი, განა მარტო მე. კლუბში ხომ უამრავი ადამიანი მუშაობს.“

ტიმოთი კოლინზი
როიტერი

ფეხბურთი უბრალო თამაშია

ჩვეულებრივ, ასეთი რამ არ ხდება.

თუმცა, სხვანაირად თუ ვიტყვით, ჩემპიონთა ლიგის ფინალი არ არის ჩვეულებრივი ადგილი. მაგრამ, ასევე სხვანაირად თუ ვიტყვით, ამ არაჩვეულებრივ ადგილასაც ასეთი რამ არ მომხდარა.

თამაში დამთავრდა და ორიოდ წლის წინათ შემოღებული წესით, ქოსა მსაჯმა კოლინამ სამი წუთი დაამატა მეორე ტაიმის საერთო დროს. იქ პირველ ტაიმს დამატებული ერთი წუთიც და კიდევ ოციოდე წამი — ჯამში ფინალი „მანჩესტერსა“ და „ბაიერნს“ შორის ოთხმოცდათოთხმეტ წუთზე ცოტა მეტს გაგრძელდა.

ამ ოთხმოცდათოთხმეტ წუთში ოთხმოცდათერთმეტი გერმანელებისა იყო. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ითამაშა ამ სეზონის ჩემპიონთა ლიგაში თავისი ყველაზე ცუდი თამაში — პირწმინდად წააგო შეხვედრა მიუნხენელებთან და ამ საქმეში „დამნაშავე“ ბრწყინვალედ მოთამაშე გერმანელები იყვნენ. ოთხმოცდათერთმეტი წუთი ისე გაილია, რომ იუნაიტედის შავტუხები კარისკენ პირით ვერ მობრუნდნენ, მარიო ბასლერი კი თითქოს ველოსიპედით დასრიალებდა მთელს მოედანზე და შიგადაშიგ მეჰმეტ შოლს და კარსტენ იანკერს ეხმარებოდა ბურთის ძელზე მორტყმაში...

მერე კოლინამ დაუსტვინა და აღმოჩნდა, რომ გერმანელებს ჩემპიონთა თასი არ ეკუთვნით. გაირკვა, რომ ფეხბურთელები ალისფერ სამოსში ზეიმობენ და თავიანთი გულშემატკივრებისკენ გარბიან თასით ხელში. ლოთარ მათეუსი კი, ეს უბერებელი ლეგენდა ნიკაპაკანკალებული დგას მოედნის კუთხეში. უბედური სამოულ კუფური „კამპ ნოუს“ ბალახს წყევლის დაჩოქილი და მუშტს ურტყამს. თქვენ დაგავიწყდებათ ოლივერ კანის სახე? ლოთარ, გინახავს ოდესმე ასეთი რამ?

სიმართლე ვთქვა, არ ვიცი, ვინ დაინახა ის ორი გოლი მსაჯის მიერ დამატებულ დროში რომ გაახერხა ტედი შერინგემმა. იმიტომ, რომ ის სამი წუთი სხვა თამაშისა იყო.

ამ უცნაურ და განუმეორებელ შეხვედრას თავიდანვე შემოახვიეს მისტიურობის მანტია. როგორც ყოველთვის, მანტია ინგლისური ფერისა იყო. ინგლისელებს უყვართ ასეთ რამეებზე წერა და კითხვა. ოცდაექვსი მაისი მანჩესტერელთა დიდი მენეჯერის, მატ ბასბის დაბადების დღეაო. ბასბი ერთადერთი მენეჯერია, ვინც „მანჩესტერს“ ჩემპიონთა თასი მოაპოვებინაო. ესეც არ იყოს და „ოლდ ტრეფორდის“ გუნდი ხვდება მიუნხენის გუნდს, რომლის ცაშიაც ორმოცდაორი წლის წინათ დაიღუპა ბასბის პირველი დიდი „მანჩესტერიო“. თანაც, არ დაგავიწყდეთ და, მანჩესტერელებს გულზე წითელი ეშმაკუნა ახატიათ და ბნელ ძალებთან აქვთ კავშირიო. ესეც არ იყოს და, ყველა დიდ ევროპულ ქვეყანას უკვე მოუგია ჩემპიონთა თასი და არ იქნება საუკუნე ისე გასრულდეს, ინგლისი ცარიელ-ტარიელი დარჩესო. მოკლედ, ეს თამაში „მანჩესტერმა“ უნდა მოიგოსო, აცხადებენ მისტიკოსები, კიდევ კარგი, გლენ ჰოდლს არაფერი უთქვამს...

და თქვენ წარმოიდგინეთ, ისე მოხდა, რომ ოტმარ ჰიცფელდი, ეს აკადემიკოსი კაცი, არ დაეთანხმა მისტიკოსებს და საქმე იმგვარად გამართა, რომ „ბაიერნმა“ პირწმინდად მოიგო ოთხმოცდათერთმეტი წუთი.

რა თქმა უნდა, ბასბი დიდი კაცი იყო. საოცრად ლამაზია, როცა იტყვი, რომ მისი სული თავს დასტრიალებდა „კამპ ნოუს“ და „მანჩესტერს“ გამარჯვებისკენ მიუძღვოდა, მაგრამ ბასლერს და მის ამხანაგებს ამის დარდი არ ჰქონდათ და თავიანთ საქმეს საუცხოოდ აკეთებდნენ.

მაგრამ, ეშმაკობაც ამაში ყოფილა, რომ ბასბის სული თურმე იცდიდა. მთელი ანგელოზები დაიხმარა ამ კეთილშობილი კაცის სულმა და ტედი შერინგემის ფეხსა და თავში ჩააყენა უცნაური რამ ზე-ძალა, რათა აღსრულებულიყო ეს საქმეო. თუმცა, როგორ მოდის კეთილ სულთა ამ განზრახვასთან მანჩესტერელთა გულზე გამოხატული ეშმაკუნა, ძნელი ასახსნელია. თუ მისტიკოსთა ზედაპირულ ვერსიებს შევაჯერებთ, გამოდის, რომ ნათელი და ბნელი ძალები „მანჩესტერის“ გასამარჯვებლად შეკრულან კატალონიის დედაქალაქში.

გერმანელების შოკი იმგვარი იყო, თითქოს ტედი შერინგემი ამერიკულ „ბოევიკებში“ გაგონილ გაცვეთილ ფრაზას ეუბნებოდა: „Wellcome to Hell“.

მაგრამ შევეშვათ ჩვენთვის მიუწვდომელი საშყაროს ამბების გარჩევას. რაშიც ვერ ერკვევი, იმას როგორ გაარჩევ? ანდა, რა უფლება გაქვს ანგელოზებზე ილაპარაკო, ანდა ფუი ეშმაკს, დემონებზე...

ფეხბურთი გავიხსენოთ. ეს ხომ ფეხბურთი იყო?

მაგრამ ერთი კაცის სული მაინც უნდა შევაწუხოთ. ბილ შენკლის უთქვამს: „ფეხბურთი უბრალო თამაშია. შენიანს უნდა მიაწოდო ბურთი. ძნელი მიწოდებაა, თორემ თუ მიაწოდებ, თამაში იოლია“.

ჩვენი მხრიდან, ეგებ დაგვემატებინა, რომ ფეხბურთი არ არის ლოგიკის სახელმძღვანელო. თამაში კი მსაჯის სასტვენამდე გრძელდება. მისტიურად შერაცხული სამი წუთი, უფრო სწორად კი ორმოცი წამი, რომელმაც თანი მანჩესტერს გააგზავნა, სრულიად ჯდება ფეხბურთის ჩარჩოებში და ამ საქმისთვის სულების შეწუხება უხერხულია.

გრძნობები, ემოციები, ღრიალი და კივილი ბევრ რამეს ავიწყებს გულშემატკივარს.

ის, რაც მანჩესტერმა მოახერხა შეხვედრის ბოლო წამებზე, ყოველ შაბათ-კვირას ხერხდება ინგლისის ოთხივე ლიგაში. უვარგისად მოთამაშე „მანჩესტერმა“ სწორედ მაშინ მოუგო საუცხოოდ მოთამაშე „ბაიერნს“, როცა ფეხბურთი შიშველ თამაშად გადაიქცა. იმავ ინგლისელთა ნათქვამია, ყველაზე დიდი ფეხბურთი მაშინ იწყება, როცა ფეხბურთელებს აღარ ახსოვთ მწვრთნელთა დარიგებანი და ემოციებისა და დაღლილობის გამო, მხოლოდ საკუთარ თავს მინდობილნი თამაშობენო. ანუ, ეს ყველაფერი იწყება იქ, სადაც მთავრდება ფეხბურთის, როგორც უბრალო, არქაული თამაშის ზედნაშენი — ის, რაც უჭკვიანეს ხალხს, მწვრთნელებს მოუგონიათ ასი წლის განმავლობაში.

„მანჩესტერს“ არაერთხელ უჩვენებია ეს — წლევანდელ ლიგაშიც, შინ, „იუვენტუსთან“.

ოთხშაბათ ღამის გამარჯვებულმა მსოფლიო საკლუბო ფეხბურთის უმნიშვნელოვანეს თამაშში შემოიტანა ის, რასაც ჯიუტად ახორციელებს მთელი ინგლისური ფეხბურთი ათწლეულების განმავლობაში. გერმანელები მოგების გამომგლეჯი ხალხია. მათი საფეხბურთო ისტორია ამის მრავალ მაგალითს ინახავს. მაგრამ მათი ეს თვისება სულ სხვა რამისაა და არა იმის, რაც „მანჩესტერმა“ გააკეთა ფინალში.

ის სამი წუთი თითქოს არ იყო. არანაირი ლოგიკით არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ ფეხბურთი არ არის ლოგიკის სახელმძღვანელო. ფეხბურთი უბრალო თამაშია, რომელსაც გვარიანი სირთულეები ახლავს თან, მაგრამ ამ საოცარ თამაშში დგება ხოლმე წამები, როცა ურთულესი რამეები ქრება და რჩება მხოლოდ თამაში, სუფთა, არცთუ ეშმაკური, პირდაპირი და ალალი. ამ დროს ყველაფერი დავიწყებულია. და თუკი ინგლისელები დაღუპულ, პირწმინდად წაგებულ თამაშში დაიჭერენ წამს, როცა ფეხბურთი მხოლოდ ფეხბურთი, შიშველი, ბიჭური თამაში ხდება და საფეხბურთო მეცნიერება სადღაც ქრება, მათ წინ ვეღარავინ დაუდგება ხოლმე.

იღბალი?

სასაცილოა, როცა ინგლისელთა საფეხბურთო იღბალზე ლაპაარკობენ.

მოედნიდან გასული მარიო ბასლერი ხელებაწეული მოუწოდებდა მიუნხენელ ქომაგებს — დასცხეთ გამარჯვების სიმღერაო.

ადრე იყო, სუპერმარიოს, ნამდვილ საფეხბურთო გენიოსს იარაღად ლოგიკა ჰქონდა.

ამ ლოგიკით იყო, რომ გამოცვალეს. წამები მოიგეს. თურმე, ეს წაგებული წამები იყო.

გინახავს ასეთი რამ, ლოთარ?

ირაკლი გამყრელიძე

REUTERS მანჩესტერიდან

გუშინ გამთენიისას მანჩესტერში...

REUTERS ბარსელონიდან

84 წუთის განმავლობაში მარიო ბასლერს თავისი გოლი გამარჯვებისა ეგონა

ჩემპიონთა თასის ყველა ფინალი

1956	რეალი (მადრიდი, ესპანეთი)	4:3 რეიმსი (საფრანგეთი)
1957	რეალი (მადრიდი)	2:0 ფიორენტინა (იტალია)
1958	რეალი (მადრიდი)	3:2 მილანი (იტალია) დ.დ.
1959	რეალი (მადრიდი)	2:0 რეიმსი
1960	რეალი (მადრიდი)	7:3 აინტრახტი (ფრანკფურტი, გფრ)
1961	ბენფიკა (პორტუგალია)	3:2 ბარსელონა (ესპანეთი)
1962	ბენფიკა (პორტუგალია)	5:3 რეალი (მადრიდი)
1963	მილანი	2:1 ბენფიკა
1964	ინტერი (იტალია)	3:1 რეალი (მადრიდი)
1965	ინტერი	1:0 ბენფიკა
1966	რეალი (მადრიდი)	2:1 პარტიზანი (იუგოსლავია)
1967	სელტიკი (შოტლანდია)	2:1 ინტერი
1968	მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)	4:1 ბენფიკა დ.დ.
1969	მილანი	4:1 აიაქსი (ჰოლანდია)
1970	ფეიენოორდი (ჰოლანდია)	2:1 სელტიკი დ.დ.
1971	აიაქსი	2:0 პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
1972	აიაქსი	2:0 ინტერი
1973	აიაქსი	1:0 იუვენტუსი (იტალია)
1974	ბაიერნი (გფრ)	1:1 ატლეტიკო (ესპანეთი)
	გადათამაშება ბაიერნი	4:0 ატლეტიკო
1975	ბაიერნი	2:0 ლიდსი (ინგლისი)
1976	ბაიერნი	1:0 სენტ ეტიენი (საფრანგეთი)
1977	ლივერპული (ინგლისი)	3:1 მიონხენგლადბახი (გფრ)
1978	ლივერპული	1:0 ბრიუგე (ბელგია)
1979	ნოტინგემ ფორესტი (ინგლისი)	1:0 მალმიო (შვედეთი)
1980	ნოტინგემ ფორესტი	1:0 ჰამბურგი (გფრ)
1981	ლივერპული	1:0 რეალი (მადრიდი)
1982	ასტონ ვილა (ინგლისი)	1:0 ბაიერნი
1983	ჰამბურგი	1:0 იუვენტუსი
1984	ლივერპული	1:1 რომა (იტალია) *პენ* 4:2
1985	იუვენტუსი	1:0 ლივერპული
1986	სტიაუა (რუმინეთი)	0:0 ბარსელონა *პენ* 2:0
1987	პორტუ (პორტუგალია)	2:1 ბაიერნი
1988	ეინდჰოვენი (ჰოლანდია)	0:0 ბენფიკა *პენ* 6:5
1989	მილანი	4:0 სტიაუა
1990	მილანი	1:0 ბენფიკა
1991	ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)	0:0 მარსელი (საფრანგეთი) *პენ* 5:4
1992	ბარსელონა	1:0 სამპდორია (იტალია) დ.დ.
1993	მარსელი	1:0 მილანი
1994	მილანი	4:0 ბარსელონა
1995	აიაქსი	1:0 მილანი
1996	იუვენტუსი	1:1 აიაქსი პენ 4:2
1997	დორტმუნდი	3:1 იუვენტუსი
1998	რეალი (მადრიდი)	1:0 იუვენტუსი
1999	მანჩესტერ იუნაიტედი	2:1 ბაიერნი

სარგებელი

სპორტული ლატარია "CROCO"

გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა.

XXXIV ტური

29.05	მიუნხენი — შალკე	1,9	2,9	3,6
	მიონხენგლადბახი — დორტმუნდი	4,0	4,0	1,3
	შტუტგარტი — ვერდერი	1,6	2,6	6,0
	დუისბურგი — ვოლფსბურგი	3,4	3,4	1,6
	ჰერტა — ჰამბურგი	1,5	3,4	5,6
	აინტრახტი — კაიზერსლაუტერნი	2,0	3,0	2,0
	ნიურნბერგი — ფრაიბურგი	2,0	2,6	3,8
	ბოხუმი — ჰანზა	3,2	3,2	1,7
	ლევერკუზენი — ბაიერნი	2,5	2,8	2,6

გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა.

XXXII ტური

28.05.	კიოლნი — ვატენშაიდი	1,6	3,5	3,6
	ულმი — კიკერსი	1,3	4,0	7,5
	მაინცი — ურდინგენი	1,9	3,5	2,6
	ზტ. პაული — დიუსელდორფი	1,2	5,0	9,0
30.05	გიუტერსლო — ობერჰაუზენი	1,9	2,8	3,8
	კოტბუსი — ფორტუნა	1,6	3,5	4,0
	ჰანოვერი — ბერლინი	1,9	2,8	3,8
31.05	უნტერჰახინგი — ფიურტი	1,5	3,5	5,0

ინგლისის ჩემპიონატი. პლეი ოფი.

ფინალი

30.05	მანჩესტერ სიტი — ჯილინგემი	1,4	3,8	6,0
31.05	ბოლტონი — უოტფორდი	1,7	3,2	4,2

იტალიის ჩემპიონატი. პლეი ოფი.

პირველი მატჩი

28.05	იუვენტუსი — უდინეზე	1,5	3,3	6,0

იტალიის ჩემპიონატი. პლეი ოფი.

საპასუხო მატჩები

30.05 ბოლონია — ინტერი
უდინეზე — იუვენტუსი

გაეცნობით ადგილზე

იტალიის ჩემპიონატი. სერია B.

XXXVI ტური

30.05	ტორინო — ბრეშა	1,7	2,7	5,6
	კიევო — ჩეზენა	1,8	2,7	4,7
	კოზენცა — კრემონეზე	1,1	5,0	9,0
	ატალანტა — ფ. ანდრია	1,25	4,4	8,0
	რავენა — ლეჩე	4,4	2,7	1,7
	ჯენოა — ლუკეზე	1,9	2,9	3,4
	ნაპოლი — მონცა	1,5	3,3	5,3
	პესკარა — რეჯინა	1,8	2,7	4,7
	რეჯანა — ტრევიზო	2,5	3,0	2,2
	ტერნანა — ვერონა	2,5	2,6	2,6

ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი.

XXXVI ტური

29.05	ბილბაო — ბარსელონა	2,4	3,0	2,5
	ვალენსია — ოვიედო	1,25	4,4	8,0
30.05	ბეტისი — ვალიადოლიდი	1,7	3,0	4,7
	სარაგოსა — ვილიარეალი	1,7	3,2	4,0
	რასინგი — დეპორტივო	4,0	3,2	1,7
	ესტრემადურა — ატლეტიკო	2,4	2,9	2,6
	რეალი — მალიორკა	1,8	2,8	4,4
	სელტა — ტენერიფე	1,25	4,4	8,0
	სალამანკა — სოსიედადი	2,0	3,0	3,0
	ესპანიოლი — ალავესი	1,8	3,1	3,4

ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი.

XXXIX ტური

29-30.05	მალაგა — ალბასეტე	1,35	3,8	7,0
	ბარსელონა B — ტოლედო	2,5	2,9	2,5
	ერკულესი — ეიბარი	1,6	3,2	5,0
	ოსასუნა — სპორტინგი	1,8	2,9	4,2
	ბადახოსი — ლას პალმასი	2,6	2,9	2,4
	ლეგანესი — მალიორკა B	1,9	2,8	3,8
	მერიდა — ატლეტიკო B	2,5	2,9	2,5
	რეკრეატივო — რაიო ვალეკანო	3,5	2,8	2,0
	ორენსე — ლოგრონიესი	4,4	3,3	1,6
	სევილია — ლეიდა	1,35	3,8	7,0
	კომპოსტელა — ნუმანსია	2,2	2,8	3,1

საფრანგეთის ჩემპიონატი.

XXXIV ტური

29.05	ნანტი — მარსელი	5,0	3,4	1,4
	მონაკო — ლორიანი	1,6	5,0	2,3
	ლანსი — ტულუზი	1,3	4,0	7,5
	ოსერი — რენი	1,4	4,2	4,0
	ლიონი — სტრასბური	1,1	5,0	9,0
	მეცი — ლე ავრი	1,7	3,0	4,7
	მონპელიე — ბასტია	1,5	3,4	5,6
	პსჟ — ბორდო	5,0	3,4	1,4
	სოშო — ნანსი	1,8	3,0	4,0

პორტუგალიის ჩემპიონატი.

XXXIV ტური

28-31.05	სეტუბალი — აკადემიკა	1,1	6,0	12,0
	ბენფიკა — სპორტინგი	1,9	2,8	3,8
	პორტუ — ამადორა	1,4	3,5	7,0
	ბრაგა — რიუ ავე	1,7	2,4	5,6
	სალგეირუში — ბეირა მარი	2,0	3,0	2,0
	ლეირია — ფარენსე	1,3	4,0	7,5
	ბოავიშტა — მარიტიმუ	1,4	3,5	7,0
	კამპომაიორენსე — შავეში	1,3	3,2	9,0
	ალვერკა — გიმარაეში	2,0	3,6	1,8

ჰოლანდიის ჩემპიონატი. პლეი ოფი.

II ტური

30.05 ემენი — დორდრეხტი
ზვოლე — ვალვაიკი
გრონინგემი — ჰელმონდ სპორტი
ექსელსიორი — სპარტა

გაეცნობით ადგილზე

ბელგიის თასის ფინალი.

ბრიუსელი

30.05	ლიერსი — სტანდარდი	3,4	2,9	2,0

შოტლანდიის თასის ფინალი

29.05	რეინჯერსი - სელტიკი	2,0	2,9	3,4

პოლონეთის ჩემპიონატი.

XXX ტური

29.05	ვიძევი — ლკს	1,2	5,0	9,0
	რუხი — გურნიკი	2,2	2,8	3,1
	ვისლა — პოგონი	1,2	5,0	9,0
	ბელხატოვი — ოდრა	1,8	3,0	4,0
	ლეგია — პოლონია	1,25	4,4	8,0
	კატოვიცე — ზაგლებე	2,0	3,0	3,3
	ამიცა — სტომილი	1,9	2,8	3,8
	რაძიონკოვი — ლეხი	5,0	3,2	1,6

თურქეთის ჩემპიონატი.

XXXIV ტური

28.05	დარდანელი — ბეშიქთაში	4,2	3,4	1,3
29.05	ქარაბუქი — ალთინი	[illegible]	[illegible]	2,8
	საქარია — ანკარა	1,8	3,0	4,0
	გენჩლერბირლიგი — ისთანბული	1,5	3,4	5,6
	ადანა — ქოჯაელი	2,6	2,7	2,7
	სამსუნი — ბურსა	1,8	2,8	4,4
	ფენერბაჰჩე — ერზურუმი	1,2	5,0	9,0
30.05	გალათასარაი — გაზიანთეფი	1,3	3,8	7,5
	ტრაბზონი — ანთალია	1,7	3,3	3,5

ავსტრიის ჩემპიონატი.

XXXVI ტური

29.05	აუსტრია — ლუსტენაუ	1,4	3,5	7,0
	ლინცერი — შტაირი	1,3	4,0	7,5
	რიდი — გრაცერი	2,9	2,8	2,3
	ზალცბურგი — რაპიდი	4,4	3,4	1,5
	შტურმი — ტიროლი	1,3	4,0	7,5

შვეიცარიის ჩემპიონატი.

XIII ტური

30.05	ლუცერნი — გრასჰოპერი	5,0	3,4	1,5
	ქსამაქსი — ბაზელი	2,0	2,8	3,5
	სერვეტი — სტ. გალენი	1,2	5,0	9,0
	ციურიხი — ლოზანა	2,0	2,9	3,4

რუსეთის ჩემპიონატი.

IX ტური

29.05	როტორი — ჩერნომორეცი	1,2	5,0	9,0
	როსტსელმაში — ცსკა	2,6	2,8	[illegible]
	ტორპედო — სპარტაკი	3,1	2,8	2,2
	ნ. ნოვგოროდი — ზენიტი	2,5	2,8	2,6
	სატურნი — შინიკი	1,9	2,8	3,8
	ჟემჩუჟინა — ურალანი	1,7	3,1	4,4
	ლოკომოტივი — ალანია	1,7	3,0	4,7
	დინამო — კრილია სოვეტოვი	1,35	3,8	7,0

შვედეთის ჩემპიონატი.

VIII ტური

30.05	კალმარი — ჰელსინგბორგი	2,2	2,8	3,1
	მალმიო — ელფსბორგი	1,8	2,9	4,2
	ჰალმსტადი — აიკ	2,2	2,8	3,1
31.05	იურგარდენი — ჰამარბი	2,0	2,8	3,5
	იორებრო — ტრელებორგი	2,4	2,8	2,7
	იორგრიტე — ფრიოლუნდა	1,6	3,0	5,6
	ნორჩიოპინგი — გიოტებორგი	2,4	2,8	2,7

ამხანაგური მატჩი

29.05	ირლანდია — ჩრდ. ირლანდია	1,5	3,3	6,0

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

30.05 ნორვეგია — საქართველო ანგარიში — 5,0

NHL და NBA

გაეცნობით ადგილზე

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.

ბათუმში — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან.

რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.

გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ჰოლანდია

ფეიენოორდი

ჰოლანდიის ჩემპიონი: 1924, 1928, 1936, 1938, 1940, 1961, 1962, 1965, 1969, 1971, 1974, 1984, 1993, 1999
ჰოლანდიის თასი: 1930, 1935, 1965, 1969, 1980, 1984, 1991, 1992, 1994, 1995
ჰოლანდიის სუპერთასი: 1991
ჩემპიონთა თასი: 1970
უეფას თასი: 1974
საკონტინენტთაშორისო თასი: 1970
პრეზიდენტი: იორიენ ვან დენ ჰერიკი

მწვრთნელი: ლეო ბენჰაკერი

მეკარეები: ერიკ დუდეკი (პოლონეთი, 29.03.73), ედვინ ცუტბაირი (07.05.70), რონალდ ვრაანდლანდი (30.04.79)

მცველები: ჰენკ ფრანკერი (07.07.66), პატრიციო ვრაფი (არგენტინა, 13.11.75), ბერნარდ შუილტენი (03.10.73), ფერნანდო პეგუი (ურუგვაი, 14.02.74), ულრიხ ვან ვოლეული (14.04.74), კრისტიან ვეაანი (ვანა, 02.11.78), რენე ბოტი (06.11.70), პატრიკ ალოტეი (ვანა, 13.09.78), ფერნანდო პაანი (12.09.72), ბერტ კონტერმანი (14.01.71), იბრაჰიმ ჯარგბო (ვანა, 08.09.76)

ნახევარმცველები: კეის ვან ვონდერენი (04.01.69), პაბლო სანჩესი (არგენტინა, 03.01.77), ფან ბოლ ვან ვასტელი (28.04.72), ბოლ ბოსკულტი (26.03.70), იგორ კორნე�o (რუსეთი, 04.09.67), რონალდო ტანინიო (ბრაზილია, 24.10.77), დენელას სკეუიერა (ტენერიფა, 09.09.72), ტომას ბუფელი (ბელგია, 13.02.61), ალიპადი სესაი (ვანა, 21.04.77), პატრიკ პეეუი (27.12.75)

თავდამსხმელები: ჰენკ ვოსი (05.06.63), ხულიო რიკარდო კრუზი (არგენტინა, 10.10.74), რობინ ნილისი (02.11.78), ბონიფენტურა კალეუ (ბურკინა ფასო, 12.01.78), ალენ დალ ტომასონი (ვანა, 29.08.76), პეტერ ვან ფოსენი (21.04.68), ბოლ კპაკა (კოტ დივუარი, 23.06.79)

სამი ტიტა და ყოჩივარდა

უცნაური ჩემპიონატი იყო. მოულოდნელობებით აღსავსე. საბოლოოდ ისე დასრულდა, როგორც მოსალოდნელი იყო — როტერდამის „ფეიენოორდი“ წლეულს ყველას სჯობდა და ღირსეულადაც მოიგო ჩემპიონატი.

უცნაური სხვა მხრივ იყო — ჰოლანდიური ფეხბურთის ორ გრანდს, „აიაქსსა“ და „ეინდჰოვენს“ პატარა „ტილბურგმა“ აჯობა და ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა. „ტილბურგი“ კი, მოგეხსენებათ, ის კლუბია, შემოდგომით, უეფას თასის პირველსავე ეტაპზე, თბილისის „დინამოს“ ევროტურნირებზე ყველაზე სამარცხვინო მარცხი რომ აგება.

თუმც ჯერ როტერდამელებზე მოგახსენებთ.

„ფეიენოორდს“ ჩემპიონატის ოქროს მაძიებლად უკვე გასულ სეზონშიც მიიჩნევდნენ, მაგრამ მაშინ როტერდამული კლუბი პრიზიორთა შორის ვერ მოხვდა. არადა, ურიგოდ არ თამაშობდა. წინა სეზონში ისინი ჩემპიონთა ლიგაშიც იბრძოდნენ, ტურინის „იუვენტუსსაც“ სძლიეს, მაგრამ სტაბილურობას უჩიოდნენ. სწორედ ეს გახდა უპირველესი მიზეზი იმისა, რომ ეს საკმაოდ კარგი გუნდი წინა ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გავიდა.

წლეულს ლეო ბენჰაკერმა „ფეიენოორდს“ ხელი დაატყო და კლუბიც ქულებს ქარს არ ატანდა. მეტოქეს მეტოქეზე ამარცხებდა. ამასობაში უმთავრეს კონკურენტთა თამაშებს ხარვეზებიც დაეტყოთ და „ფეიენოორდიც“ მდევრებს სულ უფრო დასცილდა. უკვე პირველი წრის შემდეგ ნათელი იყო, როტერდამელებს ჩემპიონის ტიტულს ვერავინ შეეცილებოდა.

ამ გამარჯვებისკენ დიდხანს ვილტვოდითო, იტყვის „ბრედასთან“ შინ 2:2 დასრულებული თამაშის შემდეგ როტერდამელთა მწვრთნელი ლეო ბენჰაკერი. მართალიცაა — „ფეიენოორდის“ შემადგენლობის დიდი ნაწილი რამდენიმე წელია, მოდის, დროის დინებასთან ერთად გუნდი უფრო და უფრო შეკრული ხდებოდა, რასაც აუცილებლად შედეგი უნდა მოჰყოლოდა. ამიტომაც იყო კლუბმა ჰოლანდიის ჩემპიონთათვის განკუთვნილი სინი პირველობის დასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე რომ აღმართა.

ჰოლანდიის ჩემპიონი 25 აპრილს გაირკვა. „ფეიენოორდი“ პირველობის აუტსაიდერ „ბრედას“ მასპინძლობდა და ჩემპიონობისთვის ქულაც ჰყოფნიდა. უცნაურია, მაგრამ როტერდამელები აგებდნენ. მერე ექსნიუკასლელმა იონ დალ ტომასონმა და გუნდის საუკეთესო თავდამსხმელმა, არგენტინელმა ხულიო კრუზმა კლუბი ოქროსთან კი დააახლოვეს, მაგრამ მასპინძლებმა მაინც ვერ მოიგეს — „ბრედას“ ქართველმა თავდამსხმელმა არჩილ არველაძემ თავის გუნდი იხსნა. სხვა შემთხვევაში „ბრედასთან“ ფრედ დასრულებული თამაში „ფეიენოორდისთვის“ წაგების ტოლფასად აღიქმებოდა, მაგრამ აშკარად დაკარგული ორი ქულა ამჯერად არავის აინტერესებდა — „ფეიენოორდი“ ჩემპიონი გახდა.

ერთი რამ გადაჭრით უნდა ითქვას — როტერდამის „ფეიენოორდი“ ღირსეულად გახდა ჩემპიონი.

შარშანდელმა ჩემპიონმა, ჰოლანდიის ყველაზე ტიტულიანმა კლუბმა „აიაქსმა“ გასულ სეზონში დუბლი შესრულა, ახლა კი მხოლოდ თასს დასჯერდა.

„აიაქსი“ შარშანაც არ ყოფილა კარგი გუნდი — „ეინდჰოვენმა“ წინა ჩემპიონატში ორივე დაპირისპირებაში აჯობა, მაგრამ მაშინ ისინი სტაბილურად ვერ თამაშობდნენ, „აიაქსი“ კი თითქმის ყველას ამარცხებდა. წლეულს სხვაგვარად იყო — ამსტერდამელები ისეთ გუნდებთან მარცხდებოდნენ და ისეთ მეტოქეებთან კარგავდნენ ქულებს, რომლებთანაც, თუ ჩემპიონობა გსურს, აუცილებლად უნდა მოიგო. სწორედ მაჩაჩალებთან ძლივძლივობით მოგებას, ხშირ შემთხვევაში კი წაფორხილებას მოჰყვა დანიელი მწვრთნელის მორტენ ოლსენის თანამდებობიდან გათავისუფლება.

— ვეცდები, კლუბს ძველი დიდება დავუბრუნო. „აიაქსისთვის“ სამარცხვინოა სეზონის უტიტულოდ დასრულება — იან ვოუტერსმა, ოლსენის შემცვლელმა, პირველივე პრესკონფერენცია „აიაქსის“ მწვრთნელის თანამდებობაზე ამ სიტყვებით დაიწყო.

იქნებ ვოუტერსს მართლაც ძალიან სწადია „აიაქსის“ აღზევება, მაგრამ ნათელია, რომ იგი არაა იმ დონის მწვრთნელი, ასეთი ისტორიის მქონე კლუბს ძველ დიდებას რომ დაუბრუნებს. როცა მან ოლსენი შეცვალა, ჯერ კიდევ საკმაო დრო იყო, რათა „აიაქსს“ არათუ გამოესწორებინა თამაში, „ფეიენოორდს“ ჩემპიონობასაც შესცილებოდა, მაგრამ არა. „აიაქსი“, საბოლოოდ მხოლოდ მეექვსე ადგილზე გავიდა.

ამსტერდამელთა არასტაბილურობაზე ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, უბრალოდ, სტატისტიკა მოვიშველიოთ — თუ კლუბი შინ თითქმის ყველა მეტოქეს ამარცხებდა, სტუმრად ორიდან ერთ თამაშს აგებდა.

აიაქსელთა კრიზისი კიდევ იმით გახლდათ გამოწვეული, რომ წინა ჩემპიონატის დასრულებისთანავე კლუბს დანიელი მიქაელ ლაუდრუპი გამოეთხოვა. ეს შესანიშნავი მოთამაშე კი „აიაქსის“ სული და გული გახლდათ. შესამჩნევი იყო შოთა არველაძის ხშირი არყოფნაც — ამსტერდამელთა გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირი წლეულს ტრავმებმა გატანჯა, გამოკვეთილი მეგოლის არყოფნა კი შედეგებზეც აისახა.

სეზონის წინ „აიაქსმა“ კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელი გიორგი ქინქლაძე შეიძინა. ამსტერდამული კლუბის ხელმძღვანელობა მასზე საკმაოდ დიდ იმედებსაც ამყარებდა, თუმცა გარკვეულ თუ გაურკვეველ მიზეზთა გამო ქინქლაძემ „აიაქსში“ თავი ვერაფრით გამოიჩინა.

წინასწარმეტყველება რა ჩვენი საქმეა, მაგრამ ალბათ, „აიაქსი“ მომავალ ჩემპიონატში უკეთესად ითამაშებს.

ჰოლანდიური ფეხბურთის ლიდერი სამეულის ბოლო წევრი „ეინდჰოვენია“. ამ კლუბმა 1986 წლის შემდეგ ქვეყნის ჩემპიონატი ყველაზე მეტჯერ, ექვსჯერ მოიგო, თან გამუდმებით ლიდერთა შორისაა.

წლეულს, ისევ რიგითი შარშანდელი „ეინდჰოვენი“ არასტაბილურად თამაშობდა. იქნებ ესეც ხელისშემშლელი ზრდათ [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

ვახტანგ ნაცვლიშვილი: ნაკრებს მწვრთნელის შეცვლა ვერ უშველის



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ვახტანგ ნაცვლიშვილი

ქართველმა კალთბურთელებმა შვეიცარიის საკვალიფიკაციო ტურნირში ყველა ღონე იხმარეს, რათა ევროპის 2001 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის საგზური მოეპოვებინათ, მაგრამ დასახულ მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს. სწორედ ამის მერე გავესაუბრეთ ეროვნული გუნდის ლიდერს და კაპიტანს ვახტანგ ნაცვლიშვილს.

— პორტუგალიის დამარცხების შემდეგ, რომელმაც საბოლოოდ ევრობასკეტ-2001-ის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვა, ძალზე მოულოდნელი იყო ბოლო ტურში საქართველოს ნაკრების დამარცხება დანიასთან (78:109), რომელსაც მანამდე ყველა თამაში წაგებული ჰქონდა. ასეთ საპასუხისმგებლო მატჩში ჩვენი ბიჭების უპასუხისმგებლობას რით ახსნით?

— ტურნირი ფაქტობრივად პორტუგალია-ირლანდიის მატჩით დასრულდა. ირლანდიამ უბრძოლველად დაუთმო შეხვედრა მეტოქეს და პორტუგალიელებმა ბელგიასთან და შვეიცარიასთან ერთად შესარჩევ ტურნირში მონაწილეობის უფლება გაინაღდეს. ამიტომ, ჩვენს შეხვედრას დანიასთან მხოლოდ ფორმალური მხარეღა ჰქონდა.

— შვეიცარიასთან და ბელგიასთან წაგებას რით ახსნით?

— ბელგიელები აშკარა ფავორიტები იყვნენ, რომლებმაც დაუმარცხებლად იასპარეზეს და ისე გავიდნენ პირველ ადგილზე. შვეიცარიელებმა კი საკვალიფიკაციო ტურნირამდე რამდენიმე ასპარეზობაში მიიღეს მონაწილეობა. მათი გამარჯვება არც გამკვირვებია. მე უფრო ის გამიკვირდა, როგორ შევძელით პორტუგალიელების დამარცხება. ისინი საკმაოდ დიდი დელეგაციით და უამრავი გულშემატკივრით იყვნენ ჩამოსულნი, მაშინ, როდესაც ჩვენ, გულშემატკივრებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სხვა მონაწილეებისაგან განსხვავებით. მსაჯიც არ გვყავდა ტურნირზე. ამიტომაც აშკარა იყო ჩვენს მიმართ მსაჯების არაობიექტურობა. თუ მომავალში რომელიმე ქართველმა მსაჯმა ვერ შეძლო საერთაშორისო კატეგორიის მოპოვება, ფიბას ეგიდით ჩატარებულ ნებისმიერ ტურნირში ყოველთვის დავიჩაგრებიდი.

— ფაქტი ერთია, რომ მინიმუმ 2 წლის განმავლობაში ნაკრები საერთაშორისო მატჩებში ვეღარ იასპარეზებს, რაც აშკარად დაეტყობა ჩვენს ისედაც დაბეჩავებულ კალათბურთს. თქვენი აზრით, როდესმე თუ გვეშვლება?

— სანამ ბოღმა და შური იქნება, არაფერი გვეშველება. ყველამ იცოდა, რომ ტრავმა მქონდა და ამის გამო ვერ ვითამაშე ლატვიისა და იტალიის წინააღმდეგ. ჭორის მოყვარული ადამიანები კი უცბადად ალაპარაკდნენ: ვახტანგ ნაცვლიშვილს ლევან მოსეშვილთან უთანხმოება აქვსო. ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა ბატონ ლევანთან და ნაკრებში თუ არ ვთამაშობდი, ეს მხოლოდ ტრავმის ბრალი იყო.

ჩემი აზრით, გაუმართლებელი იყო ბატონი ბესიკ ლიპარტელიანის გადაყენება მთავარი მწვრთნელის პოსტიდან. თუ მოსეშვილსაც ლიპარტელიანის ბედი ეწევა, არა მგონია ამან საქმეს უშველოს. მწვრთნელი გენიოსიც რომ იყოს, მაინც ძნელია ცოტა ხანში გუნდის გაკეთება. მინიმუმ ერთი სეზონის ჩატარების უფლება ხომ მაინც უნდა ჰქონდეს. მე რამენაირად მივხედავ ჩემს თავს, მაგრამ ვინც საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობს, იმათთვის ხომ უნდა ჰქონდეს თამაშს აზრი, ხომ უნდა ჰქონდეს რაღაც ინტერესი. აქამდე ნაკრებში მოხვედრა და რამდენიმე საერთაშორისო მატჩის იმედი იყო. უახლოეს ორ წელიწადში ამის შანსიც დაიკარგა. პრობლემები მართლაც თავზე საყრელია და სახელმწიფოს დახმარების გარეშე ამას მარტო ფედერაცია ვერ მოაგვარებს.

— თქვენ ჭორის მოყვარული ადამიანები ახსენეთ, რომლებიც იმასაც ამბობენ, რომ ვახტანგ ნაცვლიშვილი ნაკრებში თამაშს მხოლოდ იმის შემდეგ დათანხმდა, რაც მოსეშვილმა გუნდში მის ძმა გიგის და ცოლისძმა ნიკა ცქიტიშვილს უხმოო...

— ვისაც ამ ბოლო დროს გიგის და ნიკას თამაშები უნახავს, არა მგონია ვინმეს ეჭვი შეეპაროს, რომ ისინი ნაკრებში თამაშს ნამდვილად იმსახურებდნენ.

— თქვენს შესახებ რას იტყვით. ტრავმა კიდევ ხომ არ გაწუხებთ?

— არა. თავს მშვენივრად ვგრძნობ, სისტემატიურად ვვარჯიშობ და 12 კილოგრამიც დავიკელი.

— ესპანეთში რომელ გუნდში გამოდიოდით და კვლავ დაბრუნებას თუ აპირებთ?

— „ლოს ბარიოს ბალონსესტოსთან" მხოლოდ სეზონის ბოლომდე მქონდა კონტრაქტი. ძალიან ცოტას, 15-20 წუთს მათამაშებდნენ. ამიტომ უკმაყოფილო ვარ და არა მგონია კვლავ ესპანეთში დავბრუნდე.

— ვერც იმას დავიჯერებ, რომ ბოლომდე სტუ-ში დარჩეთ...

— სტუ-ში მხოლოდ დროებით ვარ და აქ თამაშიც ძმის, ცოლისძმის და ჩემი ყოფილი მწვრთნელის თამაზ ოქრუაშვილის ხათრით გადავწყვიტე. სტუ-მ თუ ისე ითამაშა, როგორც „აზოტთან" შეხვედრისას, შეიძლება ამ გუნდში აღარც გავჩერდე. ამას სტუ-ს კალათბურთელების გასაგონად ვამბობ. მინდა მათ იცოდნენ, რომ ერთი-ორი კალათბურთელი თამაშს ვერ მოიგებს.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს. პორტუგალიის რამდენიმე გუნდი არის ჩემით დაინტერესებული და მომავალში შეიძლება ამ ქვეყანაში გავაგრძელო საკალათბურთო მოღვაწეობა.

— თქვენ იმ კალათბურთელთა კატეგორიას განეკუთვნებით, რომელიც ბუნებისგან ბოძებულ მონაცემებს რაღაც მიზეზების გამო ბოლომდე ვერ იყენებს...

— მორჩა. სიზარმაცეს შევეშვი და აკი გითხარით, თორმეტი კილო დავიკელი.

— ახლა რამდენი კილო ხართ?

— ოთხმოცდაცხრამეტი.

— სიმაღლე ხომ არ მოგემატათ?

— არა. როგორც ვიყავი 2 მეტრი და 5 სანტიმეტრი, ისე დავრჩი.

როლანდ ლაგუჩიძე

REUTERS ტოლანტერიდან

ვინს კარტერს (მარჯვნივ) წლის საუკეთესო ახალბედას ტიტული პირველმა მიულოცა მწვრთნელმა ბაჩ კარტერმა

კარტერმა ყველა ახალბედა დაჩრდილა

ასე დამაჯერებლად ამ სეზონის არცერთ ლაურეატს არ მოუგია არცერთი გამოკითხვა. „ტორონტო რეპტორზის" ფორვარდმა ვინს კარტერმა იოტისოდენა შანსიც არავის დაუტოვა და წლის საუკეთესო ახალბედას ტიტული მოიპოვა. გამოკითხვაში მონაწილე ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის 118 კალათბურთზე მწერალი ჟურნალისტიდან, კარტერს უპირატესობა მიანიჭა 115-მა. „საკრამენტო კინგზის" ჯეისონ ვილიამსს 3 ხმა ერგო, ხოლო „ბოსტონ სელტიქსის" პოლ პირსს — 2.

კარტერის ტრიუმფი და ამგვარი უპირობო გამარჯვება შემთხვევითი სრულებითაც არ ყოფილა. 1998 წლის დრაფტის მე-5 ნომერმა, მარტსა და აპრილში თვის ახალბედას ტიტული მოიპოვა. ამ სეზონში კარტერი გახდა ერთადერთი ახალბედა, ვისაც კვირის მოთამაშეობა ერგო. საერთოდ, ლიგის ისტორიაში ამგვარი პატივი სულ ოც ახალბედას ღირსებია.

198-სანტიმეტრიანმა ფრთამ, ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის გამოზრდილმა, მატჩში საშუალოდ 18,3 ქულა, 5,7 მოხსნა, 3,0 პასი, 1,54 დაფარება და 1,10 ჩაჭრა გააკეთა. მან 766-ჯერ ესროლა და 345-ჯერ ჩაადგო (45 პროცენტი). 50 ნათამაშევ მატჩში 49-ჯერ სასტარტო ხუთეულში იყო. მატჩში საშუალოდ კი 35,2 წუთს ატარებდა მოედანზე.

კარტერი „ტორონტო რეპტორზის" ბომბარდირი გახდა. მან ოცჯერ გააკეთა 20 ქულაზე მეტი და სამჯერ — 30 ქულაზე მეტი. ახალბედათა შორის კი იგი პირველი იყო ქულებსა და დაფარებებში, მესამე — პასებში, მეოთხე — მოხსნებში, მეხუთე — ჩაჭრებში.

წლის საუკეთესო ახალბედას ჯილდო, რომლის დაუფლების შანსი კალათბურთელს მხოლოდ ერთხელ აქვს, ედი გოტლიბის სახელობისაა. ეს კაცი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო, რომელიც ლიგის პირველ ჩემპიონს, „ფილადელფია ვორიორზს" წვრთნიდა (1946-47 წლების სეზონი).

„ეს პატივია — თქვა ვინს კარტერმა. ყველა დროის ახალბედათა სიას ჩავხედე და დიდი მოთამაშეები აღმოვაჩინე. მე უნდა ვეცადო, რომ მათსავით დიდი კარიერა გავიკეთო და „ტორონტო რეპტორზისთვის" ბევრი რამ გავიღო".

1998 წლის დრაფტში კარტერი „ვოლდენ სტეიტ ვორიორზმა" აირჩია, მაგრამ იმავე დღეს გაუცვალა „ტორონტო რეპტორზს" მე-4 ნომერ (კარტერი მე-5 იყო) ანტუან ჯემისონში. სხვათა შორის, კარტერი და ჯემისონი ჩრდილოეთ კაროლინაში თანაგუნდელები იყვნენ და 1997 და 1998 წლებში სტუდენტური ჩემპიონატის „ოთხთა ფინალში" გავიდნენ.

„ვინსმა ბრწყინვალედ ითამაშა, ხასიათის სიმტკიცე გამოავლინა და გუნდს რწმენა დაუბრუნა. ამან კი მნიშვნელოვნად განაპირობა კლუბისკენ გულშემატკივრის შემობრუნება" — ეს „რეპტორზის" მწვრთნელის, ბაჩ კარტერის სიტყვებია. თავად ვინს კარტერი კი მეორე ტორონტოელია, ვინც სეზონის საუკეთესო ახალბედა გახდა. 1996 წელს ეს ტიტული დეიმონ სტუდემაიერმა ირგუნა.

საუკეთესო ახალბედას პრიზი 1953 წლიდან თამაშდება. გაგაცნობთ იმ მოთამაშეებს, რომლებიც საუკეთესო ახალბედები გახდნენ, ხოლო მომდევნო წლებში სეზონის უძვირფასესი მოთამაშის ტიტული მოიპოვეს: ბობ პეტიტი (მილუოკი, წლის ახალბედა გახდა 1955 წელს), უილტ ჩემბერლენი (ფილადელფია, 1960), ოსკარ რობერტსონი (ცინცინატი, 1961), ვილის რიდი (ნიუ იორკი, 1965), ვეს ანსელდი (ბალტიმორი, 1969), ქარიმ აბდულ ჯაბარი (მილუოკი, 1970), დეივ კოუენსი (ბოსტონი, 1971), ბობ მაკადუ (ბუფალო, 1973), ლარი ბერდი (ბოსტონი, 1980), მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო, 1985), დევიდ რობინსონი (სან ანტონიო, 1990). აღსანიშნავია, რომ უილტ ჩემბერლენი და ვეს ანსელდი ერთ სეზონში გახდნენ საუკეთესო ახალბედებიც და უძვირფასესი მოთამაშეებიც.

ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში უკვე გამოვლინდა ჩემპიონი, ჩვენ კი ვერც ამაში ავუწყეთ ფეხი საკალათბურთო ევროპას და ისეთი პირი უჩანს, საქართველოს მერვე ჩემპიონატის გამარჯვებულის ვინაობას შუაგულ ზაფხულში შევიტყობთ.

სულ მალე, ალბათ, პლეი ოფიც დაიწყება, თუმცა მანამდე გათამაშების ბოლო, 36-ე ტური და ექვსი გადადებული თამაში აქვთ კლუბებს გასამართი. მათ შორის 33-ე ტურის მატჩი „აზოტი" — თსუ, რომლის შედეგი გაუქმა ფედერაციამ და გუნდებს ამ შეხვედრის გადათამაშება მოუწევთ.

კალათბურთის ფედერაციამ ეს-ესაა ახალი კალენდარი შეიმუშავა და როგორც გადადებული მატჩების, ასევე გადასათამაშებელი შეხვედრის გამართვის დრო და თარიღიც დადგინდა.

საქართველოს ჩემპიონატი

გამოტოვებული თამაშები

1 ივნისი		
კოლხა	— სტუ	14.00
სდასუ	— თსუ	15.30
2 ივნისი		
მაკაბი	— თსუ	14.00
კოლხა	— სდასუ	15.30
4 ივნისი		
სდასუ	— სტუ	14.00
აზოტი	— თსუ	15.30

ბოლო, 36-ე ტური 6 ივნისს სრულად ვაიმართება.

ბილმა ბილი დააფასა

1972 წელს „ბოსტონ სელტიქსმა" პატივი მიაგო ლეგენდარულ ბილ რასელს და კარიერის დასრულების შემდეგ მისი №6 მაისურა თავის დარბაზის, „ბოსტონ გარდენის" ჭერში ააფრიალა. ოღონდ, იმ ცერემონიალს რასელის თანაგუნდელების გარდა არავინ დასწრებია. ასე მოითხოვა თავად ლეგენდამ.

გავიდა 27 წელიწადი. „სელტიქსმა" დარბაზი გამოიცვალა და „გარდენიდან" გადავიდა „ფლიტ ცენტრში", სადაც რასელს ამა წლის 26 მაისამდე ფეხი არ მიედგა. ბოსტონური გუნდის ხელმძღვანელობამ დიდი ზეიმი მოაწყო, უამრავი ხალხი დაპატიჟა და რასელი ამჯერად საჯაროდ განადიდა: №6 მაისურა ამჯერად „ფლიტ ცენტრის" ჭერში აღიმართა. ცერემონიალს დაესწრნენ: ქარიმ აბდულ ჯაბარი, ლარი ბერდი, ბობ კოუზი, ჯულიუს ირვინგი, ოსკარ რობერტსონი, ჯონ ჰავლიჩეკი, უილტ ჩემბერლენი... ვინ არიან ესენი, თქმა ზედმეტია... ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარმა დევიდ შტერნმა კი ვიდეოკასეტა მოიტანა, სადაც პრეზიდენტ ბილ კლინტონის ბილ რასელისადმი მიმართვა იყო ჩაწერილი.

ვინ არის ბილ რასელი? ერთი სიტყვით, კაცი, რომელსაც უფრო მეტი ჩემპიონი ბეჭედი აქვს, ვიდრე ორივე ხელზე თითები. 13 სეზონში იგი 11-ჯერ გახდა ლიგის ჩემპიონი, ყოველთვის „ბოსტონ სელტიქსის" რიგებში.



REUTERS ბოსტონიდან

ბილ რასელი

ხელბურთი

უნდა მოვიგოთ!

ქართველებმა ფინელ ქალებთანაც იკვარგეს

ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრებმა სტუმრად პირველი მატჩი მოიგო. ლატვიელთა დამარცხებით (19:18) ქართველებმა თითქმის გაინაღდეს პლეი ოფში მონაწილეობის უფლება. საამისოდ 30 მაისს თბილისში იმავე ლატვიელების თუნდაც ერთბურთიანი სხვაობით ჯობნაღაა საჭირო. ასე რომ, ჩვენი ბედი ჩვენზევე ჰკიდია.

საკვალიფიკაციო ეტაპის 7 ჯგუფიდან 5 ოთხგუნდიანია, 2 სამგუნდიანი. თითოეულის გამარჯვებული და ხუთგუნდიანების ოთხი საუკეთესო მეორეადგილოსანი პლეი ოფში გადიან, სადაც მათ ცხრა გუნდი ელით — დანია, ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია, უნგრეთი, მაკედონია, ნორვეგია, რუსეთი და იუგოსლავია. ეს ოცი გუნდი ისე დაწყვილდება, რომ ზემოჩამოთვლილები ერთმანეთს არ შეხვდებიან და ორრაუნდიან ბრძოლაში გაირკვევა კიდეც იმ ათი ნაკრები, რომლებიც ევროპის ჩემპიონატის მასპინძელ ხორვატიასთან და კონტინენტის ჩემპიონ შვედებთან ერთად გაისად, იანვარში გაითამაშებენ ევროპის ჩემპიონატის მედლებს.

თუ ლატვია შინ დავამარცხეთ, მეორე ადგილი განაღდებული გვაქვს, 8 ქულა გვექნება. ახლა გადავხედოთ სხვა პოტენციურ მეორეადგილოსნებს. პოლონეთს, თურქეთს და ჩეხეთს 6-6 ქულა აქვთ და სავსებით შესაძლებელია, თითო მოგების შემდეგ ბურთების უკეთესი შეფარდებით გვაჯობონ. მეოთხე ნაკრები ავსტრიაა 5 ქულით. თუ მან შაბათს ესტონეთი დაამარცხა, მხოლოდ 7 ექნება.

ასე რომ, თუ ლატვაის მოვუგეთ... „თუ“ კი არა, აუცილებლად უნდა მოვიგოთ და შემდეგ ეტაპზე გავიდეთ. მერე ხორვატიამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩება. იმედიანად ყოფნის საბაბი კი ნამდვილად გვაქვს, რადგან ჩვენი ხელბურთელები მართლაც ჩინებულად ათამაშდნენ. ამას რიგული მატჩიც ადასტურებს. კატასტროფული პირველი ტაიმის შემდეგ ბიჭებმა თავი მოთოკეს და მეორე ნახევარი დიდი აღამავლობით ჩაატარეს. სტუმრად ხუთბურთიანი ჩამორჩენის (თამაშის განახლებამდე 8:13-ს ვაგებდით) გაქვითვა იოლი ნამდვილად არაა. საქართველოს ნაკრებმა კი ეს შეძლო. მეტოქის კარში ბოლო, მე-19 ბურთი, ლევან გელაშვილის ტყორცნის შემდეგ გავიდა. ცოტა ხანში კი ფინელმა ქალებმა, დიახ, მატჩს ქალები სჯიდნენ, თამაში დაასრულეს და მე-6 ჯგუფში პირველი სტუმრად გამარჯვება და საშინაო მარცხიც დაფიქსირდა. რიგის „სპორტ მანეჟში“ თავმოყრილმა მცირერიცხოვანმა ქართველებმაც (ხელბურთელთა მხარდასაჭერად იქ მოთამაშე ჩვენებური ფეხბურთელები მისულან რევაზ ძოძუაშვილის თაკკაცობით) საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ძლიერ გაიხარეს.

გაიოზ თალაკვაძე

რაგბი

შენ ვის ემარიაქეზი, ბიჭო

ინგლისელებს რაღაც უადგილოდ საუბრის ჩვეულება მოსძალებიათ. გიხსომებათ, ამ რამდენიმე თვის წინ ჟურნალისტებთან შეკამათებული ენრიკის გამოთქმას მათი საფეხბურთო ნაკრების სიტყვაუხვი თავკაცი გლენ ჰოდლი რომ შეწირა. გასულ უქმეებზე კი მედიის წარმომადგენლებთან საუბარში საკუთარი კარიერისთვის მავნე ფრაზების ფრქვევას ქვეყნის სარაგბო ნაკრების კაპიტანი ლოურენს დალალიო არ მოერიდა. არ მოერიდა და, როგორც კაპიტნის სამკლაურის დათმობა მოუხდა, ემანდ ეგრევე მოქალაქეობრივი თავისუფლების დათმობაც არ მოუხდეს...

მოკლედ, ეგრე: ჩვენ რომ ახლახან ვწერდით და ვეჭვობდით, ეს ჯან-ღონით სავსე ჯეელი ნარკოტიკების ტრფიალი როგორ იქნება, ნაღდი მორაგბე და მეოვალეაო, თავად იგი ინგლისური რაგბეთის მექა—თვიქნემში გამომდგარიყო და თავის თავისთვის განაჩენი გამოჰქონდა.

თურმე ნუ იტყვით და, რუპერტ მერდოქის კუთვნილი „ნიუს ოფ ზე უორლდის“ ჟურნალისტებთან საუბრისას ლოურენს დალალიოს „უბრალოდ მაგარ ბიჭად წარმოჩენა და შთაბეჭდილების მოხდენა მოსურვებია“. ჰოდა, სიჭაბუკეში შიგადაშიგ პლანს რომ ეწეოდა, ეგ ამბავი ისე გაუბუქია, თანამოსაუბრე ავსტრალიელ კალმოსნებს თავი ერთ, წამალზე უიმედოდ შეპყდარ და კაიფარიკ ვინმედ ასახვინა.

„ბოიშვილი ვიყო, ყველაფერი მოვიტყუე, პროსტო, ლაპარაკი ისე წაეწყო, რო, მეთქი, ამათ დავაბოლებ და... კარონჩ, მაგრა მრცხვენია. სიცოცხლეში ბარიგა არა ვყოფილვარ, პროსტა, ბავშვობაში ერთი-ორჯერ მომიწევია, მეტი არაფერი რა... მეთქი, უფრო მაგარი ვინმე ვეგონები და კარონჩ, მაპატიეთ“. თანამედროვე ქართულზე დალალიოს თვიქნემური „ბაზარი“ დაახლოებით ასეთი იყო.

ხოლო მის მომავალს რაც შეეხება... კეთილი იყოს მისი ფეხი გლენ ჰოდლის მჭევრმეტყველებისა და სულთა გარდასახვის კლუბში, რომელსაც სახელად „დონთ სფიქ ენდ იფ სფიქ — გრეით ფაქ“ ანუ ჩვენებურად და მოკლედ „ენას კბილი დააჭირე, თორემ...“ ეწოდება.

არტემ ჩაჩანიძე

ძიუდო

საბარელი შკან არ იხევს

ტოტიკაშვილი ისე გააბრაზეს, სხვა გზა აღარ ჰქონდა

ბრატისლავაში, ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე, ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელი, შოთა ხაბარელი ოთხი მედლის (მათ შორის, ორი ოქროს) მოსაპოვებლად წავიდა. მაგრამ ჩამთავრდა პირველობა და ხაბარელი უკან მხოლოდ ორი ბრინჯაოთი დაბრუნდა. დაბრუნდა უკმაყოფილო, გაწბილებული და იმედგაცრუებული...

— დღესაც რომ მივდიოდე ევროპის ჩემპიონატზე, კვლავ იმავე შედეგებს დავგეგმავდი. მიმაჩნია, რომ ჩემი მაშინდელი პროგნოზი რეალური იყო. ამ ტურნირმა კიდევ უფრო დამარწმუნა, რომ გუნდში ჩემპიონობის ორი რეალური კანდიდატი მყავდა. მაგრამ ეს არბიტრები... ასეთი არაობიექტური მსაჯობა ევროპის პირველობაზე კარგა ხანია, არ მინახავს. არც წილისყრამ გაგვიმართლა. ჩემი ბიჭების უმეტესობას თავიდანვე ოლიმპიადის, მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები შეხვდნენ. თუმცა მთავარი დანაშაული მაინც მსაჯებს მიუძღვით. სწორედ მათ დაგვიჩაგრეს ნესტორ ხერგიანი პირველსავე შეხვედრაში პორტუგალიელ პედრო კარავანასთან. ამ წონაში, 60 კილოში, გამოდიოდა ესპანელი ოსკარ პენიასი, მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარე კი მისი თანამემამულეა. მსაჯებმაც ყველაფერი გააკეთეს პენიასის გასაჩემპიონებლად. მას ადრეულ ეტაპებზევე ჩამოაშორეს ყველა ძლიერი კონკურენტი. მათ შორის, ხერგიანიც. ამის შემდეგ ნესტორმა ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო და ბრინჯაოს დაეუფლა. ასე დაგვაკარგვინეს ერთი ოქროს მედალი. ვთვლი, რომ ობიექტური მსაჯობის პირობებში ის ჩემპიონი გახდებოდა.

მეორე ოქრო გიორგი რევაზიშვილს წაართვეს. ნახევარფინალში იგი იტალიელ ოლიმპიურ პრიზიორ ჯიროლამ ჯოვინაცოს ხვდებოდა. ჩვენებურს მეტოქე სამჯერ გაექცა ხალიჩიდან, მაგრამ მსაჯებმა ერთხელაც არ გააფრთხილეს. არადა, წესით, უნდა მოეხსნათ. ასეთმა არაობიექტურობამ გიორგი ფსიქოლოგიურად მოშალა და შეხვედრის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე მეტოქის შეტევა გაეპარა. მესამე ადგილისთვის მისთვის ტრადიციულად უხერხულ თურქ მეტოქეს, ჰუსეინ ოზგანს შეხვდა და წააგო. ამით თურქმა პირადი შეხვედრების ანგარიში გაათანაბრა — 3:3. რევაზიშვილი რომ ჯოვინაცოსთან არ დაეჩაგრათ, უმეტესად არ დარჩებოდა.

სოსო ლიპარტელიანი ბრინჯაოსთვის ფრანგ ოლიმპიურ ჩემპიონ ჯამალ ბურას ეჭიდავებოდა. ერთ მომენტში სოსომ იპონზე დასცა მეტოქე, რაც ერთმა მსაჯმა ჩაუთვალა, ორმა კი ვაზარი მიაკუთვნა. არადა, ლიპარტელიანმა ნამდვილად ორივე ბეჭზე დააგდო ფრანგი. ეს აშკარად ჩანდა. ესეც ერთი დაკარგული მედალი.

ბაღრი კეთილაძის ფოტო

შოთა ხაბარელი

არ მინდა, ზემოთქმული წუწუნად და მწვრთნელებისთვის ჩვეულ თავის მართლებად ჩამომართვათ. ჩვენ საგანგებოდ შევიძინეთ ჩვენებურთა შეხვედრების ამსახველი ვიდეოკასეტები, ისინი დაახლოებით ორ კვირაში ჩამოგვივა. ვაპირებ, ტელევიზიაში გავუშვა, რათა რაც შეიძლება ბევრმა ნახოს და ჩემს სიმართლეში დარწმუნდეს.

სხვა მხრივ, ჩვენი გუნდი ძალიან სტაბილურად გამოვიდა. რვიდან ექვსმა ბრინჯაოსთვის იჭიდავა, ხოლო ივერი ჯიქურაული ნახევარფინალში გასასვლელ შეხვედრაში დამარცხდა.

— რჩება შთაბეჭდილება, რომ ყველაფერს მსაჯებს აბრალებთ, მაგრამ ნუთუ მხოლოდ ასეა? ასე მგონია, ლიპარტელიანმა ბურასთან ჭიდაობისას ვერ გაძლო. სეზონის დასაწყისში თქვენ მას სწორედ არასაკმაო ფიზმომზადების გამო ემდუროდით. ან გუგავამ თითქმის მოგებული შეხვედრა, თანაც დიდი უპირატესობით, ბოლო წამებზე სუფთად რომ წააგო, ესეც მსაჯთა ბრალია?

— ყველაფერს მსაჯებს არ ვაბრალებ. ლიპარტელიანს მართლა არ ეყო გამძლეობა. საწყის ორ წუთში მას მეტოქე, ფაქტობრივად, არ ჰყავს, იმდენად სჯობნის ყველას, მაგრამ მერე იღლება. ასაკიც თავისას აკეთებს. თუმცა მოსამზადებელ ტურნირებთან შედარებით ბრატისლავაში უკეთ გამოიყურებოდა.

გუგავას წაგებაც ფსიქოლოგიურმა მოუმზადებლობამ განაპირობა. მე ბიჭებს მეტოქეთა ვინაობას შეხვედრამდე ორი საათით ადრე ვუმხელ. გუნდში ეს წესად მაქვს. გუგავამ კი, ჩემს დაუკითხავად, წილისყრის შედეგები ერთი დღით ადრე გაიგო და მთელი ღამე არ უძინია. ამისთვის დატუქსე კიდეც. ისე კი, ევროპის სამგზის ჩემპიონს, ჰოლანდიელ მარკ ჰუზინგას მაინც კარგად ეჭიდავა. შეხვედრის დამთავრებამდე 50 წამით ადრე სამ იუკოს და კეი-კოკუს უგებდა, მაგრამ წმინდად დამარცხდა.

— მსაჯებმა დაგვჩაგრესო, ბრძანებთ, მაგრამ თქვენც ხომ გახლდნენ არბიტრები.

— ჩვენ არ გვყავს ჩვენი წარმომადგენელი მსაჯთა კოლეგიაში, ერთი შეხვედრის მსაჯობა კი ბევრს არ წყვეტს. იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ ვინ ნიშნავს არბიტრს. ამირან ტოტიკაშვილი ამ უსამართლობამ აღაშფოთა და კარავანას შეხვედრა მანაც არაობიექტურად იმსაჯა. მსაჯთა კომიტეტმა დაინახა ის, რისი დანახვაც უნდოდა — ტოტიკაშვილს მისცეს შეფასება „3“ და ტრიბუნაზე დასვეს. ჩვენთან წესია, ასეთი შეფასების მქონე არბიტრებს მთელი სეზონით ეკრძალებათ ოფიციალურ საერთაშორისო ტურნირებში მსაჯობა. ახლა ტოტიკაშვილიც ამ დღეშია.

— მსაჯთა კომიტეტს პროტესტი რომ წარუდგინოთ სათანადო ვიდეომასალით, ნუთუ არ განიხილავენ?

—ჩვენი საერთაშორისო ფედერაციის წესებით, პროტესტები არ მიიღება. ან თუ მიიღეს, დაისჯება მსაჯი, შედეგი კი უცვლელი დარჩება. ეს კი ჩვენთვის შელავათი არაა.

— მომავალში მსოფლიოს სალიცენზიო ჩემპიონატი გელით. იქ რაღას იზამთ?

— ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი ნაკრების სტაბილური ასპარეზობა მაიმედებს, რომ მსოფლიოზე თავს არ შევირცხვენთ. ოღონდ მსაჯობა ობიექტური უნდა იყოს. თუ ასე არ იქნა, მაშინ ჩვენ კი არა, ალბათ, ბევრი ძლიერი გუნდი დარჩება უმეტესად, როგორც ბრატისლავაში — გერმანია. ჩვენთვის სეზონის უმთავრესი ტურნირი მსოფლიოს პირველობაა, სადაც სიდნეის ოლიმპიადის ლიცენზიები გაიცემა. ევროპის ჩემპიონატიც და სხვა ტურნირებიც მსოფლიოსთვის მოსამზადებელი ციკლის შემადგენელი ნაწილია. ვთვლი, რომ ევროპაზე ნაჩვენები შედეგები მომავალში წაგვადგება.

— ეს შედეგები ნაკრების გადახალისებას ხომ არ გამოიწვევს?

— პატარა ცვლილებები მოსალოდნელია, რადიკალური — არა. უკმაყოფილო ვარ ივერი ჯიქურაულის, ალექსი დავითაშვილის და რამაზ ჩოჩიშვილის ჭიდაობით. სხვა წონებში ცვლილებებს არ ვაპირებ.

— მძიმე წონების უკონკურენციოდ დაკომპლექტება შეცდომა ხომ არ იყო?

— არა, რადგან მათ კონკურენტები არც ჰყავთ. ეს ჩვენი დიდი პრობლემაა. სამწუხაროდ, მძიმეწონისნებს ნაკრებში ადგილს არავინ ეცილება.

ირაკლი თავაძე

ჰოკეი

კოლორადოს შინ გული არ უდგება

STANLEY CUP PLAYOFFS

26 მაისი

დასავლეთი

სერიის ანგარიში

დალასი — კოლორადო 2:1

კოლორადო — დალასი 0:3

0:0 0:1 0:2

0:1 ნუინდაიკი 22'22 (8); 0:2 ლანგენბრუნერი 50'44 (5); 0:3 რეიდი 56'05 (2)

როგორც ჩანს, კოლოროადოელებს ჯერჯერობით ისევ აქვთ „მაკნიკოლს არენას“ კომპლექსი — წლევანდელ პლეი ოფში ეს მეშვიდე მატჩი იყო აქ და „ეველანშმა“ მეხუთედ წააგო. თუ გავიხსენებთ, რომ კოლორადოელებს მომდევნო თამაშიც შინ უწევთ, დენვერელთა შანსები სულ უფრო მცირდება.

დალასის მწვრთნელ კენ ჰიჩკოკს პლეი ოფში წარმატების საკუთარი თეორია აქვს. „თუ გსურს, სათასო ბატალიებში გაიმარჯვო, მეკარე გუნდში საუკეთესო მოთამაშე უნდა იყოს“ — ამბობს იგი. „ვარსკვლავების“ წინა მატჩებზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ამჯერად ედ ბელფორი რომ თავის გუნდში საუკეთესო იყო, ფაქტია. აღსანიშნავია, რომ ნახევარფინალების დაწყებამდე უძლიერესი ოთხეულის მეკარეთა შორის მავანნი სწორედ ბელფორს მიიჩნევდნენ ყველაზე სუსტად და ამბობდნენ, როცა მას მეტი დატვირთვა აქვს, ნაკლებ საიმედოაო. ბელფორმა ღირსეულად უპასუხა სკეპტიკოსებს — მინიმუმ შვიდჯერ მაინც იხსნა კარი აშკარა გოლისგან, განსაკუთრებით პირველ პერიოდში გამოირჩა, როცა ადამ ფუტის და მილან ჰეიდუკის უძლიერესი დარტყმები მოიგერია. ხოლო როცა ბელფორიც უძლური იყო, მას ძელი ეხმარებოდა. შეტევაში კი კვლავ ჯო ნუინდაიკი ბრწყინავდა. როცა მეორე პერიოდის დასაწყისში დალასელთა ფორვარდმა უნებლიე გოლი გაიტანა (მის მიერ კარის უკნიდან მიწოდებული შაიბა მცველ აარონ მილერის ციგურას მოხვდა და ასხლეტით პატრიკ რუას კარში აღმოჩნდა), ძნელი წარმოსადგენი იყო, იგი, ისევე როგორც წინა მატჩში, სტუმართათვის გამარჯვების საფუძველი გახდებოდა. ეს ნუინდაიკისთვის მეხუთე გადამწყვეტი გოლი გახლდათ, რაც ჯო საკიკის საპლეიოფო რეკორდს (1996) სულ ერთითოღა ჩამორჩება. ჯო დანაჩენი ორი გოლის გატანაშიც უშუალოდ მონაწილეობდა. თანაც მეორე შაიბის გატანისას ჯემი ლანგენბრუნერთან კლასიკური ორსვლიანი კომბინაცია გაითამაშა, პარტნიორს შეაგდებინა და მასპინძლები საბოლოოდ დაამწუხრა.

ჰიჩკოკმა სწორედ ამ თამაშში შეაამხანაგა. ეს ორი ფორვარდი და დეივ რეიდი ერთ სამეულში, რამაც უმალ ნაყოფი გამოიღო.

და კიდევ ერთი — ზუსტად ათი წლის წინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ჯო ნუინდაიკი კალგარის წარმატების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი გახდა: როგორც სპეციალისტები ამბობენ, წლეულს ტრავმებისგან საბოლოოდ განკურნებული ჯო ზუსტად ისეთივე შემართებით ასპარეზობს. კოლორადოელთა შორის არის კიდევ ერთი მოთამაშე, რომელმაც იმ ისტორიულ გამარჯვებაში ასევე ლომის წილი დაიდო — ტეო ფლერი. სამწუხაროდ, იგი ჯერჯერობით არაფრით გამოირჩევა, ჯერჯერობით...

სამველ ღარიბიანი

REUTERS დეზურიდან

კოლორადოს დაცვა დალასელთაგან ყველაზე მეტად იღბლიანმა ჯო ნუინდაიმა (25) გაამწარა

ჯომოლუნგმაც დაპყრობილია, წინ ჯაია და ვინსონიღაა

სარგებელის არქივიდან

გია თორთლაძე

ქართველი სპორტსმენის, საქართველოს ნაკრების ლამის სინონიმები გამხდარა სიტყვები: დამარცხება, წაგება, წარუმატებლობა, კრახი, ფიასკო და მისთანანი, რასაც გულშემატკივარი უიმედობამდე და სასოწარკვეთამდე მიჰყავს. ასეთ მრუმე ფონზე მეტად სასიხარულოა საქართველოს მთამსვლელთა გუნდების ასვლა დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმაზე. დიახ, ეს არ არის უბრალოდ დედამიწის სახურავზე ასვლა, ეს არის იმედი და სტიმული ხვალინდელი დღისა, რომ ჩვენს ქუჩაზე კვლავაც მოვა გაზაფხული. დღესდღეობით სწორედ ასე უნდა შევაფასოთ ჩვენი მთამსვლელების ლაშქრობა ჯომოლუნგმაზე.

განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ უკვე მრავალნაცად მთამსვლელებთან ერთად მწვერვალზე ავიდა ორივე ჯგუფის წევრთაგან ყველაზე ახალგაზრდა ალპინისტი 26 წლის თბილისელი მერაბ ხაბაზი, რომელიც ჩრდილოეთიდან მოიერიშე ჯგუფის წევრია. ხაბაზი, ისე როგორც თბილისელი ირაკლი უგულავა (29 წლის) და ქუთაისელი მამუკა ციხისელი (39 წლის) პირველად არის ჰიმალაის მთებში, თუმცა მათი ასვლა ჯომოლუნგმაზე მოულოდნელი სულაც არ ყოფილა. მათ რთული მარშრუტებით დაულაშქრავთ კავკასიონის მრავალი მწვერვალი და ასულან შუა აზიის შვიდიათასიან პიკებზეც. მაგალითად, ციხისელი ასულა ლენინის და კორჟენევსკის პიკებზე, ხაბაზი და უგულავა კი იმავე სიმაღლის პობედაზე და არანაკლებ მრისხანე ხან თენგრიზე.

ამ ექსპედიციის წევრთაგან ქუთაისელი მერაბ ნემსიწვერიძისთვის ჯომოლუნგმა მეორე რვაათასიანი მწვერვალია შიშა პანგმას მერე.

ამავე ესპედიციის მეთაური გია თორთლაძე კი უკვე მეხუთედ ავიდა რვაათასიან ბუმბერაზზე, რაც ქართველი მთამსვლელებისთვის რეკორდული მაჩვენებელია. ეს რვაათასიანებია: ჩო-ოიუ (8201 მ), შიშა პანგმა (8013 მ. ორჯერ), დჰაულაგირი (8267) და ჯომოლუნგმა (8848).

თორთლაძის ასვლა ჯომოლუნგმაზე იმითაცაა საყურადღებო, რომ მას განზრახული აქვს ყველა კონტინენტის უმაღლესი მწვერვალებიდან გადმოხედვა და გეგმაში ყველაზე პრობლემატური სწორედ ევერესტი იყო, რომელიც იმავდროულად აზიის უმაღლესი პიკიცაა.

შეგახსენებთ, რომ თორთლაძეს დალაშქრული აქვს ევროპის უმაღლესი მწვერვალი იალბუზი (5622 მ), ჩრდილოეთ ამერიკის „სახურავი" მაკ კინლი (6194), სამხრეთ ამერიკის კენწერო აკონკაგუა (6900), აფრიკის უმაღლესი პიკი კილიმანჯარო (5895) და ბოლოს ჯომოლუნგმა.

ახლა მას სრული კოლექციისთვის დარჩა ავსტრალია-ოკეანეთის უმაღლესი პიკი ჯაია (5029). თუმცა არის კიდევ ერთი მწვერვალი, „თეთრ კონტინენტზე", ანტარქტიდაზე აღმართული უმაღლესი პიკი ვინსონი (5140), რომლის დალაშქვრასაც თორთლაძე აპირებს.

ავთანდილ ბუკვიფელი

მთამსვლელები რაღაც უცნაურად იქცეოდნენ. დედამიწის უმაღლეს მწვერვალამდე დაახლოებით 200 მეტრიღა აშორებდათ, მაგრამ იქ ასვლას სულაც არ ჩქარობდნენ. ისე ჩანდა, რომ მათ დედამიწის კენწეროდან გადმოხედვა დიდად არც აინტერესებდათ. „გზიდან" ხან მარცხნივ გადადიოდნენ, ხან მარჯვნივ და გადათეთრებულ სავალს ისე აკვირდებოდნენ, თითქოს რაღაცას ეძებენო.

და იპოვეს კიდეც, რასაც მრავალი წელია ეძებენ მთამსვლელები და რასაც შეუძლია ნაწილობრივ მაინც ამოხსნას „XX საუკუნის უდიდეს საიდუმლოდ" მონათლული ისტორია — ადამიანის მუმიასავით გვამი...

მას ახლახან მიაგნეს - 1999 წლის 1 მაისს, ცხედარს კი 20-იანი წლების მთამსვლელთა უმაღლესი სტანდარტების სამოსი ეცვა, რომელსაც დღეს არც ერთი ჭკუათმყოფელი მთამსვლელი აღარ ჩაიცვამს არათუ ჯომოლუნგმაზე, არამედ გაცილებით დაბალ მწვერვალზე ასასვლელად.

საოცრად კარგად შენახულ სხეულს, ქარისგან გადაწმენდილ შვერილზე რომ ესვენა, ეცვა ტყავის ბათინკები და ტყავის ქურთუკი, რომელსაც ჰქონდა წარწერა: „მელორ", ჯიბეში კი უნახეს ცოლისგან გამოგზავნილი წერილი...

ეჭვიც არ იყო, რომ ეს იყო ჯორჯ მელორის გვამი, იმ ჯორჯ მელორისა, რომელიც მონაწილეობდა ჯომოლუნგმაზე 1924 წლის ექსპედიციაში. მაშინ მელორსა და ენდრიუ ირვინს უკანასკნელად 8600 მეტრის სიმაღლეზე მოჰკრეს თვალი. ზოგი სპეციალისტი ვარაუდობს, რომ მათ ერთად ან ცალ-ცალკე მიაღწიეს მიზანს, რაც იმ დროისთვის მთვარეზე გაფრენის ტოლფასი იყო.

ოფიციალურად მიჩნეულია, რომ ჯომოლუნგმაზე პირველად 1953 წლის 29 მაისს ავიდნენ ინგლისელთა ექსპედიციის წევრები, ახალზელანდიელი ედმუნდ ჰილარი და შერპი თენსინგ ნორგეი.

მაგრამ მელორი და ირვინი? როდის დაიღუპნენ ისინი — ასვლისას თუ ჩამოსვლისას? აი, კითხვები, რომლებიც მრავალი წელია არ ასვენებს თმამსვლელებს. სწორედ ამის გასარკვევად ავიდა ჯომოლუნგმას კალთებზე წლევანდელი საგანგებო ექსპედიცია, რომელმაც ბოლოს და ბოლოს იპოვა მელორის გვამი.

მაგრამ სად გაქრა მისი მეწყვილის ცხედარი?

წლევანდელი აღმოჩენით ფრთაშეხმული თმამსვლელები იმედოვნებენ, რომ ადრე თუ გვიან იპოვიან ირვინის ცხედარსაც და იმ ფოტოაპარატსაც, რომელიც მათ ჰქონდათ, რაც საბოლოოდ ფარდას ახდის ამ უდიდეს საიდუმლოს. ამის იმედს ისიც აღრმავებს, რომ ნაპოვნია მელორის (თუ ირვინის) ვალიური წერაყინიც, რომელსაც 70-იან წლებში მიაგნეს თმამსვლელებმა სადღაც 8400 მეტრის სიმაღლეზე.

მანამდე კი, მოდით, მივყვეთ ჯორჯ

ჯორჯ მელორი: კაცი, რომელიც ჯომოლუნგმას ნაწილად იქცა



მელორის წერაყინი, რომელიც დაახლოებით 8400 მეტრზე იპოვეს

ჯომოლუნგმა ჩრდილოეთიდან

ყველაზე ფანტასტიკური, ტრაგიკული და საინტერესო გამოცანა

ინგლისელთა 1922 წლის ექსპედიცია ჯომოლუნგმაზე

მელორისა და ენდრიუ ირვინის ნაკვალევს, რომელმაც ისინი ესოდენ რომანტიკულ აღსასრულამდე მიიყვანა.

* * *

ინგლისელები, ჩარლზ ბრიუსის მეთაურობით, ჯერ კიდევ 1893 წელს გეგმავდნენ ჯომოლუნგმაზე ჩრდილოეთის მხრიდან ასვლას. მათ ასეთივე გეგმები ჰქონდათ 1907 წელსაც, მაგრამ ნეპალისა და ტიბეტის ხელისუფალნი თავიანთ ქვეყნებში უცხოელებს არ უშვებდნენ. ამ ქვეყნების ჭიშკრები მათთვის საიმედოდ იყო ჩარაზული. მაგრამ, აი, 1921 წელს ინგლისელებმა ტიბეტელთაგან მიიღეს ნებართვა და მათაც არ დააყოვნეს.

დედამიწის უმაღლესი მწვერვალისკენ პირველად დაიძრა ადამიანთა ჯგუფი. თავად ეს ფაქტი მსოფლიო მასშტაბის სენსაციად აღიარეს. ექსპედიციაში გასამგზავრებლად მიიწვიეს როგორც მკვლევარები, ისე მთამსვლელები. ექსპედიციის ხელმძღვანელად ტიბეტისა და ადგილობრივ მცხოვრებთა ენის მცოდნე ჩარლზ ბრიუსის კანდიდატურა წამოაყენეს, მაგრამ მან გამგზავრება ვერ მოახერხა. დიდხანს აღარ უფიქრიათ, ადგნენ და ხელმძღვანელად პოლკოვნიკი ჰოვარდ ბერი დანიშნეს, ბერი მანამდე ინდოეთში მსახურობდა და არაერთხელ მონაწილეობდა ჰიმალაის სიღრმეში მოწყობილ სამონადირეო ექსპედიციებში. ამიტომ ჰიმალაის მრავალი რაიონის საუკეთესო მცოდნედ ითვლებოდა.

საექსპედიციო ჯგუფში იყვნენ: მელორი, ფინჩი, რებერნი და ბალოკი, ავრეთვე, ჰიმალაის ცნობილი მკვლევარი, დოქტორი კელასი (იგი თავისი ოცნების ქვეყანაში შესვლას ვერ მოესწრო — გზად მიმავალი გულის უკმარისობის გამო გარდაიცვალა) და ორი ტოპოგრაფი — მორშედი და უილერი (მათ სამი თვის მანძილზე ლამის შვეიცარიისოდენა ფართობი, 40000 კვადრატული კილომეტრი აგეგმეს და შეადგინეს რუკა, რომელსაც თავისი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს).

მთამსვლელთა ჯგუფს მეთაურობდა მელორი, რომელიც იმ დროს ინგლისის საუკეთესო ალპინისტად ითვლებოდა. მთამსვლელები მხოლოდ მწვერვალისკენ მიმავალი გზის დაზვერვას ისახავენ მიზნად, მაგრამ მათ მყინვარ რონგბუკის მხრიდან არა მხოლოდ ჯომოლუნგმისკენ მიმავალი „ბილიკი" გაკვალეს, არამედ მელორმა და ბალოკმა ჯომოლუნგმასა და ჩანგცზეს მწვერვალებს შორის მოქცეულ უსაგრამდეც აიღწიეს (6985 მ).

ამ წარმატებით აღფრთოვანებული ინგლისელები ერთი წლის შემდეგ რონგბუკის მყინვარზე დაბანაკდნენ. ამჯერად მათი მიზანი მწვერვალზე ასვლა იყო. ამ მიზნის მისაღწევად ინგლისში ჩამოყალიბებულმა „ევერესტის კომიტეტმა" და ამ ქვეყნის ალპურმა კლუბმა, რომელიც 1857 წელს დაარსდა, ძლიერი ჯგუფი შეკრიბა. ორგანიზატორთა აზრით, მას შეეძლო ესოდენ დიდი მიზნის მიღწევა. ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ: კემბრიჯის უნივერსიტეტის დოცენტი, ჩვენთვის უკვე ცნობილი მელორი, ფინჩი (ახალგაზრდა ქიმიკოსი და ნიჭიერი ალპინისტი), ნორტონი (ჰიმალაის მთებში არაერთხელ ნამყოფი, ინდოეთში მომსახურე ინგლისელი ოფიცერი), სომერველი (ქირურგი, სახელგანთქმული ალპინისტი), კროუფორდი (ინდოეთში მომსახურე ინგლისელი ახალგაზრდა მთამსვლელი), ჯეფრი ბრიუსი (ჩარლზ ბრიუსის ძმაშვილი, ახალგაზრდა პერსპექტიული ალპინისტი). მათთან ერთად იყვნენ სტრეთერი, უორკილდი, მორშედი და ნოელი (ზოგიერთ წყაროში მას ნოელად მოიხსენიებენ). ეს უკანასკნელი ჩინებული მთამსვლელი და ფოტოგრაფი იყო. ექსპედიციაში, როგორც ექიმი, შეიყვანეს კავკასიონისა და ჰიმალაის მწვერვალებზე მოწყობილი ასვლების მონაწილე „შვიდიათასიან" მწვერვალ ტრისულის დამპყრობი ლონგსტაფი. ექსპედიციას გენერალი ჩარლზ ბრიუსი მეთაურობდა.

ჯომოლუნგმაზე საიერიშოდ ყველაზე კარგად მომზადებულად მელორი, ფინჩი, ნორტონი და სომერველი ითვლებოდნენ.

მართლაც, მელორმა, ნორტონმა და სომერველმა ჟანგბადის ბალონების გამოყენებრივად ღამის ბანაკზე 8125 მეტრ სიმაღლეზე აღწიეს. მთამსვლელები საშინლად დაღლილები იყვნენ. მათი ვარაუდით, მწვერვალამდე კიდევ 10 საათი სავალი იყო და ამიტომ პირი იბრუნეს.

მერე ფინჩმა და ჯეფრი ბრიუსმა ჟანგბადის ბალონებით სცადეს ბედი და 8321 (ზოგიერთი ცნობით 8222) მეტრამდე აღწიეს, მაგრამ, ჟანგბადის ბალონების უწესრიგობის გამო იძულებულნი გახდნენ დაშვებულიყვნენ. ინგლისელებმა კვლავ სცადეს ასვლა, მაგრამ ზვავი მოსწყდა და შვიდი შერპი ჩაჩუმქრა. ისინი ევერესტის პირველი მსხვერპლნი აღმოჩნდნენ.

მანამდე, მეოთხე და მეხუთე ბანაკებს შორის მელორი, ნორტონი, სომერველი და მორშედი ბედად დაღუპვას გადარჩნენ. ციცაბო ფერდობზე მიმავალთაგან მწკრივიდან მესამე მოწყდა, დასრიალდა და მეორეს დაეჯახა. მათი დამუხრუჭება მეორემ სცადა, მაგრამ ამაოდ — ისიც-თან გადაიყოლეს. მელორმა, რომელიც მწკრივის თავში იდგა, ზურგს უკან რაღაც ხიფათი იგრძნო და მოიხედა. მან დაინახა ხიფათში ჩავარდნილი მეგობრები, რომლებიც უფსკრულისკენ მიექანებოდნენ. მელორმა თოვლში ღრმად ჩაასო წერაყინი, ზედ თოკი შემოახვია და მთელი ტანით დააწვა. სამი კაცის ვარდნას წერაყინმაც გაუძლო, თოკმაც და მელორმაც.

ინგლისელებმა იმ წელიწადს მეტის გაკეთება ვეღარ შეძლეს, ისინი მტკიცნეულად განიცდიდნენ მარცხს, მაგრამ ეს გამარჯვება იყო. ისინი პირველად გასცდნენ მაგიურ 8000-მეტრიან ზღვარს, თანაც სამი მათგანი — ჟანგბადის ბალონების გამოუყენებლად.

ამ ექსპედიციის შედეგებმა ყველა დაარწმუნა იმაში, რომ დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე ასვლა შეუძლებელი არ იყო.

იმისთვის, რომ უკეთ შომზადებულიყვნენ, ინგლისელებმა მომდევნო ექსპედიცია 1924 წელს დაგეგმეს. მართლაც, მათ გულდასმით გააანალიზეს თავიანთი წინა წლების ორი ექსპედიციის შედეგები და საგულდაგულოდ მოემზადნენ. განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაუთმეს თბილი, ქარგაუმტარი ტანისამოსის შეკერვას. ჟანგბადის ბალონების წონა, რომელიც 25 კილოგრამი იყო, 30 პროცენტამდე შემცირეს (დღეს, ალბათ, ასეთი ძმიმე ბალონით, იმ გაუმჯობესებული ტანისამოსით მთაში არავინ წავა).

ექსპედიციის ძველ წევრებს მელორს, ნორტონს, ნოელს, ჯეფრ ბრიუსს შეუერთდნენ ახლები, მაგრამ ჩინებული და გამოცდილი ალპინისტები: ოდელი (გეოლოგი), ბიტჰემი (პედაგოგი), ჰაზარდი (ინჟინერი).

ექსპედიციაში მოხვდა სტუდენტი ენდრიუ ირვინიც (მის გვარსაც ხშირად არასწორად, ირვაინად მოიხსენიებენ ხოლმე), რომელიც მხოლოდ შეიცბერგენის ექსპედიციებში იყო ნამყოფი.

გამგზავრებამდე ჯონ მელორს მეუღლისთვის მიუწერია: „ეს უფრო ომს დაემსგავსება, ვიდრე ასვლას. იმედი არა მაქვს, რომ დავბრუნდები".

ავთანდილ გურასაშვილი

(დასასრული იქნება)

ენდრიუ ირვინი, რომელიც 75 წლის წინათ სადღაც ცასთან ახლოს უგზო-უკვლოდ გაქრა

ჯირო წითელი ბედაურის თავლაში

სპრინტერების დავაში იტალიელი მარიო ჩიპოლინი (საეკო) დაწინაურდა. მე-12 ეტაპზე „ჩიპომ“ ივან კუარანტას (იტალია, მობილვეტა) და იერონ ბლიილევენსს (ჰოლანდია, TVM) აჯობა და ქალაქ სასუოლოში ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა. სწორედ ეს სამი პეპელა იბრძვის „ჯიროს“ სწრაფ ეტაპებზე პირველობისთვის. აქამდე თითოეულს ორ-ორი ეტაპი მოეგოთ, ახლა კი ჩიპოლინიმ კონკურენტებს გაასწრო.

წინა დღეს კუარანტას მიერ დამარცხებულმა „სუპერ მარიომ“ რევანში აიღო, მიუხედავად იმისა, რომ დისტანციის ბოლო კილომეტრზე მას ერთი თანაგუნდელიც აღარ შემორჩა, რომელიც დახმარებას გაუწევდა, მაინც მოახერხა და მეტოქეებს აჯობა.

საავტომობილო გიგანტ „ფერარის“, რომლის საფირმო ნიშანიც წითელი ბედაურია, ქარხნებისა და რეზიდენციის მეზობელი ქალაქის მოსახლეობა „ჩიპოზე“ მეტად „მეკობრეს“ — მარკო პანტანის ელოდა. ეტაპის გამარჯვებული ყველას უმალ გადავიწყდა და ტურნირის უმთავრესი ფავორიტი მარკო პანტანიც ალყაში მოექცა. მასაც ბევრი ყვირილი დასჭირდა სასტუმრომდე რომ გზა გაეკვლია და დაესვენა.

168 კილომეტრი ფრანგმა ლორან ჟალაბერმა (ონსე) და მარკო პანტანიმ პელოტონის შუაგულში აუღელვებლად იარეს. ფინიშის მერე „ჟაჟა“ ხუმრობდა კიდეც ყველა ეტაპი რომ ამის მსგავსი იყოს „ჯიროს“ მოგების დიდი შანსი მექნებოდაო. მსოფლიო კლასიფიკაციაში მეორე ადილზე მყოფმა ფრანგმა ძალიან კარგად იცის, რომ მთათა მეფე პანტანისთან ორთაბრძოლაში საბოლოო წარმატების იმედი თითქმის არა აქვს და ამას არც მალავს: „კმაყოფილი ვიქნები, თუ საერთო ჩათვლაში მეორე ადგილს შევინარჩუნებ. პირველი კი ნაღდად პანტანი იქნება და ამაზე ნიმლავის დადებაც შემიძლია“.

გუშინ გაიმართა მე-13 ეტაპი, რომელიც ფრანგი რიშარ ვირანკის გამარჯვებით დასრულდა. საერთო ჩათვლაში ლიდერი კი კვლავ ჟალაბერია.

გაგი გურული

მეცამეტე ეტაპი

სასუოლო — რაპალო (243 კმ)

1 რიშარ ვირანკი (საფრანგეთი, პოლტი) 6 სთ, 55 წთ, 34 წმ
2 სანტიაგო ბლანკო (ესპანეთი, ვიტალიციო)
3 დავიდე რებელინი (იტალია, პოლტი)
4 რობერტო სვამბელური (იტალია, კანტინა ტოლო)
5 ანდრეი ტეტერიუკი (ყაზახეთი, ლაკიგასი)

საერთო ჩათვლა

1 ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი, ონსე) 57 სთ, 50 წთ, 4 წმ
2 მარკო პანტანი (იტალია, მერკატონე უნო) +4 წმ
3 სერგეი გონჩარი (უკრაინა, ვინი კალდიროლა) +1,13 წთ
4 ივან გოტი (იტალია, პოლტი) +1,17 წთ
5 დანიელ კლავერო (ესპანეთი, ვიტალიციო) +1,22 წთ



REUTERS/ბაბლოდან

რიშარ ვირანკმა გუშინ „ჯიროზე“ პირველი ეტაპი მოიგო

სისხლი და ქვიშა



REUTERS/ბარი ბიდან

ამელი მორესმო და მარტინა ჰინგისი

სცენა რომის კოლიზეუმს წაგავდა. ტრიბუნებზე შეკრებილი ცისფერისისხლიანი მრავალათასიანი პუბლიკა თავისი რჩეულისგან მეტოქე გლადიატორის განადგურებას ითხოვდა. არა, ცერა თითის ქვევით დახრამდე საქმე არ მისულა, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ პური და სანახაობა ისე არ დასრულდა, როგორც სისხლის მწყურვალი ხალხი ითხოვდა.

ის, რომ მარტინა ჰინგისი თითოეული ფრანგი ჩოგბურთის ქომაგის პირადი მტერია, თავად 18 წლის შვეიცარიელის დამსახურებაა. ენა პირში რომ დაეყენებინა და ავსტრალიის ღია პირველობაზე ლესბოსელი ამელი მორესმი „ნახევრად კაცის“ ეპითეტით არ შეემკო, როლან გაროსის მეორე წრის მატჩი სულ სხვა ატმოსფეროში ჩაივლიდა.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს პირველი ჩოგანი ირწმუნებოდა, ეს ერთი რიგითი შეხვედრაა და მეტი არაფერიო, ერთი შეხედვით მიხვდებოდით — საქმე მთლად ასე არ იყო.

პარიზი ასე მოუთმენლად სპორტულ მატჩს ფეხბურთის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის შემდეგ არ ელოდა. ჰინგისისგან გათათხული მორესმო იანვარს აქეთ საფრანგეთში ეროვნულ გმირად შეირაცხა. თავად განსაჯეთ: როლან გაროსის დაწყებამდე მისი ვარჯიშის ნახვის მსურველები 16-ათასიანმა ცენტრალურმა კორტმაც ძლივს დაიტია.

მაყურებელი უკვე მოთელვის დროს მღელვარებდა — მორესმოს დარტყმას ომახიანი „ალეთი“ ეგებებოდა, რაც ჩვენებური „მიდი-მიაწექის“ ტოლფასია, ჰინგისის პასუხად კი არანაკლებ ხმაურიანი სტვენა ისმოდა.

მატჩის დასაწყისში სიტუაციის ბატონ-პატრონად ჯანიანი ფრანგი გამოიყურებოდა: მძლავრი დარტყმებით მეტოქეს აქეთ-იქით დაარბენინებდა და როდესაც ბოლოს და ბოლოს თავისი უპირატესობა ანგარიშს დაატყო, ოთხი ბრეიკ-პოინტის გაცუდების შემდეგ მოწოდების ართმევით 3:2 დაწინაურდა, ხალხმაც მოსალოდნელი შურისძიების ეშხით იღრიალა.

„მსგავსი გულშემატკივრობისთვის მზად ვიყავი. ვიცოდი, რაც მელოდა, მაგრამ თავიდან მაინც ძალიან ავღელდი. თუმცა თუ რაიმე არ გამომდის, შემიძლია ტაქტიკა შევცვალო, რაც ბევრ სხვას არ ეხერხება“ — ჰოდა, ჰინგისმაც უცებ მოუმატა თამაშს და ახმაურებული პარიზელები ზედიზედ 7 გეიმის მოგებით სწრაფადვე ჩააჩუმა.

მორესმო, ფაქტობრივად, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა: როდესაც გარისკვას და საქმის ერთი დარტყმით მოთავებას ცდილობდა, თავად ცდებოდა ან მეტოქე უსწრებდა ყველაფერს, როდესაც უბრალოდ ბურთის უკან მობრუნება სურდა, ჰინგისი თავად უტევდა და თითქმის არაფერს აცილებდა.

ფრანგმა მატჩის ბოლოს ცოტა კი გაიბრძოლა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ნერვებმა უმტყუნა, მატჩ-პოინტზე ბექჰენდი კარგა მანძილით გადააცილა უკანა ხაზს და საკუთარი მოწოდება შშრალზე, მასთან ერთად კი მატჩიც წააგო 3:6, 3:6.

ჰინგისმა პასუხად სამჯერ ხმამაღლა წამოიკივლა, გახარებულმა მუშტი მოიღერა და მთელი მატჩის მანძილზე სასტიკად მონერვიულე დედას გახედა: „თავი ისე ვიგრძენი, თითქოს მძიმე ქვებით სავსე ჩანთა მოვიხსენი ზურგიდან და ისევ თავისუფლად სუნთქვა და მოძრაობა შემეძლო“.

პრესკონფერენციაზე კი ჰინგისი უკვე ჩვეულად ენაწყლიანი იყო: „დიდი ზეგავლენა მოახდინა იმან, რომ მისგან ყველა გამარჯვებას მოელოდა. ეს ტაქტიკური მატჩი გახლდათ და მისი შედეგი იმაზე იყო დამოკიდებული, როგორ გავუძკლავდებოდით მაყურებელსა და ზეწოლას... ყველამ იცის, რომ ჩვენ მაინცდამაინც არ გვიყვარს ერთმანეთი, მას თავისი მეგობრები ჰყავს ტურზე, მე — ჩემი. მაგრამ ეს პროფესიონალური ურთიერთობაა, რადგან კიდევ ბევრჯერ მოგვიწევს ერთმანეთთან თამაში“.

თუმცა ამჯერად მარტინამ ის მაინც მოახერხა, რომ რაიმე ზედმეტი აღარ წამოსცდენოდა: „მორესმო ისეთივე გოგო და მოთამაშეა, როგორც ყველა სხვა. ამაზე მეტი აღარაფერი მაქვს სათქმელი.

თუ მორესმო-ჰინგისის ჭიდილმა იმედები ნამდვილად არ გაამართლა, გუშინ ცენტრალურ კორტზე შეკრებილ ქომაგებსა და მსოფლიოს მეორე ჩოგან ლინდსი დევენპორტს დიდი სიურპრიზი ელოდათ.

სიურპრიზს ჟუსტინ ენენი ჰქვია. 16 წლის ბელგიელმა გოგომ ორი წლის წინ იუნიორების როლან გაროსი მოიგო, ორი კვირის წინ — თავისი სადებიუტო ტურნირი WTA ტურზე ანტვერპენში და ამჯერად წინრვა კინაღამ ძონძროხა ამერიკელსაც გამოუყვანა.

„ეს გოგო ძალიან ბევრს მიაღწევს. ჩემმა მწვრთნელმა რამდენიმე დღის წინ ნახა მისი თამაში და გამაფრთხილა, მძიმე მატჩი მექნებაო, მაგრამ ასეთს ნამდვილად არ ველოდი“ — განაცხადა მოგვიანებით ლინდსიმ.

მართლაც ერთ ნახვად ღირდა, როგორ უმკლავდებოდა თავისზე ერთი თავით მაღალი მეტოქის შეტევებს პატარა, მაგრამ საოცრად სხარტი და გაბედული ბელგიელი. მისი ცალხელა ბექჰენდის სილამაზესა და სიზუსტეს კი არაერთი და ორი კაცი ჩოგბურთელი დახარბდებოდა.

ენენი გადამწყვეტ სეტში სულაც 5:4-ს იგებდა და გამარჯვებას საკუთარი მოწოდების შენარჩუნებაღა უკლდა, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ზედმეტად განერვიულდა და სახელოვანი სკალპი ხელიდან გამოეცალა — 6:3, 2:6, 7:5 დევენპორტის სასარგებლოდ.

„ვფიქრობ, უბრალოდ გამოცდილება არ მეყო“ — გაიღიმა პრესკონფერენციაზე ბელგიელმა, რომლის შესახებაც მომავალში უეჭველად ბევრს გავიგებთ — ქალთა ჩოგბურთს ხომ ერთი ვარსკვლავიც შეემატა.

ქალები. მეორე წრე: შტეფი გრაფი (6, გერმანია) — ინეს გორროჩატეგი (არგენტინა) 6:2, 6:4; **მონიკა სელეში** (3, აშშ) — ლუბომირა ბახვა (ბულგარეთი) 6:3, 6:4; **ანა კურნიკოვა** (რუსეთი) — ემი ფრეზერი (აშშ) 6:4, 6:1; **მარიან დე შვარდტი** (სამხრეთ აფრიკა) — სანდრინ ტესტიუ (12, საფრანგეთი) 6:3, 6:2.

კაცები. მეორე წრე: კარლოს მოია (4, ესპანეთი) — პეტერ კორდა (ჩეხეთი) 6:7 (5:7), 6:4, 6:3, 6:1; **ანდრე აგასი** (13, აშშ) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:2, 4:6, 2:6, 7:5, 6:0; **გრეგ რუზედკი** (12, ინგლისი) — რიჩარდ ფრომბერგი (ავსტრალია) 6:4, 4:6, 6:2, 6:3; **კრისტიან რუუდი** (ნორვეგია) — ტომას ენკვისტი (16, შვედეთი) 7:5 (7:5), 6:4, 6:3.

ავთანდილ სვანიძე

REUTERS/ბარი ბიდან

ჟუსტინ ენენი

მჭავე ჯილდო უჭმურ მარსელოს

მარსელო რიოსი მსოფლიოს პირველი ჩოგანი უკვე კარგა ხანია აღარ არის, მაგრამ ერთ რამეში კოლეგები ახლაც ვერ გაეჯიბრებიან — ჟურნალისტები მისებრ ანტიპათიურად არც ერთი ჩოგბურთელის მიმართ არ არიან განწყობილი.

„ამ ჟურნალისტის კითხვას პასუხს არ გავცემ. იგი ცუდი ტიპია... ჟურნალისტების უმეტესობა სენსაციაზე დაგეშილი გულღვარძლიანი იდიოტია“ — იმ დროს, როდესაც კიკინიანი ჩილელი პრესკონფერენციაზე გამოცხადებაზე უარს არ ამბობს, ან კიდევ ერთხელ სრულიად არ უგულებელყოფს დადარაჯებულ კამერას, მისი პირიდან ია-ვარდები ნამდვილად არ ცვივა. მისი პასუხებიც უმეტესად „კი“, „არა“, „რა თქვენი საქმეა“ და ამდაგვარებით ამოიწურება.

რაღა გასაკვირია, თუ სპორტული ჟურნალისტების ყოველწლიური „ლიმონის“ (ანტი) პრიზი, რომელიც ყველაზე მტრულად განწყობილ და უკარება მოთამაშეს ეძლევა, ზედიზედ მეოთხედ (აბსოლუტური რეკორდია) გადაეცა რიოსს.

აი, ყველაზე სასიამოვნო მოთამაშის — „ფორთოხლის“ პრიზის მფლობელი სრულიად დამსახურებულად ესპანელი ალექს კორეტხა გახდა, ყველაზე იმედისმომცემ პიროვნებად კი ამელი მორესმო დაასახელეს.

ასე სასიამოვნო ადგილი

თუ მარტო ჩოგბურთის ვარსკვლავების თამაშის ცქერა არ გაკმაყოფილებთ და გინდათ, კარლოს მოიას, ფელიქს მანტიას, ვინუს უილიამსს, შტეფი გრაფს და ანა კურნიკოვას, ვოქვათ, ლიფტში შეეჩეხოთ, ან რომელიმეს გვერდით საუზმე მიირთვათ, ყველაზე კარგი შესაძლებლობა ელისეს მინდვრებზე მდებარე სასტუმრო „კალიფორნიაში“ მოგეცემათ.

ეს სასტუმრო უკვე კარგა ხანია, ცნობილი ჩოგბურთელების საყვარელ ადგილად იქცა. წლეულს ზემოხსენებულთა გარდა ორი კვირით აქ არანჩა სანჩეს ვიკარიომ, ალექს კორეტხამ, ალბერტ კოსტამ და ამელი მორსმომაც დაიდეს ბინა.

როგორც გაზეთ „ეკიპისთვის“ მიცემულ ინტერვიუში სასტუმროს მფლობელმა, ჯენიფერ ბოკარამ განაცხადა, წინასწარ ნომრები მარტინა ჰინგისსა და ლინდსი დევენპორტსაც შეუკვეთიათ, მაგრამ როდესაც გაიგეს, რომ აქ მორესმოც აპირებდა გაჩერებას, განზრახვაზე ხელი აიღეს. თუ ვერაფერს მიხვდით, შეგახსენებთ, რომ ავსტრალიის ღია პირველობაზე მორესმოს ლესბოსელობის შესახებ ჰინგისის გარდა დევენპორტმაც არანაკლები უტაქტო განცხადება გააკეთა.

ჩოგბურთელები, საკმაოდ მაღალი ფასების მიუხედავად, „კალიფორნიაში“ მთელი თავიანთი ბანაკით სახლდებიან, ფასდაკლებით კი მხოლოდ არანჩა სანჩეს ვიკარიო ხეირობს, რომელიც სასტუმროს რეკლამას უწევს.

ბოკარა თავის სტუმრებს ნამდვილად არ უჩივის: „ისინი გაცილებით ნაკლებად მომთხოვნნი არიან, ვიდრე ბიზნესმენები და გაწერამდე ფულის გადახდაც არავის ავიწყდება“.

თვალები ბურთზე

როლან გაროსზე გვერდითი მსაჯების უაზრო გადაწყვეტილებების გამო წლეულს ჩოგბურთელებს ნერვები ნაკლებად დაუწყდებათ — საქმის გამოსწორებას საგანგებო სათვალეებმა უნდა შეუწყოს ხელი.

თუ ამერიკულ კომპანია „ბოლს“ ვენდობით, ფუტურისტული შესახედაობის ლურჯი სათვალეები „ყველა ფერს აფერმკრთალებს ჩოგბურთის ბურთის ოპტიკური ყვითლის გარდა“.

თავიდან სათვალეები თავად ჩოგბურთელებისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ დიდი ენთუზიაზმი არავის გამოუვლენია: კონსერვატიულ სპორტში ყოველივე პროგრესული ძნელად იკიდებს ფეხს. ჰოდა, კომპანიამაც გადაწყვიტა, საფრანგეთის ღია პირველობაზე მცირე სარეკლამო კამპანია მოეწყო, სათვალეები გვერდითი მსაჯებისთვის ჩამოერიგებინა და მოთამაშეებისთვის ამ სიახლის უპირატესობებზე აეხილა თვალი.

იტალია

კლეი ოფი. პირველი მატჩი

ინტერი 1:2 ბოლონია

0:1 ანდერსონი (7), 0:2 პარამატი (49), 1:2 ბაჯო (59)

ამხანაგური მატჩი

შვედეთი 2:1 იამაიკა

1:0, 2:0 ოსმანოვსკი (18, 29), 2:1 გეილი (76)

ჰოლანდია

კლეი ოფი

ვალვაიკი 4:2 ემენი

დორდრეხტი 2:2 ცვოლე

სპარტა 2:3 გრონინგენი

ჰელმონდ სპორტი 2:5 ექსელსიორი



REUTERS მანჩესტერიდან

ქალაქი სიხარულის ზღვაში

გუშინ მანჩესტერი თასს შეეგება

ბევრი ნახავდა, ბევრიც იოლად წარმოიდგენს, რა ხდებოდა გუშინ მანჩესტერში: ქალაქი ოცნების ახდენამ გადარია — შეეგება ჩემპიონთა თასს, რომლითაც „მანჩესტერ იუნაიტედის" ერთგული ქომაგები სიხარულის მეცხრე ცას სწიეს ამაგდაფასებულმა, მწვრთნელთაგან დღეს ყველაზე ბედნიერმა ალექს ფერგიუსონმა და მისმა ნიჭით გამორჩეულმა, სულით უტეხმა ფეხბურთელებმა.

მპულეს წყლის ქალაც შეეწია

REUTERS ჩაგუარამასიდან

ტრინიდად-ტობაგოს მხურვალე და მყუდრო დაბა ჩაგუარამასში ეს ორი დღე დიდი ლამაზმანობა და კოხტაპრუწობა იყო. აბა, სხვანაირად როგორ იქნებოდა, როცა იქ შეყრილ გემოვნებიან მამაკაცებს სხვადახსვა წარმომავლობის მდედრთაგან „მის იუნივერსი" ანუ პლანეტის ერთი უმშვნიერესი უნდა შეერჩიათ... ფოტოზე თქვენ სწორედ ამ შენარჩევს ხედავთ. იგი ბოტსვანელია, მპულე კველაგობე ჰქვია და ჩვენ სპორტულ გვერდზე გამოფენა თავის სილამაზეზე მეტად იმით დაიმსახურა, რომ თავისი ქვეყნის ცურვის ნაკრების უცვლელი კაპიტანი და ბოტსვანური წყალჯომარდობის დიდი მოღვაწე ყოფილა...



ლუისი და ჰოლიფილდი: ვადაც, ნეკვადაც

რემატჩი იქნება! უკვე ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ევანდერ ჰოლიფილდი და ლენოქს ლუისი ნოემბერში შეერკინებიან ერთმანეთს. ამ შეხვედრისას კი ნადად გაირკვევა ვინ არის მსოფლიოს უძლიერესი მოკრივე. ამ გაზაფხულზე ამტყდარი სკანდალი, ლუის-ჰოლიფილდის პირველ, შეტად საეჭვო ფრედ გამოცხადებული შერკინების გამო, თანდათან ჩაცხრა. ახლა, ყველა მომავალ ბრძოლაზე ლაპარაკობს. მომწყობად და მეთაურად კვლავ დონ კინგია, რომელსაც ექვსი დიდი ბრძოლის კონტრაქტი აქვს ვეგასის „პარკ პლეის" კაზინოსთან. კინგს ჩაუთვლია, რომ გოლიათთა ლას ვეგასში დაჯახება უფრო სარფიანი იქნება, ვიდრე ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში". ასე რომ, ნოემბერი და ხვალეო.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროშაძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი პატანგ გზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, შმუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა ოთთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო აბელდიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29